# ქართლოსი

საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა

**KARTLOSSI — Organe du nationalisme intégral géorgien**

რედაქტორი: — ვიქ. ნოზაძე | Paris, Mars, 1937. | **Directeur : VICTOR NOSADZE**

**N 2 — 3** | მარტი | **N 2 — 3**

J-1179

შინაარსი:

Ch. Maglakélidzé . . Vers la restauration du Royaume de Géorgie.

**ვიქ. ნოზაძე** — კვლავ ჩვენს დებულებათა გამო

**ბ. ბებურიშვილი** — საქართ~ოს კონსტიტუციის პროექტი

**ქ. სალია** — მეოცე საუკუნის იდეური მიმართულებანი

**პროფ. დრ. ზანდერსი** — ევროპიული კონტინენტალ - პოლიტიკის განვითარებანი . წერილი მეორე.

**ს. ბერეჟიანი** — მარადისობა (ლექსი)

---

სამხედრო განყოფილება: —

**ლენ. გ. კვინიტაძე** — 16 წლის თავზე

**ფრიდონ წულუკიძე** — ეროვნული ისპანეთის ბრძოლა

**ალ. ამ.** — ისპანეთში

**მიხ. დადიანი** — სამხედრო სამზადისი

---

**დ. ქიაბრიშვილი** — საქართველო და რუსეთი. წერ. 1-ლი

**ნიკიფორე ქათამაძე** — გრიპი

**ბ. ვარდანი** — საქართველოს ყოფა-ცხოვრება: ბოროტისა მიზეზი.

**შ. ბერიძე** — წერილი იტალიიდან

**ირაკლი მუხრან - ბაგრატიონი** — „კავკასიური ცივილიზაცია".

**ხიმ.** — კარიკატურა: ვინ როგორ მიდის სოციალიზმისაკენ

## VERS LA RESTAURATION DU ROYAUME DE GÉORGIE

Le peuple géorgien qui a 25 siècles d'existence politique a subi durant le long cours de son histoire bien des vicissitudes, mais malgré tous les obstacles qu'il a dû rencontrer, vu sa position géographique, il a conservé son individualité jusqu'à nos jours.

En laissant de côté l'histoire plus ancienne, c'est un fait historique bien établi qu'au Ve siècle avant J.-Christ les peuples de race géorgienne s'étaient déjà constitués en deux Etats : le royaume d'Ibérie dans le Caucase oriental, et le royaume de Colchide dans la partie occidentale.

Ces deux Etats faisant pont entre la mer Noire et la mer Caspienne avaient au point de vue stratégique et commercial une telle importance, que dès le début de leur existence comme Etats souverains, les deux grands empires de cette époque : Rome et la Perse se faisaient déjà la guerre pour les dominer.

En 368 avant J.-Christ, Rome occupe les deux royaumes (géorgiens), mais bientôt elle se voit obligée de reconnaître à l'empire persan une zone d'influence dans l'Ibérie orientale.

Déjà à cette époque lointaine les géorgiens étaient gouvernés par des rois qui cependant devaient reconnaître parfois la suzeraineté des deux grands empires.

Au IVe siècle, le roi de Géorgie Mirian (265 à 345) se fait chrétien et cela contribue au développement de la culture géorgienne, surtout à partir du Ve siècle, date de la création de l'autocephalie de l'Eglise géorgienne.

Dès la chute de l'empire romain, la Perse se considéra maîtresse de la Géorgie orientale et, en 527, y établit son protectorat ; mais les géorgiens se soulevaient continuellement contre l'autorité persane essayant de se soustraire à leur domination.

Dans la partie occidentale de la Géorgie, Byzance se prétendant héritière de Rome en Orient essayait de maintenir ses positions en Colchide, bien qu'avec moins de succès, étant de plus en plus évincée par la Perse. Cette longue lutte des deux empires pour les zones d'influences dans les pays géorgiens, devait se terminer en 532 par la signature d'un « traité de paix éternelle » qui à nouveau laissa l'Ibérie à la Perse et la Colchide à Byzance.

Le peuple géorgien refusant de se soumettre à toute domination étrangère poursuivait sa lutte pour l'indépendance totale.

Mais bientôt un nouvel ennemi apparut à l'horizon. En 643, ce furent les armées arabes qui envahirent la Géorgie et leur joug était encore plus humiliant que

celui des Persans et des Grecs. Cette époque, l'une des plus sombres pour le peuple Géorgien se termina par sa victoire. Le rétablissement de l'Etat Géorgien sous l'égide de la dynastie des BAGRATIONS (Bagratides) à qui incomba la double tâche d'organiser et d'unir la Géorgie.

Le premier roi Bagration fut Gouram qui régna entre 574-600, mais leur avènement définitif comme dynastie nationale se confond avec le règne du roi Aschoth 780-826.

Vers la fin du Xe siècle, la Géorgie est unie sous un seul roi et à partir de cette époque commence la période heureuse de son histoire. La Géorgie devient de plus en plus forte et prospère, elle est considérée comme une grande puissance et sous le règne glorieux de David-II (1073-1125), qui fonde un vaste royaume situé entre la mer Caspienne et la mer Noire et la chaîne du Caucase au district actuel de Kars. C'est à partir de son règne que le royaume de Géorgie devînt un facteur de première importance au Caucase et dans tout le proche Orient.

L'apogée de cette ère brillante est incontestablement le règne de la divine reine Thamar (1187-1212) Cette souveraine qui symbolise l'époque heureuse de la Géorgie, règne encore de nos jours dans le cœur de tout Géorgien, qui lui attribue les plus hauts faits et gestes de son histoire nationale, C'est la période de la suprématie géorgienne dans l'Asie antérieure et qui fit de la Géorgie un pays presque égal en superficie à la France actuelle. Ce règne qu'on appelle l'âge d'or de la Géorgie, marque un essor dans la culture nationale comme dans l'économie, dont les traces subsistent encore tant au point de vue architectural que littéraire.

Parmi tant d'œuvres remarquables de cette époque il nous reste un joyau unique en son genre : le célèbre poème de Chotha Rousthaveli, « L'homme à la peau de léopard ».

La Renaissance géorgienne brilla en littérature religieuse ou profane, poètes et musiciens se groupaient à la cour de la reine Thamar pour chanter sa gloire.

La Géorgie affirma son prestige et sa puissance jusqu'à l'invasion des hordes mongols qui, en 1220, firent leur apparition sur les frontières de la Géorgie et bientôt la rendirent tributrice du Grand Khan.

Une nouvelle période de grandeur commence avec le règne de George-V le brillant (1313-1346), qui sut réunir sous son sceptre toutes les provinces géorgiennes détachées par les Mongols.

A peine relevé de ses ruines, la Géorgie dut subir sous Bagrath-V (1360-1395) sept invasions des armées de Tamerlan. Cependant la Géorgie ressuscita encore sous l'impulsion énergique du roi Alexandre-Ier (1414-1442) qui contribua au relèvement et à la reconstruction du pays laissé en ruines par les envahisseurs.

Avec la prise de Constantinople (en 1453) par les Turcs, suivie de près par la chute de l'Empire de Trebizonde, fondé par la reine Thamar, la Géorgie se trouva enclavée dans le monde musulman et dans l'impossibilité de communiquer avec le monde chrétien. Isolés dans le monde hostile les rois de Géorgie ne purent soutenir avec succès la lutte contre de si puissants ennemis.

Cependant tous les rois de Géorgie qui n'exerçaient dès lors leur pouvoir que sur le Karthli (Géorgie centrale) cherchaient sans répit une occasion pour réunir sous leur puissance les parties démembrées de la grande Géorgie ; tâche extrêmement difficile car à partir de la fin du XVe siècle et plus particulièrement au XVIe siècle commença la lutte des deux grandes puissances, la Perse et la Turquie pour les provinces géorgiennes.

Les rois géorgiens surent montrer assez de souplesse politique allant parfois jusqu'à se reconnaître vassaux des deux empires sans négliger pour cela d'entretenir la culture nationale.

Submergés par le monde Islamique les rois Bagrations tentèrent à plusieurs reprises d'attirer, mais en vain, les pays chrétiens au secours de la Géorgie. Cette aide qui ne venait jamais ne se manisfestait que par des échanges de lettres entre souverains et ambassadeurs.

Mais voici qu'au début du XVIIIe siècle, la Moscovie devenue Empire, se rapproche de l'Isthme Caucasien et les regards des rois géorgiens se tournent vers cette nouvelle puissance coreligionnaire, qui pourrait, semblait-il, devenir une précieuse alliée contre les Etats musulmans.

Après maints pourparlers un traité d'alliance fut signé par les envoyés de Catherine-II et de Irakly-II.

La Russie d'après ce traité garantissait à la Géorgie sa pleine souveraineté et un appui efficace contre tous ses ennemis.

Ce traité ne fit qu'exaspérer les voisins de la Géorgie, notamment la Perse et ne fut aucunement observé par les russes. La Perse déclara la guerre à la Géorgie, le vieux roi ne reçut aucun secours des russes.

Bien plus, après un court règne de Georges-XIII mort en 1801 la Russie violant ses engagements procéda à l'annexion de la Géorgie.

La royauté des Bagrations à laquelle ne s'étaient pas attaqués durant les époques les plus tragiques de son histoire les envahisseurs les plus cruels fut supprimée. Il fut décidé que les membres de la famille régnante seraient déportés en Russie sans autorisation de séjour dans leur patrie. Ainsi tour à tour tous les membres de la maison royale furent déportés, sauf ceux qui eurent le temps de se réfugier à l'étranger pour poursuivre avec le peuple géorgien la lutte contre son nouvel ennemi.

Le même sort fut réservé au royaume géorgien d'Imerethie, ainsi qu'aux Principautés de la Géorgie occidentale, toutes furent anéanties et incorporées à l'Empire des Tzars. Ainsi la Géorgie fut privée du facteur dynastique qui savait lui conserver son esprit na-

tional, sa culture originale et la pureté de sa race.

Parmi les membres de la Maison Bagration qui continuèrent à mener la lutte contre les oppresseurs, nous nous inclinons profondément devant la mémoire du roi Solomon-II d'Imerethie et du prince Alexandre de Kakhethie, fils cadet du roi Irakly-II, qui jusqu'à leur dernier souffle luttèrent pour le rétablissement de l'indépendance nationale.

Le joug russe subi par la Géorgie durant 117 ans ne pouvait altérer chez ce peuple la fidélité envers sa dynastie nationale, qui durant dix siècles unie étroitement au peuple géorgien personnifiait la dignité nationale et luttait pour la sauvegarde du patrimoine et de l'intégrité du royaume.

Menée par les Bagrations, la Géorgie sut maintenir sa souveraineté politique, cristalliser sa résistance nationale et contribuer largement par sa culture originale aux progrès de la civilisation.

Depuis l'annexion par les russes, la Géorgie fut rayée de la carte mondiale, divisée en plusieurs provinces administrées par des gouverneurs russes. Mais la Géorgie a toujours cherché à se soustraire par tous les moyens à la domination russe. Hélas tous les soulèvements qui eurent lieu durant le XIX° siècle furent sauvagement réprimés.

La politique de russification pratiquée en Géorgie depuis l'annexion n'eut plus de succès ; malgré l'absence d'un organisme d'Etat, les géorgiens du XIX° siècle surent trouver leur voie pour poursuivre leur développement culturel propre, conserver leur langue et leurs coutumes.

Des éléments actifs réussirent à contrecarrer la politique de russification et quand, durant la guerre mondiale l'empire des tzars s'écroula la Géorgie profita de cette occasion pour rétablir son indépendance le 26 mai 1918.

S'étant organisée en république démocratique la Géorgie n'avait fait que poursuivre le mouvement général de la période de l'après-guerre si défavorable aux royautés. Reconnue « de jure » par les grandes puissances elle le fut également par le gouvernement soviétique russe le 7 mai 1920. Malgré cela la Russie des Soviets viola ses engagements et envahit la Géorgie sans déclaration de guerre, en février 1921, renversant le gouvernement marxiste, incapable d'organiser la défense du pays. Mais conscient de ses destinées et ne supportant pas l'odieuse domination soviétique, le peuple géorgien prit les armes et organisa plusieurs soulèvements, prouvant au monde entier son héroïsme et sa volonté ferme de n'accepter la servitude étrangère.

Cette lutte pour le rétablissement de l'indépendance continue malgré la barbarie des soviets qui font règner la terreur en Géorgie ; elle continuera et ne prendra fin qu'avec la victoire totale du peuple géorgien.

Notre mouvement national né spontanément, en Géorgie dès le début de l'occupation bolchsviste, pour réunir toutes les énergies nationales propres, à la lutte, dans un esprit de solidarité et de sacrifice total, et basé sur le nationalisme intégral, se trouve ainsi à l'avant garde de l'action pour l'indépendance. C'est dans le développement de la lutte que se précise et se forme notre idéologie. Aussi le 18 octobre 1936, date de notre 4e congrès, il fut reconnu la nécessité de coordonner les efforts pour l'indépendance du pays et pour la restauration du royaume géorgien.

« Durant des siècles la Géorgie était un royaume. Annexée de force par la Russie au début du XIX° siècle, l'évolution naturelle de la vie du peuple géorgien fut arrêtée. A nouveau doit être rétabli le cours de son histoire par la restauration, dont la tradition imprescriptible s'est affirmée chez le peuple géorgien d'une façon constante. Seul le Roi, fort de la solidarité du peuple peut s'affirmer comme le chef suprême et incontesté du pays », conciliant les traditions séculaires de la monarchie des Bagrations avec les exigences modernes d'un état national.

Nous croyons fermement que le peuple géorgien qui a tant souffert en menant la lutte pour son indépendance saura retrouver ainsi son visage historique avec le Roi, qui fut toujours le symbole de la Géorgie grande et prospère, libre et unie.

Nous proclamons solennellement que notre organisation, seul mouvement représentant les forces et les aspirations réelles du pays, continuera la lutte sans merci pour atteindre son but sacré. Nous n'ignorons pas les difficultés de la tâche qui nous incombe contre un ennemi sans scrupule, mais conscient de notre devoir de géorgien responsable devant la Patrie, nous saurons couronner de succès notre œuvre et croyons que le royaume de Géorgie sera bientôt restauré.

Colonel **Chalva Maglakélidze**, Dr jur.

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო იყო სამეფო. მე-19 საუკუნის დასაწყისს რუსეთის უხეში ძალადობით შეწყვეტილ იქმნა ქართველი ერის ისტორიის ბუნებრივი სვლა. კვლავ უნდა აღსდგეს საქართველოს სამეფო, რომლის მკვიდრი ტრადიცია ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან საძირკველზეა აგებული.

საქართველო არის სამეფო. ეროვნული მთავრობა დაყრდნობილი დარბაზზე, ითანამშრომლებს მეფესთან. დარბაზი შედგენილია ეკონომიურ და კულტურულ დარგთა წარმომადგენელთაგან.

უნდა აღსდგეს ქართული კერა და დაცულ იქმნას ქართული მოდგმა. ქართველი ერი უნდა გამრავლდეს. უნდა კვლავ შეიქმნას მშვენიერი ქართველი ადამიანი. საქართველომ კვლავ უნდა ჰშვას შოთა რუსთაველი.

შრომასა და კაპიტალს შორის უნდა დამყარდეს თანამშრომლობა ურთიერთ ინტერესთა დაცვით.

## კვლავ ჩვენს დებულებათა გამო

ყოველი ახალი მოძრაობა, იქნება იგი პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური თუ სხვა, შთასახვიდანვე ეხეჩება მტრულ განწყობილებას და ამგვარად იძულებული ხდება ბრძოლით გაიკაფოს მომავალის გზა. პირველი თავდამსხმელნი და მოიერიშენი არიან ძველ მსოფლმხედველობათა წარმომადგენელნი, რომელთა ყურსა და გონებას ახალი მოძღვრება ტკივილებს აღუძრავს. თავის თავად ეს ამბავი ახლა გასაკვირი აღარ არის, ვინაიდან წარსული მდიდარია და მსუყე ამგვარ მოვლენათა გამოჩინებით. ძველისა და ახალის შეჯახების დასაბამი თვით ადამიანის ბუნების კონსერვატორობაშია, რაც შესანიშნავად გამოხატულია განთქმული ანდაზით: — შეჩვეული ჭირი მირჩევნია შეუჩვეველ ლხინსო! ადამიანის ბუნების ასეთი კონსერვატიზმისაგან იბოჭება და ხუნდები ედება ყოველ ახალ მოძრაობას, და თუ ამ ფსიქოლოგიურ მხარეს აგრეთვე ინტერესების არსებობასაც დავუმატებთ, — ახალი მოძღვრების მიღებისა და უარყოფის მიზეზი ნათელი ხდება.

ამიტომ სრულებით არ გვაკვირვებს ის ალიაქოთი, ჩვენ პროგრამულ სიტყვასთან დაკავშირებით რომ ასტყდა: — ყალხზე შესდგენ კონსერვატორები, უვიცები და დემაგოგები.

ყოველგვარი რევოლუციის მოწინააღმდეგე კონსერვატიზმის ამხედრება, „თოფითა და ჯინჯილითა“ ალკაზმვა და იერიშებით წამოსვლა, — ჩვენ არ გვაშინებს. ჩვენ, რევოლუციონერებსა და მათ, კონსერვატორებს შორის, ბრძოლა ნორმალურია, გასაგები და მისაღებიც. ჩვენ გვრწამს, მათ იერიშებს უკუვაგდებთ და რევოლუციური თავდასხმებით ცხოვრების ბურთს ლელოზე გავიტანთ, — ვინაიდან ქართული ცხოვრების გზა ფაშისტური რევოლუციით გაიკაფება მხოლოდ.

მაგრამ ჩვენ გვაფრთხობენ უვიცები, რომელთა სირევგნეს არაფერი ჰფარგლავს. უვიცები ბოროტებიც არიან, შემთხვევას არ უშვრებენ სხვისაგან ნაცოხნი მწარე სიტყვა და მოჩმახული ბრალდება ყოველ ფეხის ნაბიჯზე არ განიმეორონ! და თავისი რეგვნობაც და სიბოროტეც ზედ არ დააყოლონ!

უვიცებს რა ეშველებათ? თუ გინდ ათასჯერ დასწეროთ, ათიათასჯერ უთხრათ, ასიათასჯერ აუხსნათ, — ისინი მაინც თავისას ჯიუტად გაიძახიან: — ჰააა! თქვენ სამეფოს აღდგენა გსურთ?! — მაშ თქვენ თავადაზნაურობის აღდგენა გინდათ! მაშ თქვენ ძველი წოდებები უნდა კვლავ წამოასკუპოთ!

და აი ვუხსნით ჩვენ მათ: რომ ჩვენ ვართ ფაშისტები; რომ ფაშიზმის ერთი მთავარი დებულებაა — თანასწორი უფლება და თანასწორი მოვალეობა ყველასათვის; რომ ამ დებულებაზე აგებული ქართული სამეფო არ შეიძლება იყოს წოდებრივი და პრივილეგიების ქვეყანა და სხვა. ეს ხომ მეტად აშკარად და გარკვევით არის ნათქვამი ჩვენს სამოღვაწო და საბრძოლო დებულებებში!

და ხანდახან ვეკითხებით თავს: — ამ ადამიანმა წაიკითხა ჩვენი დებულებანი; ნუთუ იგი იმდენად უვიცია და რეგვენი, რომ არ შეუძლია გაიგოს შავით თეთრზე აღბეჭდილი? იქ ხომ ასე სწერია: „ყველა ქართველი თანასწორ-უფლებიანი და თანასწორ-მოვალეობიანია“! ეს იმას ნიშნავს, რომ არავის, არც ერთს ჯგუფს არავითარი უპირატესობა მიენიჭება. მაშ როგორ-ღა შეიძლება წოდებაზე ლაპარაკი?! აშკარაა: — უვიცმა არ იცის: რა არის წოდება, რას ნიშნავს თავადაზნაურობა, რით გამოიხატება თანასწორუფლებიანობა და როგორი იქნება თანასწორმოვალეობა.

უვიცობისაგან განკურნება, როცა თვით მასაც არ სურს იგი, მეტისმეტად ძნელია და შეუძლებელი, ოდეს მას პოლიტიკური ანბანის არრაფერი გაეგება; მაგრამ ჩვენ მაინც დაჟინებით ვფიქრობთ: შევეცადოთ ხანდაზმით ამ ანბანზე ვისაუბროთ და იქნებ ღმერთმა ინებოს და უვიცთ ორი-სამი ანბანი გავაკვეთინოთ და შევათვისებინოთ..

აქ კი დემაგოგი სულმოუთქმელად დასჭყივლებს: — შეხეთ, რას სწერენ! თავს გვსხმიან და იძახიან: პოლიტიკური ანბანი არ იცით და რეგვნები ხართო!

რა კარგი და პატიოსანი ხელობა იყო დემაგოგობა ერთ დროს! ძველად, სულ ძველად, საბერძნეთში დემაგოგი იყო ხლხის ხელმძღვანელი, მისი მასწავლებელი, მრჩეველი, მეთაური (დემოს — ხალხი; აგოგოს — ხელმძღვანელი). მაგრამ რა მალე გაჰქრა ეს პატიოსანი ხელობა! უკვე პელოპონეზის ომების ხანაში (431 — 404 წწ. ქრისტეს წინ) ამ სიტყვას შეეცვალა აზრი და მნიშვნელობა, — ანტიურმა დემოკრატიამ მას ფართო ასპარეზი მისცა გადაგვარებულიყო და დემაგოგია გადრდაიქცა: — ხალხის მოტყუებად, ხალხის პირში მოლაქუცედ, მის მდაბალ გრძნობებზე მოთამაშედ, პირმოთნეობად, სიცრუედ, მლიქვნელობად, სიყალბედ; და ეს ყველაფერი ერთი წადილით: რათა ხალხი თავის მხარეზე გადაიყვანონ, გადაიბირონ, აიყოლიონ, — ხშირად დემაგოგთა პირადი, საკუთარი ინტერესებისათვის. და მას შემდეგ დემაგოგია გაბატონდა ყველგან და მიეცა მას ფართო გასაქანი ყველგან, რეჟიმის მიუხედავათ. განსაკუთრებული დიდი როლი მიენიჭა მას პოლიტიკურ ცხოვრებაში, და ქართველმა ერმაც გამოსცადა მისი სიძლიერის ლახვარნი!

ჩვენ დემაგოგები არა ვართ. ჩვენ ვქადაგებთ საქართველოს ფაშისტურ სამეფოს და ღრმადა გვჯერა, რომ ესაა ხსნა ჩვენი ერისათვის.

ჩვენ ხომ პირადი ინტერესები არ გვიკარნახებს ამას? ჩვენ ხომ მეფედ არ ვემზადებით; გარნა ვქადაგებთ საქართველოს სამეფოს აღდგენას. რადგან მხოლოდ სამეფოს ფაშისტურ პირობებში, გვრწამს, შეიძლება დიდი და დიადი საქართველოს შექმნა! და რომელი ქართველია, არ სურდეს დიდი და დიადი საქართველო? არ სწადდეს ქართველი ხალხის ბედნიერება, რაც შესაძლებელია მხოლოდ შრომის სამეფოს დაარსებით?!

— საქართველოს სამეფო გსურთ?! ხალხო და ჯამაათო! ეგენი არიან ბატონყმობის მომხრე! ეგენი არიან მონარქისტები! დაჰკათ მაგათ! და მერმე ტკბილი, შემპარავი ღიმილით დასძენენ: — ჩვენ დემოკრატები, ჩვენ სოციალისტები, ჩვენ (კიდევ სხვები...) მივდივართ ნამდვილი და სწორი გზით და ჩვენ წაგიყვანთ თქვენ სამოთხისაკენ!

დემაგოგები აღარ ეძებენ იმას, რა ხილია ეს ფაშისტური სამეფო; ეს რომ გაიგონ, მაშინ, მაშინ რაღა უნდა უთხრან ხალხს რით შეუწუხონ გული მას? რით დააჯერონ სხვები და გაუტეხონ სახელი ჩვენს მოძრაობას, ვინაიდან სიტყვა მონარქიზმი დაკავშირებულია ძველ, რუსულ წესწყობილებასთან, დრომოჭმულ და დახავსებულ თვითმპყრობელობის ფორმასთან, რომელიც დღეს აღარავისათვის მოსაწონი და მისაღები არაა!

ჩვენ კი ვართ საქართველოს ფაშისტური სამეფოს მომხრე და მისთვის მებრძოლი; და თუ რაა მონარქია საერთოდ და რა იქნება ფაშისტური სამეფო, ამის შესახებ შემდეგ.

ვიქ. ნოზაძე

## საქართველოს საბჭოთა კონსტიტუციის პროექტი

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს სსრ - ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის საკონსტიტუციო კომისიამ ლავრენტი ბერიას თავჯდომარეობით შეადგინა საქართველოს კონსტიტუციის პროექტი, რომელიც მოწონებულ იქმნა აღნიშნული კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ.

თავისთავად ცხადია, რომ ამ კონსტიტუციაში აღნიშნული უფლებები განსაზღვრულია და შეკვეცილი სრულიად საკავშირო კონსტიტუციით და წარმოადგენს იმ ვითარების ანარეკლს, რომელშიც დღეს საბჭოთა საქართველო იმყოფება.

საკავშირო კონსტიტუციის დებულებები ქართულ კონსტიტუციაში ჭარბად ნაცოხნია და არაფრით განსხვავდება იმ საერთო და ცარიელ კანონებისაგან, რომელიც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის საფუძველია; პირველში და მეორეშიც ერთიდაიგივე სიტყვითაა ლაპარაკი სოციალისტური სისტემის დამყარებასა და სამოთხის შექმნაზე. ამას ჩვენ აქ ყურადღებას არ ვაქცევთ. — ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ უფლებებმა, რომელიც თვით საქართველოს, როგორც ეროვნულ ერთეულს, ვით რესპუბლიკათა კავშირის წევრს ეკუთვნის და რითაც საქართველოს სახეობა უნდა გამოხატულიყო. მაშასადამე, ჩვენ აქ განზე ვსტოვებთ კონსტიტუციის სოციალ - ეკონომიურ ფუძეს, რომელზეც ბოლშევიკები ცხოვრების სოციალისტურად აგებას ლამობენ, და აღვნიშნავთ რა კონსტიტუციის პირველ მუხლს, რომ

„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არის მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო". გადავდივართ პირდაპირ საქართველოს ეროვნულ - სახელმწიფოებრივ უფლებათა დახასიათებაზე.

ჩვენ ცრუმორწმუნე არ გახლავართ, მაგრამ ყოვლად ცნობილია, რომ რიცხვი 13 უბედურია; და რომ მართლა უბედური უნდა იყოს იგი, ეს სჩანს საქართველოს კონსტიტუციის მეცამეტე მუხლიდან, რომელიც საბჭოთა კავშირში საქართველოს ვითარებას ეხება. ეს მუხლი ამბობს, რომ

„საქართველოს საბჭოთა სოც. რესპუბლიკა **ნებაყოფლობით გაერთიანდა თანასწორუფლებიან** საბჭოთა სოც. რესპუბლიკებთან"-ო.

რა ღირებულება უნდა ჰქონდეს კონსტიტუციას, რომელიც აშკარა სიყალბეზე და მტკნარ სიცრუეზე არის აგებული?! როდის მოხდა ეს „ნებაყოფლობითი" გაერთიანება? ეს ისტორიამ არ იცის და ისეთივე დამახინჯება სინამდვილის, როგორიც მხოლოდ ბოლშევიკებს სჩვევიათ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩვენდა სამარცხვინოდ, წითელმა ბრბოებმა გადააყირავეს; შემდეგ საბჭოთა საქართველო **ძალადობით** შეუერთეს საბჭოთა ქვეყნების კავშირს. იმპერატორ პავლე და ალექსანდრეს ცნობილ მანიფესტებშიაც ხომ ასე ეწერა: ნებაყოფლობით შეუერთდა საქართველო რუსეთის იმპერიასო! რა განსხვავებაა? — ორივე შემთხვევაში ერთიგივე სიყალბე და რიოშია!

როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია განსაზღვრავს და ჰკვეცავს საქართველოს უფლებებს (მე - 14 მუხლით), მაგრამ საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შემდგენელნი კი რიხით აცხადებენ, რომ

„სსრ-ის კავშირის კონსტიტუციის მე - 14 მუხლის ფარგლების გარეშე საქართველოს სსრ ანხორციელებს სახელმწიფო ძალაუფლებას დამოუკიდებლად, ინარჩუნებს რა სრულად თავის სუვერენულ უფლებებს"-ო.

და საქართველოს კონსტიტუციის მე -14 მუხლში ჩამოთვლილია ეს —სუვერენული უფლებები", რომელთა რიცხვი 26-ია. რას წარმოადგენს იგი?

თურმე საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას ექნება უფლება დაიცვას სახელმწიფოებრივი წესრიგი და მოქალაქის უფლებები; დაამტკიცოს სახალხო მეურნეობის გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი; განაგოს დასახლებულ ადგილთა კეთილმოწყობის საქმე, საბინაო და საგზაო მშენებლობა, ჯანმრთელობა, შრომის კანონმდებლობა, სოციალური უზრუნველყოფა, დაზღვევა, განათლება და სპორტი; სასამართლო ორგანოები, მოქალაქეობის უფლება, ამნისტია... აქვს უფლება დაამტკიცოს საქართველოში შემავალ აფხაზეთის, აჭარის, ოსეთის კონსტიტუცია, გამოსცეს უზენაესი მმართველობის აქტები და განაგოს საკავშირო რესპუბლიკანური ესე იგი საბჭოთა კავშირის ყველა ქვემდებარე დაწესებულება. რომ ამ უფლებათა არე მკითხველისათვის იოლად გასაგები იქმნეს და თავიც არ მოვიტყუილოთ, ჩვენ აქ მოვიტანთ და დავაპირისპირებთ ორ მუხლს: 50 და 56-ს.

„მუხლი 50. საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს ჰქმნის საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარე;

საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარის მოადგილეები;

საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავჯდომარე;

საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისრები:

ქვების მრეწველობისა;

მსუბუქი მრეწველობისა;

სატყეო მრეწველობისა;

მიწათმოქმედებისა;
მარცვლეულის და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობისა;
ფინანსთა;
შინა ვაჭრობისა;
შინაგან საქმეთა;
იუსტიციისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
**განათლებისა;**
**ადგილობრივი მრეწველობისა;**
**კომუნალური მეურნეობისა;**
**სოციალური უზრუნველყოფისა;**
დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული;
ხელოვნებათა საქმეების სამართველოს უფროსი;
საერთო საკავშირო სახალხო კომისარიატების რწმუნებულნი".

ანუ ჩვენებურ ენაზე რომ ვსთქვათ, საქართველოს ეყოლება აღნიშნულ დაწესებულებათათვის 17 მინისტრი.

აქედან მუხლი 56-ის ძალით საქართველოს საკუთარი სამინისტროა მხოლოდ და მხოლოდ ოთხი (4): —

„მუხლი 56. საქართველოს სსრ-ის რესპუბლიკანური სახალხო კომისარიატები არიან:
**განათლებისა;**
**ადგილობრივი მრეწველობისა;**
**კომუნალური მეურნეობისა;**
**სოციალური უზრუნველყოფისა".**

როგორც ვხედავთ, სიტყვათა რახარუხი და მთელი კორიანტელი, რომელიც ატეხილია მე - 13 და მე - 14 მუხლში, თითქმის არარაობამდეა დაყვანილი და „სრულად თავისი სუვერენული უფლებები" საქართველოსი ერობის ანუ ზემსტვოს უფლებებს არ სცილდება და ზოგიერთ შემთხვევაში ნაკლებიცაა.

საქართველოს ეკუთვნის ფორმალურად განათლების, ადგილობრივი მრეწველობის, კომუნალური მეურნეობის და სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებები, რაც თითქმის ყოველ ქალაქს აქვს მინიჭებული ევროპაში, — დანარჩენი ყველა უფლება და ძალაც მიკუთვნებული აქვს საბჭოთა კავშირს, ფაქტიურად, მოსკოვს და მის ბატონს.

კონსტიტუციაში საქართველოს „სუვერენულ" უფლებებზე ლაპარაკი და წერა ალბად ჭუკებისათვისაა დანიშნული, თორემ ქართველი ადამიანი ადვილად გაიგებს, რომ ეს ყველაფერი მოჩმახული ამბავია. სინამდვილეში მოსკოვია ყველაფერი — საქართველო თითქმის არაფერი.

ეროვნულ - სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მუხლმა 15-მა, რომლის მეოხებით

„საქართველოს სსრ ინარჩუნებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან თავისუფლად გასვლის უფლებას" —

ეს უზარმაზარი სიცრუე და თავისთავად ლიტონი სიტყვა მაინც აღსანიშნავია, როგორც მე - 16 მუხლიც, რომლის მიხედვით

„საქართველოს სსრ-ის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე",

თუმცა ფაქტიურად ვინ ჰკითხავს მას, როგორც ეს მოხდა 1921 წ., როცა საქართველოს ტერიტორიის მოზრდილი ნაწილები დაარიგეს და ოსმალეთს ძღვნად მიართვეს!

მაგრამ როგორი არის დღეს საქართველოს ტერიტორია? — ამაზე პასუხს გვაძლევს კონსტიტუციის მე - 19 მუხლი, რომელიც შემდეგია: —

„მუხლი 19. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან; აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, აღბულაღის, ახალქალაქის, ახალციხის, ბაშკიჩეთის, ბაღდადის, ბოგდანოვკის, ბორჩალოს, ბორჯომის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ვანის, ზემოსვანეთის, ზუგდიდის, თბილისის, თელავის, თიანეთის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლუქსემბურგის, მახარაძის, ონის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სამტრედიის, სიღნაღის, ტყიბულის, ქვემოსვანეთის, ქუთაისის, ყაზბეგის, ყარაიას, ყვარელის, ჩოხატაურის, ჩხარის, ჩხოროწყუს, ცაგერის, ცხაკაიას, წალენჯიხის, წალკის, წულუკიძის, ჭიათურის, ხაშურის, ხობის, ჯულელის რაიონებისაგან და ქალაქებისაგან: თბილისისა და ფოთისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან.

მუხლი 20. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება გაგრის, გალის, გუდაუთის, სოხუმის, ოჩამჩირის რაიონებისაგან და ქალაქ სოხუმისაგან, რომელიც რაიონების შემადგენლობაში არ შედის.

„მუხლი 21. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება ბათომის, ქედის, ქობულეთის, ხულოს რაიონებისაგან და ქალაქ ბათუმისაგან, რომელიც რაიონების შემადგენლობაში არ შედის.

„მუხლი 22. სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური ოლქი შესდგება ზნაურის, ლენინგორის, [illegible], ჯავის რაიონებისაგან და ქალაქ სტალინირისაგან, რომელიც რაიონების შემადგენლობაში არ შედის".

ასეთია საქართველოს ტერიტორიის დღევანდელი მოცულობა, გარნა, სამწუხაროდ, ძნელია ამ ჩამოთვლის მიხედვით ითქვას, თუ როგორია მისი საერთო საზღვრები; მაგალითისათვის რომ დავასახელოთ, ვიკითხოთ: რა მოცულობისაა ბორჩალოს რაიონი? ჩვენ ამას გავიგებთ მხოლოდ მაშინ, როცა საქართველოს რუკას ვნახავთ და მას ძველს შევადარებთ.

მაგრამ ამ ტერიტორიაზე ვისი ენა უნდა ბატონობდეს?

ამას წინად გაზეთ „იზვესტია"-მ გამოაქვეყნა ცნობა, თითქო საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით სავალდებულო ენად: ქართული, რუსული, სომხური, თათრული ყოფილიყოს... ჩვენ ამ ცნობამ გაგვანცვიფრა და მოუთმენლად ველოდით ამ კონსტიტუციის პროექტს.

გაზეთი „იზვესტია" ერთგვარად სიმართლეს გვაცნობებდა, ვინაიდან მე-156 მუხლის (ეს კი მე-13 თავია, — აქაც რიცხვი 13!)

„საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე მოსახლე ნაციონალურ უმცირესობათათვის უზრუნველყოფილია უფლება თავისუფალი განვითარებისა და დედაენის ხმარებისა როგორც თავის კულტურულ, ისე **სახელმწიფო დაწესებულებაში**".

ჩვენთვის გაუგებარი არ არის, რომ უმცირესობათ სა-

ქუთარი ენის უფლება ჰქონდეთ თავის კულტურულ დაწესებულებებში, მაგრამ იგივე უფლება როცა **„სახელმწიფო დაწესებულებებზე“** გადადის, ეს უკვე ნამდვილი დომხალია, — თუ საქართველოს კონსტიტუციის პროექტში მართლა ეს აზრია გატარებული და „იზვესტია“ არ სცდება; მაგრამ იგივე მუხლი — 156 — გვამცნებს, რომ

„საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“ — და

„მუხლი 157. კანონები და აგრეთვე საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულობანი და განმარტებანი, საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი ქვეყნდება ქართულ ენაზე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისათვის — ქართულ ენაზე და ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ენაზე“.

ავტონომიური რესპუბლიკაა საქართველოში: აფხაზეთი და აჭარა და ოლქი — სამხრეთი ოსეთი. თუ ზემოაღნიშნულ მუხლში გამოთქმა არ მოიკოჭლებს და წმინდა რედაქციული შეცდომა არ არის — საკითხი ეხება მხოლოდ აფხაზურ და ოსურ ენას, ვინაიდან აჭარული ენა არ არსებობს. მაგრამ თუ დანარჩენ უმცირესობათ ნება აქვთ თავისი ენა იხმარონ სახელმწიფო დაწესებულებებში, მაშინ რა გამოვიდა? გამოვიდა აქედან რუსული ენის ბატონობა, რადგან იგი პრაქტიკულად ყველასათვის მისაწვდომი იქნება!

ამგვარად: სახელმწიფო ენა ქართულია, მაგრამ თუ აისორმა მოისურვა თავის ენაზე ან რუსულად ლაპარაკი, სახელმწიფო დაწესებულებაში ან სასამართლოში, (მუხლი 157) მას ამისი ნება აქვს. წარმოსადგენია, თუ რა იქნება ეს ენათა შერევა; პრაქტიკულად იმავე რუსული ენის ბატონობა! ეს ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ელემენტარულ უფლებას და თუ ეს ასე არ არის, კონსტიტუციას მოეთხოვება იყოს ნათელი და გასაგები — უეჭვო და ზუსტი! ან იქნებ „იზვესტია“-ს ცნობა მართალია?! ეს-ღა აკლდა ლეჩაქ-ახდილ და მონობაში ჩავარდნილ ბედშავ საქართველოს!

როდესაც ჩვენ შევეხეთ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის პროექტს, მაშინ დავსწერეთ, რომ ეს კონსტიტუცია არის „საწამლავის მოვარაყებული აბი, რომელიც საქართველომ სიხარულით უნდა გადაყლაპოს და შემდეგ მოწამლული და დასნეულებული, მოსკოვის აქიმბაშების ზრუნვაში უნდა დარჩეს“-თქო. ეს წინათგრძნობა გაგვიმართლდა, ვინაიდან იგი საქართველოს ვითარებიდან გამომდინარე ლოღიკით იყო გამოწვეული და ასევე იყო ჩვენი დასკვნაც, რომ „საქართველოს საკითხი „კონსტიტუციებით არ გადასწყდება და ქართველ ერს განთავისუფლებას არც ერთი „კონსტიტუცია“ არ მოუტანს, გარდა იმ კონსტიტუციისა, რომელიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თვით ერის ბრძოლის შედეგად წარმოიშვება“. ასეც იქმნება!

**ბ. ბებურიშვილი**

## მეოცე საუკუნის იდეური მიმართულებანი

### 1.

### ეროვნული იდეალი

ყოველ საუკუნეს განსაზღვრული იდეური მიმართულება ახასიათებს. მეოცე საუკუნეც ამ გზით მიდის, მაგრამ განსხვავება იმაში გამოიხატება, რომ წინად პოლიტიკურ - სოციალური ცხოვრების ევოლუცია ნელი ნაბიჯით მიდიოდა და ისტორია საკმაო დროს აძლევდა მკვლევართ და თეორეტიკოსებს აზროვნების დასამუშავებლად.

მიმდინარე საუკუნეში, განსაკუთრებით დიდი ომის შემდეგ, მდგომარეობა სავსებით შეიცვალა. ცხოვრება ისეთი სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ, რომ მოაზროვნენი მას ჩამორჩენ და სინამდვილემ თეორიას გაუსწრო. ეროვნული თავდაცვის ინსტიქტით გამოწვეული ფაშიზმი იტალიაში 1922 წელში დამყარდა, მაგრამ თეორიული დასაბუთება მას მხოლოდ შემდეგ წლებში მიეცა; დღესაც გრძელდება მისი ჩამოყალიბების პროცესი როგორც მსოფლიო იდეოლოგიისა. თანამედროვე მკვლევარნი სცდილობენ დღევანდელ პოლიტიკურ - სოციალურ მოთხოვნილებათა განზოგადოებას, რომ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ახალი პრინციპები ყოველ კულტურულ ერისათვის მისაღები და გამოსაყენებელი იყოს. თავისთავად იგულისხმება, რომ მსოფლიო ხასიათის მქონე დებულებათ ყოველი ერი შეითვისებს თავისებურად, მისთვის სპეციფიური ეროვნული ელფერის მიცემით.

მეოცე საუკუნეც სცდილობს წამოაყენოს უნივერსალური მნიშვნელობის დოქტრინა საზოგადოებრივი ცხოვრების მოსაწესრიგებლად; ეს აუცილებელი არის და მეტად სასარგებლოც, როგორც ენერგიის დიდი ეკონომია, რომ თვითეულ ერს არ დასჭირდეს ხშირად მავნე ექსპერიმენტებისათვის უქმად დროს დაკარგვა. პროფესორ მანოილესკოს აზრით, ცხოვრების სინამდვილედან გამომდინარე მსოფლიო იდეა ააცდენს ყოველ ერს სახიფათო ან უსარგებლო ძებნას საკუთარი და ორიგინალური სისტემის გამოსაგონად, რომელიც ბოლოს უსათუოდ იმავე საზოგადო პრინციპებამდე მივა, რადგან განსაზღვრულ ეპოქაში, ყოველ ერს დაახლოვებით იდენტიური პირობები ახასიათებსო. ასეთ მსოფლიო იდეათ მიმდინარე ხანამ ეროვნული იდეალი წამოაყენა.

თანამედროვე ცხოვრებაში ღრმა და დიდი ცვლილებები ხდება. დამარცხებული ლიბერალური დოქტრინით გამოწვეულმა არევდარევამ და ეკონომიურმა ანარქიამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. თუ თავიდან თანამედროვე კრიზისს კაპიტალისტური სისტემის დამახასიათებელ პერიოდულ კრიზისებს ადარებდენ და იგი წარმავალი ეგონათ, დღეს უკვე თვით ლიბერალ - ეკონომისტებისათვის სადავო არ არის, რომ ეკონომიური ანარქიის მიზეზი ამჟამად სხვაა. მე-19 საუკუნის ეკონომიური კრიზისები გამოწვეული იყო ან მრეწველობის, ან სასოფლო მეურნეობის ჭარბი წარმოებით, რაც მიწოდება - მოთხოვნის კანონსა და წონასწორობას არღვევდა. ეს კრიზისები უბ-

რალო შეგუების პოლიტიკით ისპობოდა, რადგან ბაზარი ჯერ კიდევ ფართო იყო და ვაჭრობა - მრეწველობას დიდ გასაქანს აძლევდა.

მე-18 საუკუნის დასასრულს ევროპაში წარმოშობილი მსხვილი მრეწველობა საშინელი სისწრაფით გაიზარდა. ვეებერთელა ბაზარი — ამერიკა, აზია, აფრიკა გაიშალა მის წინაშე. მთავარი პრობლემა წარმოების მეტ განვითარებაში გამოიხატებოდა და არა ბაზრის ძებნაში. მრეწველობის განვითარებას ბუნებრივად მოჰყვა სახელმწიფოთა შორის ყოველგვარი ეკონომიური ბარიერის მოსპობა, მას მოჰყვა აგრეთვე წარმოებისა და ინიციატივის მომწესრიგებელ პოლიტიკურ - მორალური დისციპლინის გაუქმება, რომლის ადგილი თავისუფლებამ დაიკავა. თავისუფლება წარმოადგენდა მთავარ საფუძველს და აუცილებელ პირობას მრეწველობის ექსპანსიისათვის.

ლიბერალიზმის მამამთავართ ეგონათ, რომ ცნობილი ფორმულა „ლესე ფერ“ იყო უმაღლესი მიღწევა საზოგადოებრივი განვითარებისა. მაგრამ ძველად, საუკუნეთა განმავლობაში წარმოების ტექნიკა ოდნავ თუ იცვლებოდა; მსოფლიოს ერთ ნაწილში კი, შემდეგ, მსხვილი მრეწველობის წარმოშობამ ეკონომიკის ძველი წონასწორობა დაარღვია; ზოგ ქვეყნებში მხოლოდ მსხვილი მრეწველობა განვითარდა; იქ კი, სადაც კაპიტალი არ არსებობდა და არც ტექნიკოსთა კადრი იყო, სოფლის მეურნეობა დარჩა. ამნაირად ძველი ეკონომიკა შრომის განაწილებამ და სპეციალიზაციამ შესცვალა; მსხვილმა მრეწველობამ სასოფლო მეურნეობის ქვეყნები დაიმორჩილა. თავისი სპეციფიური უპირატესობით მსხვილი მრეწველობა გაცილებით მეტ ღირებულებას ჰქმნის, ვინემ სოფლის მეურნეობა. გამოანგარიშებულია, რომ მსხვილ მრეწველობაში ერთი მუშა იმდენს იძლევა, რამდენსაც ამავე დროს განმავლობაში ათი მუშა სოფლის მეურნეობაში. 1932 წელს იტალიაში მოხდენილმა ანკეტამ, რომელშიაც 14 გამოჩენილმა პროფესორმა და ეკონომისტმა მიიღო მონაწილეობა ის დასკვნა გამოიტანა, რომ მსოფლიო მრეწველობა წარმოადგენს სრულიად გარკვეულ ფორმას ერთი ერის მიერ მეორე ერის ექსპლოატაციისას. პროფესორი ზომბარტი უფრო შორს მიდის, როდესაც ამბობს, რომ დასავლეთი ევროპა (მსხვილი მრეწველობის ქვეყანა) ღებულობს საქონელს თითქმის უფასოდ მსოფლიოს დანარჩენი ნაწილებიდანო.

საწარმოო საშუალებათა ტექნიკის გაუმჯობესობამ ხელი შეუწყო მსხვილი მრეწველობის სწრაფ განვითარებას. ინგლისის ეკონომისტები სტიუარტ მილი და რიკარდო, რომელნიც ამტკიცებდენ, რომ მარტო ინგლისი იყო მოწოდებული მსხვილი მრეწველობისათვისო, საშინლად მოსტყუვდენ. ოპტიმიზმი არ გაუმართლდა გერმანელ ეკონომისტ ლისტსაც, რომელსაც მხოლოდ ევროპა მიაჩნდა მსხვილი მრეწველობის მხარედ. ამერიკამ ევროპას იმდენად გაუსწრო, რომ ეკონომისტთა გამოანგარიშებით, დღეს მარტო მის წარმოებას შეუძლია მთელი მსოფლიოს მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. ლიბერალისტთა დიდი იმედი — ინდოეთი — არამც თუ აკმაყოფილებს თავის 350 მილიონ მცხოვრებთ, არამედ სხვაგან ეძებს ბაზარს თავის ნაწარმოებისათვის. განუსაზღვრელი ბაზარი, რომელიც ლიბერალურ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა, შეიზღუდა. ჭარბ წარმოებას ვერ უშველა ვერც კარტელებმა და ტრესტებმა, ვერც პროტექციონიზმმა.

ამნაირად, მსოფლიო ეკონომიკა იძულებული ხდება თავისი სტრუქტურა შესცვალოს მრეწველობის დეცენტრალიზაციით და ავტარკიული (თვითდაკმაყოფილების) სისტემის შემოღებით.

სასოფლო მეურნეობის ქვეყნები მსხვილ მრეწველობას იწყებენ, რომ ექსპლოატაციას თავი დააღწიონ; მსხვილი მრეწველობის სახელმწიფონი სოფლის მეურნეობას ხელს უწყობენ, რომ შინაური ბაზარი განავითარონ და მომხმარებელთა მსყიდველობითი ძალა გაადიდონ. საბაჟო კედლის შემორტყმით ეკონომიკა სახელმწიფოს საზღვრებში თავსდება და თითოული ერი სცდილობს მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში თვით დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნილებანი.

ყოველი ქვეყნის ბუნება იმდენად მრავალფეროვანია და ამავე დროს ტექნიკური მიღწევა იმდენად დიდი, რომ ავტარკიული სისტემის განხორციელების საშუალება არსებობს. ყოველ შემთხვევაში იგი მიჩნეულია დღევანდელი ეკონომიური კრიზისიდან განკურნების აუცილებელ საშუალებათ. რასაკვირველია, მომავალში მსოფლიო ალებ - მიცემა კვლავ ფართოდ განვითარდება, მაგრამ იგი სხვა ნიადაგზე იქნება აღმოცენებული. მსოფლიო ეკონომიკაში მონაწილეობას მიიღებს ყოველი ერი, როგორც სრულიად განცალკევებული, დამოუკიდებელი ეკონომიური ერთეული. სანამ მოხდებოდეს მსოფლიო ეკონომიკის ახალ ნიადაგზე დაყენება, ყოველი ერი შეეცდება უფრო და უფრო თავის საზღვრებში ჩაიკეტოს.

ავტარკიული სისტემა არღვევს კავშირს, რომელიც მსოფლიო წარმოებაში არსებობდა სხვა და სხვა ქვეყნის ეკონომიურ ელემენტთა შორის და თითოულ მათგანს საკუთარ სახელმწიფოს უბრუნებს. წარმოებას წმინდა ეროვნული ხასიათი ეძლევა, და როგორც მუსოლინი ამბობს, სიმდიდრისა და წარმატებისათვის ზრუნვა პიროვნულიდან ეროვნულ მიზნად იქცევა.

სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, მთელი წარმოება განუყოფელ ერთეულს წარმოადგენს; მისი დანიშნულებაა ემსახუროს ერის განვითარებას; ვინაიდან ერი და სახელმწიფო ერთი და იგივეა, ამიტომ წარმოების მომწესრიგებული და მისთვის მიმართულების მიმცემი უნდა იყოს სახელმწიფო. ამით შრომასა და კაპიტალს ეროვნული ფუნქცია ეძლევა; მსოფლიო ჰეგემონიის მაძიებელ კაპიტალისტთა კლასისა და ინტერნაციონალური სოლიდარობისათვის მზრუნავი მუშათა კლასის ინტერესები ერთ სახელმწიფოში თავსდებიან. მსხვილი წარმოება, მოკლებული გარეშე ბაზარს, დაინტერესებულია მშრომელი კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებით, მისი მსყიდველობითი ძალის გაძლიერებით; მუშათა კლასიც ხედავს, რომ წარმოება სპეკულაციას და უსაზღვრო გამდიდრებას არ ემსახურება, რადგან იგი კორპორაციათა საშუალებით თვითონ ღებულობს მონაწილეობას წარმოების მოწესრიგებაში. ყველაფერი ეს ხელს უწყობს ეროვნულ მთლიანობას და კლასთა თანამშრომლობას.

ამგვარად, თუ მე-19 საუკუნე მსოფლიო მასშტაბით კლასთა ეკონომიური სოლიდარობა იყო, მე-20 საუკუნე კლასთა ეროვნული სოლიდარობისა და ერთა ეკონომიური თანასწორობის ეპოქა იქნება.

ეროვნულ ინტერესთა უაღრესად განვითარების ხანაში, დღეს ყოველი ერი უფრო კონპაქტური, მტკიცე ერთეულის სახეს ღებულობს. ეკონომიური სოლიდარობის

გრძნობა, გარეშე ძალთა მიერ ნაკარნახევი, კლასთა სოციალური დამოკიდებულების გარდაქმნის ფაქტორად ხდება. ერი გამოდის როგორც მთლიანი კოლექტივი. რომლის დამცველი და უზენაესი გამომხატველი სახელმწიფოა.

იტალიელი მეცნიერი ბატაის აზრით, ეროვნული სოლიდარობა არის რეფლექსი მსოფლიოს არეულ, არამყარ მდგომარეობისა. მისი შეხედულებით, დღეს პიროვნების პირველი მოვალეობა თავის თავის წინაშე არის ეროვნული ინტერესებისადმი დამორჩილება; ასეთ მძიმე და სახიფათო მომენტში უკიდურესი ეგოისტიც სახელმწიფოს უნდა ამოეფაროს და მის დასაცავად იბრძოლოს, რადგან არავის არ მისცემს ბედნიერებას დასაღუპად განწირულ გემზე კარტში ფულის მოგებაო.

პროფ. მანოილესკოს აზრით, დღეს აუცილებელი ხდება ისეთი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც მისცემს თითოულ ერს სრულიად დამოუკიდებელ ერთეულის სახეს, ისტორიაში დღემდე უცნობი ეროვნული სოლიდარობის გამომჟღავნებითო.

ეროვნულ სოლიდარობას ყოველთვის ორი მხარე ახასიათებს: — საერთო მიზანი და თანაბარი საშვალებანი მიზნის მისაღწევად. პირველი იდეალისტურია და გულისხმობს ეროვნული იდეალის არსებობას; მეორე — მიზნის მისაღწევი საშუალება — სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას ნიშნავს. საშუალება - მიზანს, იდეალს ემსახურება. ეროვნული იდეალი არის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი ერის განვითარებისა და შემოქმედებისა; იგი აუცილებელი პირობაა სახელმწიფოს არსებობისა. თუ ერს ეროვნული იდეალი არა აქვს, ის ვერაფერს ვერ შეჰქმნის და ვერც ვერავითარ როლს ითამაშებს.

ლიბერალურ - ბურჟუაზიულ სკოლის ეკონომისტებს ეგონათ, რომ სახელმწიფო მარტო იურიდიული ერთეულია და მას ეროვნული იდეალის ტარების უფლება არა აქვს, რომ მისი მოვალეობა გამოიხატება სახელმწიფოს საზღვრებისა და შინაური წესრიგის დაცვაში. მათი აზრით, ერის იდეალი უნდა განისაზღვრებოდეს პიროვნების პირადი ბედნიერებით და ფიზიკური ჯანმრთელობით. აქედან წარმოშობილმა გადაჭარბებულმა მატერიალიზმმა, პირადი ინტერესების უპირატესობამ და იდეალის უქონლობამ სრულიად ლოღიკურად დასცა ყოველგვარი მორალი და ცხოვ~ს ზნ~ვი მხარე. შემცდარია ის აზრი, რომელსაც ლიბერალ - ეკონომისტები ქადაგებდენ, თითქო ფუფუნებაში და სიმდიდრეში ყოფნა პიროვნებას სულიერად ამაღლებდეს. საუკუნეთა განმავლობაში ცნობილი ფაქტია, რომ ჭარბი სიმდიდრე ყოველთვის გადაჭარბებულ მატერიალიზმს იწვევდა. ადამიანი მატერიალისტური სულით შეპყრობილი, რაც უნდა მდიდარი იყო[illegible] იგი, ყოველთვის უკმაყოფილოა და მისი შრომა მეტი სიმდიდრის დაგროვებისაკენ არის მიმართული. სულიერ[illegible] მხარეს იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევს, ვინემ ღარიბი, რომელიც ნუგეშს მაინც სულიერ სფეროში ეძებს. მჭერმეტყველი ისლამური ანდაზა ამბობს: — თუ ვინმემ ქუჩაში 100 დინარი დაინახა, მას მაშინათვე ათი სურვილი აღეძრება, თითოული სურვილი 100 დინარს ითხოვს; ამნაირად მას ახლა 1000 დინარი სჭირდებაო.

უმაღლესი ეროვნული იდეალის არ - არსებობამ ფული (მატერია) მიზნად დასახა; აქედან გამომდინარეობს ის ზნეობრივი დაცემა და უბედურება, რომელშიაც დღეს კაცობრიობა იმყოფება.

ფაშიზმისა და ნაციონალ - სოციალიზმის სიძლიერე იმაში გამოიხატება, რომ მათ აღიარეს ეროვნული იდეალი და მისი უზენაესობა. ეროვნული იდეალი ჰქმნის უდიდეს ენტუზიაზმს, ერის სასიცოცხლო ძალთა დარაზმვას; მხოლოდ ასეთ პირობებში შეუძლია ერს შემოქმედება და აღორძინება, რადგან იგი სულიერად ამაღლებული, განსაცდელსა და გაჭირვებას იოლად გადაიტანს; ეგოიზმი და მატერიალზმი მის საზოგადოებრივ ცხოვრებას ვერ დაანგრევს.

თანამედროვე ეპოქის მშვენიერ დახასიათებას იძლევა მსოფლიო ავტორიტეტი პროფესორი ზომბარტი: —

„ჩვენ მივაღწიეთ ერთი ეპოქის დაბოლოებას," ამბობს ის, „რომელსაც შეიძლება ეკონომიური ეპოქა ვუწოდოთ. გასული საუკუნე წმინდა ეკონომიური იყო; ეს ნიშნავს იმას, რომ ეკონომიურმა ინტერესმა, ეკონომიურმა ფაქტორმა დაიპყრო სხვა ყველა ინტერსები, კულტურის ყველა ფაქტორები.

„ამ ეპოქაში მარქსი თავისი ისტორიული მატერიალიზმის კონცეპციით მართალი იყო; მაგრამ მისი უდიდესი შეცდომა გამოიხატებოდა ამ იდეის განზოგადოებაში, თითქო ეს პრინციპი ყოველთვის და ყოველგან უცვლელი დარჩებოდა.

„მე ვფიქრობ, რომ ჩვენ მივედით მდგომარეობის განვითარების იმ წერტილამდე, როდესაც ადამიანს არ სურს ეკონომიკას დაემორჩილოს.

„დიდი მოძრაობა, რომელსაც დღეს ადგილი აქვს კულტურულ ქვეყნებში, არის მიმართული ეკონომიკის ბატონობისაგან თავის განსათავისუფლებლად, და თუ მე არ ვცდები, ჩვენ შევდივართ სულ სხვა ეპოქაში, სხვა საუკუნეში, რომელსაც პოლიტიკის ეპოქა ეწოდება. როგორც 150 წლის წინად (ე. ი. ლიბერალიზმამდე), ისე ხელ-ახლა პოლიტიკა იბატონებს ეკონომიკაზე.

„ეკონომიური ეპოქა იყო ერთი ეპიზოდი გასული საუკუნისა. დღეს ის არ არსებობს. ახლა ბატონობს პოლიტიკური ინტერესი, ე. ი. ეროვნული, რადგან ერი სახელმწიფოს ნიშნავს. ეკონომიკას მიჩნეული ექნება თავისი ადგილი, რომ ის არ ბატონობდეს, არამედ ემსახუროს ერს და სახელმწიფოს"

აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ მეოცე საუკუნის პირველი და მთავარი მოთხოვნილების გამომჟღავნება არის ეროვნული იდეალი, ერის. სახელმწიფოს ინტერესთა უზენაესობის გაბატონებას.

ქ. სალია

---

**ჩვენი ყიჟინაა: — საქართველო უწინარეს ყოვლისა! საქართველოს იდეით განისაზღვრება ჩვენი მსოფლმხედველობა და ჩვენი მოღვაწეობაც. სიტყვისაგან: — საქართველო უწინარეს ყოვლისა! გამომდინარეობს ჩვენი დარაზმულობა და ამ დარაზმულობის ბრძოლაც.**

**საქართველოს ფაშისტური დარაზმულობის მიზანია: განთავისუფლებული საქართველო შეიქმნას ეროვნულ სახელმწიფოდ, რომელიც დამყარებული იქნება ფაშიზმის ანუ ეროვნული ერთობის საფუძველზე და განმსჭვალული ქართული ეროვნული სულის ბრწყინვალე ტრადიციებითა და ქართული ისტორიის იდეალებით.**

# ევროპიული კონტინენტალ - პოლიტიკის განვითარებანი

პროფ. დრ. ზანდერსი:

## 2. ხალხთა მიმდინარებანი აღმოსავლეთ ევროპაში.

ხალხთა გადასახლების ისტორია ისევე ძველია, ვით კაცობრიობის. ამასთან ხალხთა გადასახლების დინამიკა ერთგვარად ორგანიულია; იგი ყოველთვის არსებობს. განსაზღვრულ დროში გარკვეულ პირობების გამო იგი თავის სახეს იჩენს და სხვა და სხვა ზომით აშკარავდება; ნაწილობრივ მიმდინარებათა გარდა, ევროპის სივრცეზე ორი დიდი გადასახლება ხალხთა შეიძლება აღინიშნოს:

1. ჩრდილოეთ - დასავლეთიდან სამხრეთ - აღმოსავლეთისაკენ და პირიქით, 2. აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და წინაუკმოდ.

როგორც დიდ ოკეანეში მიმდინარეობს იქით და აქეთ ხალხთა ტალღები და თან მიმოაქვს თავისი კულტურული დოვლათი.

საინტერესოა ამ ხალხთა მიმდინარებას ევროპიულ სივრცეზე დასაწყისიდანვე გავყვეთ. პირველი ნაბიჯები ალბად მრავალ ათასეულ წელთა უკან იქმნა გადადგმული; დღეს გვაქვს საერთო სურათი იმისა, თუ ქრისტეს წინ პირველ ათასეულ წელში როგორი იყო ევროპის ხალხთა გავრცელება და განაწილება; მაგრამ ძნელია დანამდვილებით ითქვას, თუ ევროპა იმ მდგომარეობამდე როგორ მივიდა. ვიცით, მაგალითად, თუ სად სახლობდენ ბერძნები, კოლხები, გერმანები, კელტები, სკვითები, სარმატები და სხ. — ევროპის ეს სურათი უსათუოდ ნაყოფია ხალხთა გადასახლებისა და შეხლისა და ასეც უნდა განვიხილოთ იგი. მაგრამ როგორი იყო ამ გადასახლებათა მიმდინარების და შეხლა - შემოხლათა ტენდენციები, ამისი ცნობა არ მოგვეპოვება.

ქრისტეს წინ, დაახლოებით მეხუთე - მეექვსე საუკუნეში, ვხედავთ ჩვენ დასავლეთ ევროპაში ორი პოლიტიკური ძლიერების დასაწყისს; ესაა რომი და კელტები (იმ ხანად ბერძნები კელტებს ეძახდენ აგრეთვე გერმანებსაც).

რომის განვითარების სვლა ყველასათვის ცნობილია, მაშინ როცა ჩრდილოეთ - დასავლეთ ევროპის პოლიტიკური ძლიერების განვითარებას ჩვეულებრივ ნაკლები ყურადღება ექცევა.

კელტების სამკვიდრებელი უნდა ყოფილიყო ტრანსალპიური გალლეთი (გალლია), ბრიტანულ კუნძულებთან ერთად. აქედან გავრცელდენ ისინი და ბატონობდენ ევროპის უდიდეს ნაწილზე. მათი განვითარების აყვავების ხანაში (300 წ. ქრისტეს წ.) ისინი ფლობდენ ბრიტანეთს, დღევანდელი საფრანგეთის შუასა და ჩრდილოეთს, პირინეის ნახევარ-კუნძულის უდიდეს ნაწილს (აქ შეერიენ ისინი იბერელებს და წარმოიშვენ კელტიბერები), ახლანდელ ბელგიას, ჰოლანდიას, დასავლეთ - დასამხრეთ გერმანეთს, შვეიცარიას, ჩრდილო იტალიას, დონაუს სივრცეს, შავიზღვის ჩრდილოეთ ნაპირებს (მაგ. ახლანდელ დობრუჯას) და გალათიას (თანამედროვე ოსმალეთის შუა პროვინციები).

ჩვენ ვხედავთ, რომ „კელტთა მიმდინარებანი“ ხდებოდენ იაზონის გზის გასწრივ: — რაინი — მაინ — დონაუ — შავიზღვა. კელტთა ტალღები წარმოდინდა ევროპის ჩრდილო - დასავლეთიდან სამხრეთისაკენ, მიაწყდა შავზღვას შემოერტყა მის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაპირებს, ალბად იმიტომ, „ვროს - დარიუსის“ იმპერიას რომ გადაბმოდა.

დაახლოებით 500 წლის შემდეგ ხალხთა გადასახლების ეს მიმდინარება ევროპაში კვლავ განმეორდა. გერმანები (გოტები, ვანდალები, ლანგობარდები, ზუევები და უფრო გვიან აგრეთვე ნორმანები) მოდიან ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და სახელდობრ: იაზონის ორივე გზით: — რაინ — მაინ — დონაუ და დვინა — დნეპრ ან ვოლხოვ — დნეპრ — შავიზღვისაკენ. გერმანთა ტალღები მოაწყდა შავზღვას, შემოერტყა მის ნაპირებს კავკასიამდე და მაშინ წარმოიშვენ მცნებანი: დასავლეთის გოტები და აღმოსავლეთის გოტები (ვესტგოტი და ოსტგოტი).

თუმცა გერმანთა დედული უფრო ჩრდილო - აღმოსავლეთით მდებარეობდა, ვინემ კელტებისა, მაგრამ ისინი ნებით თუ უნებლიეთ, მათ ძალთა განვითარების დროს, არსებითად იმავე პოლიტიკურ მიზნებს ისახავდენ, ვით კელტები. ქრისტეს შემდეგ მესამე საუკუნეში უკვე ვხედავთ გერმანთა სახელმწიფოების განმტკიცების პროცესს.

ევროპის ამ მოწყობისა და აღმშენებლობის მიდრეკილებათა წინაალმდეგ აღიმართენ ხალხთა მიმდინარებანი, რომელნიც აზიიდან წარმოიშვენ. ეს ხალხები თავს იყრიდენ ჩვეულებრივ კასპიის ზღვის ჩრდილო ნაპირის სივრცეზე, ურალისა და ვოლგის შუა. ეს სივრცე იყო ევროპის ნამდვილი დერეფანი (წინა - სივრცე). დონის კულტურის წრეთა (სარმატების), და მეორე ხაზში, აგრეთვე კავკასიის (ლეკების, ჩერქეზების) ამოცანა იყო: აღმოსავლეთიდან ამ მოწოლისათვის შესაფერი წინააღმდეგი მიწოლა დაეხვედრებინათ. როცა ვოლგაზე ამ ძალთა წონასწორობა დაირღვა, მეოთხე საუკუნეში, ჰუნებმა გადმოლახეს ვოლგა. ამ მოვლენამ გამოიწვია საერთო წინწამოჭრა გერმანებისა სამხრეთ - დასავლეთისაკენ (375წ.)

ჰუნები შემოიჭრენ (350 — 452 წწ.) აღმოსავლეთ ევროპასა და ჩრდილო კავკასიაში — იქ, სადაც ბინადრობდენ სარმატები, სკვითები (დნეპრის სივრცეზე) და გერმანები). ატილლა შეიჭრა ჩრდილო - იტალიაში, ემუქრება რომს (452 წ.), თავს ეცემა გალლეთს (451 წ.), ანადგურებს მეტცს და იმარჯვებს მნიშვნელოვან ბრძოლაში კატალანიის ველებზე (451 წ.). ატილლას სიკვდილთან ერთად (453 წ.) ჰუნების ძლიერებას ბოლო ელება. მათი მთავარი მასსები დასახლდენ გერმანთა და სარმატთა შორის. ჰუნების გამოჩენის 200 წლის შემდეგ მდ. დონის სივრცეზე, იგივე ადგილი დაიკავეს ავარელებმა (555 წ.). ამ უძველესმა ალტაურმა მოდგმამ — ავარელებმა — დონის არეზე შექმნეს ავარელთა სახელმწიფო, რომელიც პირველად მხოლოდ ფრანკთა მეფე კარლმა და მისმა შვილმა პიპინმა ვაანადგურეს.

მეშვიდე საუკუნეში ვხედავთ ჩვენ აღმოსავლეთში უკვე ხაზარების სახელმწიფოს. ხაზარები შესდგებოდენ ალბად ტურანული და უგრო - ფინური ელემენტებისაგან. ისინი გავრცელდენ მდ. ბუგიდან მდ. დნეპრის სამხრეთით კასპიის ზღვამდე.. მათ გადარეკეს ბულგარები ჩრდილოეთისაკენ და დაემუქრენ მათ მეზობლებს დნეპრის სივრცეში და კავკასიაში.

კიევის სახელმწიფომ (სვიატოსლავი, 965 წ.) ისინი უკანვე გარეკა. კიდევ მეტი, სჩანს, რომ უკრაინელებმა (კიევი) მაშინ ხაზარების ყველა მხარე აზოვის ზღვის აღმოსავლეთით ნავთსადგურ ტამანამდე დაიპყრეს.

ხაზარების დროსვე ევროპის დერეფანიდან უკვე მოჩდენ მადიარები (უგრო - ფინური ტომი), უცენ - კუმანები (რუსულად პოლოვცები, ტურანული ტომისა. დაახლოებით 750 წ., ქვემო ვოლგის სამხრეთით მობინადრენი) და პეჩენეგები (ქართულად — პაჭანიკები. — მთარგმნელი), ტურანული ტომისა, რომელნიც მეცხრედან მეთერთმეტე საუკუნემდე ევროპის ყურადღებას იპყრობდენ და მე- 12 საუკუნეში კი დონის სივრცეზე მადიარებში გაითქვიფენ. უცენ - კუმანების ნაშთი ახლაც მოიპოვება უნგრეთში.

პაჭანიკები 839 წ. თავს დაესხენ ხაზართა სამეფოს და 867 წ. კიევის სახელმწიფოს (უკრაინა). მათ დაამსხვრიეს ხაზარების და უნგარების შეერთებული ძალა; მანამ კი უნგრელები ხაზარების მორჩილნი იყვნენ. შემდეგ ხანაში პაჭანიკები ხშირად ბიზანტიას ესხმოდენ თავს და აგრეთვე ჯვაროსანთა ომებშიც მონაწილეობას ღებულობდენ.

კუმანებმა (= უცენ) მე - 11 საუკუნეში დაამარცხეს პაჭანიკები და ხაზარები და დაიპყრეს მთელი მხარე შავიზღვის ჩრდილო ნაპირისა მდ. დონაუს ქვემო მიმდინარებამდე და კარპატების აღმოსავლეთით. მათი მთავარი ძალა განადგურებულ იქმნა მონღოლთა მიერ (1223 წ.), რომელნიც მე - 13 საუკუნეში ევროპაში შემოიჭრენ. მაგრამ უფრო კი აღმოსავლეთ ევროპაზე შეჩერდენ.

მაშასადამე, აღმოსავლეთ ევროპის სივრცე შეიძლება დანაწილებულ იქმნას სხვა და სხვა პოლიტიკური სივრცის ერთეულებად.

კავკასიის სივრცეზე ბინადრობდენ უუძველესი დროიდან კავკასიელები; ქრისტეს წინ უკანასკნელ ათასეულ წელში ტრანსკავკაზია (ამიერ კავკასია) შესდგებოდა შემდეგი ხალხური ფაქტორებისაგან:
ტიბარენი, ლაზი, ტაოხი. მოსხი, კოლხი, იბერი. ალბანი. და კასპი.

ცისკავკაზია (იმიერ კავკასია) შესდგებოდა შემდეგი ხალხებისაგან: ტერკეტაე, ციხი, ჰენიოხი, აბასგი, ლეგაე (ლიგიერ — ლესგი). ყველა ეს კავკასიელი ერთი მეორეს ნათესავია (ნ. მარრი). ამ ძირითად ტომებს შემდეგში მოემატენ სპარსული და უფრო გვიან (დაახლოებით მე 9-დან მე - 11-ე საუკუნეში ქრ. შ.) ტურანული ელემენტები და შექმნეს შირვანი, განჯა, რომლიდანაც ახლანდელ დროში სახელმწიფო ადერბაიჯანი წარმოიშვა. დანარჩენი ამიერკავკასიისაგან წარმოშობილ იქმნა პირველად — კოლხ — იბერთა სახელმწიფო, რომელმაც ქრისტიანულ პერიოდში მთლიანი მცნება — გეორგიენ (საქართველო) მიიღო.

იმიერ კავკასიაში ხალხებისაგან ცერკეტაე, ციხი, ჰენიოხი, აბასგი, დაიბადა ჩერქეზობა. ლესგებს ჩრდილოეთ პროვინციებში მიემატენ ლტოლვილნი ხალხთა ახალი ელემენტებისაგან და დღეს წარმოადგენს დაღესტანს.

ჩრდილოეთ კავკასიის სხვა მხარეებმაც დროთა განმავლობაში მიიღეს, შეითვისეს ახალი ელემენტები, ვინაიდან კავკასიას თვით აქვს ძლიერი გამთქვეფელი ძალა (ასიმილიაციის უნარი). კავკასიის მრავალ ადგილთა მიუვალობამ თავდამსხმელთათვის, მეორე მხრივ, მოგვცა ის მოვლენა, რომ იქ შენახულია და დაცული ხალხთა პირველყოფილი ფორმები და პირველადი ელემენტები.

კავკასიამ განიცადა მოწოლა და თავდასხმა ხალხებისა ჩრდილოეთიდან (გაიხსენეთ ხალხთა მიმდინარებანი, რომელნიც აზიიდან დასავლეთისაკენ მიემართებოდენ) და აგრეთვე სამხრეთიდან. მაგრამ თვით კავკასიაზე, მისი გზით, დღემდე უცნობია ხალხთა რაიმე გადასახლება ყოფილიყოს. ეს დამოკიდებულია თავდამსხმელთა წინააღმდეგ არა მარტო თავდაცვითი პოზიციების ხელსაყრელი ვითარებისაგან, რომელსაც კავკასია განსაცვიფრებელი სისრულით გვიჩვენებს, არამედ იმისაგანაც, რომ კავკასია ბარის და ველთა ხალხებისათვის — და ასეთები იყვნენ გავლით თავდამსხმელი ხალხები — რაღაც თავზარდამცემს წარმოადგენდა. რომ აქ გარკვეულიყვენ, ორიენტაცია მოეხდინათ, ისინი დიდ დროს საჭიროებდენ.

კავკასიაში არსებობს ორი გზა, რომელიც ჩრდილოეთ მხარეს სამხრეთთან აკავშირებს: 1. დარიალის ხეობა, რომელიც შუა კავკასიას სჭრის, და 2. გზა, რომელიც კასპიის ზღვის ნაპირს მოსდევს. ამ გზათა გამო კავკასიელებს სხვა ხალხებთან დიდი ბრძოლანი ჰქონდათ.

ხალხთა გადასახლების ტალღები შეეხენ უმთავრესად კავკასიის ჩრდილო ნაწილებს; კავკასიის სამხრეთით ამგვარი ხალხთა ხეტიალი ცნობილი არაა. ამას ალბად ხელი შეუშალა ირანულ სივრცეზე მტკიცე სახელმწიფოთა არსებობამ. ზემო-ნათქვამი მოკლედ შეიძლება ასე გამოიხატოს: — კავკასიის პირველყოფილმა მოსახლეობამ ზოგიერთ ნაწილში ახალი ელემენტები შეითვისა (აგრეთვე ხალხური თვალსაზრისით) და ისინი გარდაქმნა კავკასიელებად, რომელნიც ახლა ძველ კავკასიელებს წარმოადგენენ.

მდინარე დონის სივრცეზე სახლობდენ სარმატები. ახალ გათხრათა აღმოჩენების მიხედვით, ორივე ხალხი — სარმატები და კავკასიელები — მეტად მჭიდრო ურთიერთობაში უნდა ყოფილიყვენ. მეოთხე საუკუნედან ქრ. შემდეგ. მათ შეემატენ ახალი ელემენტები; ამ პროცესის შედეგად ჩვენ დღეს ვხედავთ დონის ყაზახობას; ჩვენ უკვე ვნახეთ. თუ რომელმა ხალხებმა გადაიარეს ამ სივრცეში.

მდინარე დნეპრის სივრცეზე ბინადრობდენ სკვითები. აქ ჩვენ უნდა განვასხვავოთ ქვემო, შუა და ზემო დნეპრი. ქვემო-დნეპრი ანუ შავიზღვის ჩრდილო ნაპირის სივრცე წარმოადგენდა ველებს (სტეპ), მარილიანი ნიადაგით. წინააუკმოდ: შუა და ზემო-დნეპრის სივრცე ტყით იყო მოცული. ქვემო-დნეპრის სივრცე, მაშასადამე, დასახლების მიზნებისათვის არა-ხელსაყრელი იყო. და ამას გარდა მტრის წინაღმდეგ არავითარ თავდაცვის საშუალებას არ იძლეოდა. პირიქით, შუა და ჩრდილო დნეპრის ტყიანი სივრცე, ნოყიერი ნიადაგით შემკული, დასახლებისათვის ფრიად გამოსადეგი იყო.

ქრისტეს შემდეგ პირველ საუკუნეში ჩვენ ვხვდებით დნეპრის სივრცეში დრევლიანებს, პოლიანებს, სევერიანებს და სხ., რომელნიც მეცხრე საუკუნეში კიევის მიერ გაერთიანებული იქმნენ და ამგვარად ახლანდელ უკრაინას საძირკველი ჩაეყარა. ამ მხარეში ხალხის შექმნის პროცესის დროს რომ ძველი სკვითები და სარმატები, რომელნიც ერთ ხანად დნეპრის სკვითებზე ბატონობდენ. არსებით როლს თამაშობდენ, თავისთავად ცხადია.

ქვემო-დნეპრის და ქვემო-დონის მხარე წარმოადგენდა

ხალხთა დიდ შარაგზას, რომელზეც აზიიდან ევროპისაკენ მიმავალმა ხალხებმა გაიარეს (ჰუნები, ავარები, ხაზარები, პაჭანიგები და სხ.. სრულიად დაუცველი ქვემო-დნეპრის სივრცე ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქო ეს მხარე არავისი იყოს, ვინაიდან მას ასე მრავალი ხალხი ფლობდა, მაგრამ თითოული ხალხი რჩებოდა აქ მხოლოდ მოკლე დროით.

შუა და ჩრდილო-დნეპრის ტყე დაცული იყო მტრული თავდასხმებისაგან. უკრაინელები, დნეპრის გასწრივ შავ ზღვამდე, მთელი ზონით დაინტერესებული იყვნენ, რათა შავიზღვის სისტემას გადაბმოდენ. მაგრამ საშიშ ქვემო-დნეპრის მხარეზე უარი სთქვეს.

დნეპრის სივრცის ჩრდილო - აღმოსავლეთით ძევს ვოლგის სივრცე, რომელსაც უგრო - ფინური სივრცე და მე - 14 საუკუნედან მოსკოვის სივრცე შეიძლება ვუწოდოთ. ჩვენ გვესმის ამით სივრცე, დაწყებული ზემო-ვოლგის მხარეებიდან თეთრ ზღვამდე. უკვე პირველ საუკუნეში ჩვენ ვხვდებით აქ უგრო - ფინურ მოსახლეობას.

ვოლგის მხარის ამ უგრო-ფინურ ძირითად მოსახლეობას შეემდინარენ სხვა ხალხთა ტომები. ამ მხარის ხალხის სახე დროთა განმავლობაში გამოიცვალა. მაგ. ბულგარები (ტურანულ - ფინური ხალხთა ტომისა), რომელნიც ცხოვრობდენ დონსა და ვოლგას შუა, ავარელების მიერ იქმნენ დაპყრობილი (558 წ.). მათ გაითავისუფლეს თავი 635 წ. ერთი ნაწილი დასახლდა მაშინ შავიზღვის მხარეში, დნესტრისა და დონაუს შუა (608 წ.) და შეერივნენ აქ მცხოვრებ სლავებს,, რომელთაგან ენაც შეითვისეს. მაგრამ ბულგართა უდიდესი ნაწილი ხაზარებმა ჩრდილოეთისაკენ გადარეკეს. ხაზართა ძლიერება შემდეგ ვოლგის მხარემდე აღწევდა.

ჩრდილო ვოლგის, უფის და ყაზანის მხარეში უგრო - ფინური ხალხები აქა - იქ დღემდე შერჩენილი არიან.

მდინარე კამა და ვოლგის შესართავთან ბულგარებმა დააარსეს სახელმწიფო. მეათე საუკუნედან ბულგარები გამაჰმადიანდენ. პირველად მე- 11 და მე- 12 საუკუნეში გამოჩდენ აქ სლავები ნოვგოროდიდან და კიევიდან და მე-13 საუკუნეში კი მონღოლები. ყაზანელი თათრები არიან ბულგარების შთამომავალნი.

მონღოლთა ბატონობის დროს დაარსდა მოსკოვის სამთავრო (კნიაჟესტვო), რომელიც მონღოლთა დაცემის შემდეგ გახდა ხალხის შექმნის პროცესის თესლად, იმ ახალი პროცესის, რომელმაც მოსკოვური რუსეთი წარმოშვა.

ჩვენ ვხედავთ, მაშასადამე, რომ კვროს — დარიუს — ალექსანდრეს სახელმწიფოთა მისწრაფვებებს დასავლეთი და ჩრდილო ევროპა ასრულებს. პირველად კელტები ( მე - 5 - დან მე - 3 საუკუნემდე ქრისტემდე) იწყებენ, შემდეგ გერმანები (მე - 2 საუკ. ქრ. შ.) განაგრძობენ ევროპის ამ ნაწილების მოწყობას, ორგანიზაციას. აზიიდან ხალხთა მდინარებანი უკუაგდეაენ გერმანებს სამხრეთ - დასავლეთ ევროპისაკენ. დნეპრის სივრცეში, სკვითების — სარმატების საფუძველზე, აღმოცენდება ახალი ხალხი — უკრაინელები. ეს იღებს ხელში შავზღვამდე დნეპრის გზის უზრუნველყოფას.. აზიიდან მოსული ხალხების მოწოლა მე - 8 და მე - 9 საუკ. განსაკუთრებით საგრძნობია. რომ წარმატებით თავდაცვითი ბრძოლა ნაწარმოებ იქმნას აუცილებელი ხდება მტკიცედ მოწყობილი სახელმწიფოს შექმნა დნეპრის მხარეში. დაარსებულ იქმნა კიევის სახელმწიფო, რომელმაც დნეპრის მხარეში გზა შავზღვამდე ახლად აღადგინა.

შუა საუკუნეებშიც გერმანები იჩენენ მიდრეკილებას დასახლდენ აღმოსავლეთის სივრცეში, მაგრამ ეს მისწრაფება უკუქცეულ იქმნა. მე - 18 და მე - 19 საუკუნეში ეს ცდა განმეორდა. დონაუს მხარე, უკრაინა, კავკასია, ვოლგის მხარე შეიცავს გერმანულ ახალშენებს. გერმანელ ხალხის დასახლების რუკა გვიჩვენებს დღეს მე 18 და მე - 19 საუკუნეთა შედეგებს.

ეს არ იყო გეგმით ნაწარმოები პოლიტიკის შედეგი, არამედ ნაყოფი, რომელიც ინსტიქტის მიმართულებამ მოგვცა. სახელმწიფოებრივი მფარველობისა და გეგმის გარეშე შესრულდა გერმანელ ხალხის ელემენტების განაწილება ევროპის აღმოსავლეთში. აშკარაა, ეს ბუნებრივი მოთხოვნილება იყო. მე - 20 საუკუნეში ეს მიდრეკილება კვლავ მარცხდება; ამისი გამომწვევია საბჭოთა მოსკოვი (ვოლგის გერმანელების დევნა!).

ნათარგმანები რევ. ბეთანელი - სა

**მარადისობა**

გადმიხსნა სევდამ გულში იარა.
მზეს მივუშვირე დაჭრილი გული:
ოქროს ისრებით შიგ ჩაიღვარა
სითბო, ალერსი და სიყვარული.

შევხედე მთვარეს ობლად მოარულს
და მომაგონდა დაწყევლილთ ბედი...
და მზის სხივებით გამთბარ სიყვარულს
გადაეფარა შავი ხავერდი.

გამაგრდი გულო! რამ დაგაღონა?
შევსვათ პეშვებით შუქთა კრებული,
რომ სამარეშიც განგების მონა
არ ჩავესვენო გაფითრებული.

ნულა ვიდარდებთ დაღუპულ გზებზე.
გვმართებს გადახდა სოფლის ვალისა:
ჩვენ აქ დავექცნებით. იქ — ჰყვავის მზეზე
ვარდი წითელი წინანდალისა.

დე, სატრფომ ცრემლი ვერ დაგვაყაროს,
არც გვესმას ნანა ზურმუხტ მდელოსი...
მაგრამ ეს მზე, რომ ათბობს სამყაროს,
ოქროს ტახტია საქართველოსი.

მთვარე სახეა მეფე თამარის;
გვირგვინად ადგას თავს ვარსკვლავები.
მთვარე მოსძებნის ჩემს ბნელ სამარეს,
გადმოუშვებს ციდან მკლავები

და მოვესწრები ცივ სიბნელეში
გამოღვიძებას ოქროს დილისა.
ჩუმად! არ გესმის ქართლის ღამეში
ლაღი სიმღერა ავთანდილისა?!

ს. ბერეჟიანი

# სამხედრო ფურცელი

## თექვსმეტი წლის თავზე

შესრულდა ტფილისთან ბრძოლების თექვსმეტი წლის თავი. ამ ბრძოლების ამბები ისე მახსოვს, თითქო გუშინ მომხდარიყო. ბევრი დაიხოცა მაშინ, ბევრი დაიხოცა მას შემდეგ.

წერილი მინდა ვუძღვნა იმათ, ვინც იმ დღეებში შემოსეულ მტერს შეებრძოლა და სამშობლოს სიცოცხლე შესწირა.

ნუ გაგვიკვირდება, თუ საქართველომ ამ ომში გამარჯვება ვერ შესძლო. გამარჯვებისათვის ჩვენი სახელმწიფო მომზადებული არ იყო. **არ იყო მომზადებული არა მარტო რუსეთის წინააღმდეგ, არამედ საერთოდ არც ერთი ომისათვის. ამიტომ ქართული ჯარის მარცხის მიზეზი უნდა ვეძიოთ ჯარის მოწყობის საქმეში და ომისათვის მზადების თავდარიგში.**

დღეს არ შევეხები ჩვენი დამარცხების მიზეზს. თვით ამ მარცხსაც გაკვრით ვიხსენიებ მარტოდენ იმიტომ, რომ როგორც ცალკე პირების, ისევე ჯარის ნაწილების გმირობა უფრო ნათლად გამოჩნდეს.

მაგონდებიან ბევრნი:

მაგონდება გენ. ანდრონიკაშვილი, ტაბახმელის უბნის მეთაური. დინჯი, შეურყეველი, მოხერხებული; ყველას დამამშვიდებელი; ნამდვილი ძველებური ქართველი; ვერ ვიტყვი, რომ მის ქცევაში ტაბახმელასთან ბრძოლის დროს და ჯვარის წერის დროს განსხვავება დიდი ყოფილიყო.

მოვიარე მისი უბანი.

„სანდრო", ვუთხარი მე, „შენს მარჯვენა ფრთაზე ერთი თხრილია; გაუფრთხილდი მას; თხრილები ჩემს მიერ არის გავლებული; ვიცი მიდამოები და ყველაზე ადვილად მოსავლები სწორედ ის არის; მტერი მანდედან დაიწყებს ბრძოლას".

„ძალიან კარგი"-ო, მიპასუხა მან. „ნუ შეწუხდები. ყველგან სათანადოთ დავხვდები".

და შეასრულა კიდეც სიტყვა.

ტფილისის ბრძოლების შემდეგ ავად გახდა. ქსენონში. აბა, რას წავიდოდა და ჩემს ვაგონში მოვათავსე.

ქუთაისიდან მთავრობამ მოითხოვა, კავკასიონის უღელტეხილზე, იქ, ჩვენი ჯარების მოქმედების გასაერთიანებლად, ერთი გენერალი გამეგზავნა. იქ ჰყავდათ საქართველოში გამოჩენილი ორი გენერალი. მე ქუთაისს ამ გენერლების შესახებ შევეკითხე. მიპასუხეს, რომ ისინი ამ მოვალეობის შესრულებას ვერ შესძლებენო.

ვეკითხები სანდრო ანდრონიკაშვილს:

„როგორა ხარ? ჯარების სახელმძღვანელოდ, ქუთაისიდან ერთ გენერალს მთხოვენ. შენს მეტი არავინა მყავს"...

„გუშინ 39 გრადუსი სიცხე მქონდა; დღეს დამიკლო, 38 მაქვს. წავალ; ვიდრე ქუთაისში ჩავალ, ალბად სულ მოვრჩები!".

„მაშ, წადი და მოაწესრიგე ყველაფერი"!.

ავადმყოფი წავიდა!

მაგონდება მეორე გენერალი, ალექსანდრე ჩხეიძე, თავის წაბლის-ფერ მაღალ ფაფახით, მოკლე ჩიბუხით და მოკლე თოფით ხელში! იმ თოფით, რომლითაც 1920 წელს ჩვენ სამხედრო სკოლაზე თავდამსხმელ ბოლშევიკთაგან ორი გადააბრუნა. სადაც კი ტაბახმელასათან ბრძოლაში გაბირვება გამოტყვრებოდა, იქ გაჩნდებოდა! უყვარდა და უყვარს იუნკერი, მაგრამ სამშობლო კიდევ მეტად! ბრძოლის ცეცხლით აღგზნებულ იუნკრებს ამშვიდებს და საკუთარის მაგალითით უჩვენებს ნამდვილ გზას.

ვიცნობთ ერთმანეთს; ერთად ვსწავლობდით. იმ დღეებიდან მეგობრები ვართ. დიდ ომში არა ერთხელ ერთსა და იმავე ბრძოლის ველზე გვიბრძოლია.

მაგონდება ერთი მისი სიტყვა, როცა 1920 წელს ბოლშევიკები ჩვენ სამხედრო სოკლას დაესხენ. მისი მარჯვე მოქმედებით გავდევნეთ ისინი. ზოგი დავიჭირეთ, ზოგი გაგვექცა. და აი, როცა ყოველივე ეს მოვათავეთ და უფროსებმა მორიგ ოფიცრის ოთახში თავი მოვიყარეთ, — სკოლაში მომხდარ ამბავის სრული და ნამდვილი სურათის წარმოსადგენად. — გენერალ ჩხეიძემ თავისი დასკვნა წარმოსთქვა. აქ უნდა ითქვას, რომ ამ თავდასხმის დროს, ერთმა ბოლშევიკმა მეც მესროლა რამოდენიმე ნაბიჯზე და ჩხეიძესაც — ორმა, ხუთ - ექვს ნაბიჯზე და სამივემ დაგვაცდინა. გენ. ჩხეიძემ ეს ამბავი მოკლედ აღნიშნა.

„ახლა შენ მაგასაც ინანი, რომ ვერ მოგვახვედრეს!". ვუპასუხე მე და ყველა დამსწრეს სიცილი აუვარდა.

მაგონდება კაპიტანი ყიფიანი, სამხედრო სკოლის ოფიცერი. როცა ბოლშევიკებმა თავისი სიმრავლით ერთ ალაგზე გვძლიეს, კაპიტანის ნაწილმა უკან დაიხია; თვით იგი კი თხრილში მარტო დარჩა თავის თანაღზრდილ ნაცვალთან ერთად. შეურაცყოფილმა რევოლვერი იძრო და მკერდში ოთხი ტყვია დაიხალა... მადლობა ღმერთს არ მოკვდა! ტფილისის დატოვების შემდეგ კაპიტანი ყიფიანი ქსენონიდან გამოიქცა და დაჭრილი, მცხეთაში ფეხით დაგვეწია. აი, ნამდვილი მხედრული, გმირული სული!

მაგონდება კიდევ ერთი ამბავი. იმ ღამეს, როცა ბოლშევიკები ტფილისს ესხმოდენ, ერთ-ერთ თხრილში, რომელიც ტფილისიდან მტკვრის პირად მიმავალ შარა-გზას დასცქეროდა, მოთავსებული იყო სადარაჯო ათასეულის ერთი ასეული. შტაბში ვაზნების სათხოვნელად ერთი ოფიცერი გამოცხადდა. ეს იყო პირველი ცნობა ბრძოლის ველიდან.

„ვაზნებს მიიღებთ. იქ როგორა ხართ?" ვკითხე მე.

„მაგრად, ბატონო მთავარსარდალო! ჩვენი დარდი ნუ გექნებათ, ვიდრე ერთი კაციც ცოცხალი იქნება, სადარა-

ჯო ათასეული მტერს არაფერს დაუთმობს“! მიპაუხა მან. სამწუხაროდ, მისი გვარი ვერ მომიგონებია.

არ მაგონდება აგრეთვე მეორე ოფიცრის გვარი, მგონია, პირველი ათასეულისა.

ეს იყო სოღანლუღის მთაზე, შავნაბადასთან. ბრუნდებოდა ორი ჯარის კაცის თანხლებით თავის თხრილში. ღამე იყო. უცბად თავის წინ ოცი წითელარმიელი დაინახა. ჩვენი თხრილისათვის ზურგიდან მოევლოთ. ოფიცერმა ხმალი იშიშვლა, ჯარისკაცებმა თოფი შეაგდეს და გაისმა ქართველი ოფიცრის რუსულად ყვირილი:

„დაყარეთ თოფები!“...

ეკვეთნენ ზედ, თოფები დააყრევინეს და ყველა ტყვედ წამოიყვანეს.

მახსოვს გენ. სუმბათაშვილი, უკვე დიდი ომის გმირი, დაჯილდოებული წმიდა გიორგის ჯვარით. ჩვენი დამოუკიდებელი არსებობის სამი წლის განმავლობაში, სადაც კი გაჭირვებული მდგომარეობა შეიქმნებოდა, სწორედ მას აგზავნიდენ. გაჭირვების ტალ-კვესი იყო! როცა, სომხებთან ომის დროს, ჩვენმა ჯარმა სადახლოდან დაიხია, პირველი შეხვედრა გამარჯვებულ მტერთან, რომელიც სადახლოდან ტფილისზე მოიწევდა, მას ერგო. ამ შეხვედრის დროს მოგერიებას არ დასჯერდა და პირიქით, შულავერის შეტევაზე გადავიდა. ჩვენ ამ გარემოებამ გვიხსნა. მოწინააღმდეგეს შეეშინდა შულავერი არ დაეკარგა. ჩვენ ამან მოგვაგებინა დრო, ჯარი მოვაგროვეთ და მტერი დავამარცხეთ. სწორედ ამ ბრძოლაში იყო, რომ ჩვენმა შუაგულის უბანმა მტრის საერთო წყობა გაარღვია და ამისი მეთაური იგივე გენ. სუმბათაშვილი იყო.

მაგონდება სამხედრო სკოლის საინჟინერო ნაწილის უფროსი კაპიტანი თოიძე.

იმ დილას, როცა ჩვენ სოღანლუღიდან მტერი უკუვაგდეთ და მათი 1000-მდე ჯარისკაცი ტყვედ წამოვიყვანეთ, სწორედ ამავე დროს მტერმა ხელთ იგდო კოჯრის მთა. იქიდან ტფილისზე მოიწევდა და ზურგში მოექცა ტაბახმელასთან დალაგებულ ჩვენ ჯარს. აი მაშინ, თანახმად მიღებული ბრძანებისა, კაპიტანმა თოიძემ, იუნკრების თანხლებით, მტერს შეუტია. იქ შესწირა მან თავი სამშობლოს, მაგრამ მტერი შეაჩერა. მეორე დღეს მაშველი მოვიდა და კოჯორი ბოლშევიკებისაგან გავსწმინდეთ.

მაგონდება ამ ტაბახმელასთან ბრძოლის მეორე ამბავიც, არტილერიის ერთი ნაწილისა. ტაბახმელასთან იდგა რამოდენიმე ზარბაზანი კაპ. გ. ალექსი მესხიშვილის მეთაურობით. სროლაში გართულმა ახალგაზრდა ოფიცერმა შეამჩნია რა, რომ ბოლშევიკური კურსანტების იერიში პირდაპირ ბატარეაზე მოჰქონდათ და უკვე გარს ეგრტყმოდენ, მესხიშვილმა შეაჩერა სროლა, თავის ჯარისკაცებს შეჰყვირა: — „ჩემსკენო!“ — იშიშვლა ხმალი და „ვაშას“ ყიჟინით ეკვეთა ბოლშევიკურ რაზმს. ამ დროს მაშველიც გამოჩნდა. იუნკრების ერთი ჯგუფი, ამავე დროს, გვერდიდან დაეტაკა, და მტერი ადგილზე გაათავეს. გაქცევაც ვერ მოასწრო!

მახსოვს კიდევ იუნკერი შალვა ერისთავი. მისი ხიშტით მოკლულ იქმნა წითლების ოფიცერი. სასიკვდილოდ დაჭრილი, ხელიდან არ უშვებდა მტრისაგან წართმეულ ტყვიამფრქვევს; როცა იუნკრები მივარდენ მასთან, მან ერთხელ კიდევ დაიძახა: — „შესდეგ, ვინა ხარ!“ — და სული ღმერთს ჩააბარა.

ჩვენმა პატარა ძალამ ბევრი გმირობა ჩაიდინა და მხოლოდ ამითი უნდა აიხსნას, რომ კვირაზედ მეტს გავუძელით ტფილისთან მტერს, რომელიც ჩვენზე 4 — 5 მეტი იყო.

ყველამ იცის ის გმირობა, რაც სამხედრო სკოლამ გამოიარა, განსაკუთრებით იუნკრობამ; მაგრამ სამხედრო სკოლას წარმოადგენდა არა მარტო იუნკრობა, არამედ აგრეთვე ნაცვალთა ათასეული, ერთი ბატარეა და ტყვიამფრქვევთა ნაწილი.

სკოლაში შესვლისათვის იუნკრისათვის სავალდებულო იყო საშუალო სკოლის დამთავრება; ესე იგი, ის წარმოადგენდა ჩვენ ახალგაზრდა ინტელიგენციას. ნაცვალთა ათასეული კი იმ შემადგენლობისა იყო, როგორც ჩვენი ჯარისკაცები ჩვენ ჯარში. ასე რომ სამხედრო სკოლა თავისი შემადგენლობით, ჩვენს ერს გამოხატავდა.

იმ წელს ჯარში ახალგაზრდების გაწვევა გიორგობისთვეში უნდა მომხდარიყო, მხოლოდ მოახდინეს კი 1 — 10 თებერვალს. სკოლამ ჯარისკაცების შემადგენლობა მხოლოდ ამ დროისთვის ჩაიბარა.

17 თებერვალს სკოლა უკვე ტაბახმელაზე იყო დაბანაკებული საბრძოლველად.

როგორც აქედან დაინახავთ, ჯარისკაცებს ძლივს მხოლოდ რამოდენიმე დღე ეჭირათ თოფი. — და ამ ახალგაზრდებმა, რომელთაც სათანადო სამხედრო წრთვნა არა ჰქონდათ განვლილი, ისევე ისახელეს თავი ტაბახმელის ბრძოლებში, როგორც იუნკრებმა. სკოლიდან ბრძოლაში გაყვანილ ჯარისკაცების რიცხვი არ აღემატებოდა სამას ორმოცდა - ათ მეომარს.

ამ ომში სკოლას მტრისათვის არ დაუთმია, პირიქით, ყველგან სძლია მას და არა ერთხელ დახმარებია მეზობელ ნაწილებსაც.

შევჩერდი ამაზე, რათა ამ ჩვენთვის დიდათ საყურადღებო გარემოებას ყველა ქართველის გულისყური მივაქციო. თუ ეს პატარა ჯგუფი ისე იბრძოდა, რომ ჩვენ ამით ვამაყობთ და ამაში კი ქართველი ერის ყველა წრის ხალხი იყო შესული, **ეს გარემოება მოწმობს იმას, რომ ქართველ ხალხში არც ძველებური სული გამქრალა და არც ძველებური გულისცემა შეჩერებულა.**

**დიდი იმედით უნდა შევყურებდეთ ჩვენი ერის მომავალს, მაგრამ ყოველი ზომა მივიღოთ, რომ ქართველი ერის აღზრდა და სწავლა ხდებოდეს სწორ ეროვნულ კალაპოტში; რომ ჩვენი ერი აღიზარდოს სამშობლოს სიყვარულის ნიადაგზე და ეროვნობის გრძნობებზე.**

ტფილისთან ბრძოლა და საერთოდ 1921 წლის ომი შესანიშნავი სურათია იმისი, თუ როგორ შეუძლია ქართველ ერს იბრძოლოს ომში, როცა ის ამისათვის სწორედ არის აღზრდილი, და პირიქით, რა მავნეა ამ ბრძოლისათვის და საქართველოს მთელი მომავალისათვის, როცა მას ზრდიან უცხოეთიდან მოტანილ აზრებზე და უცხოეთიდან შემოსულ თვისებებზე და თავს ახვევენ ძმათა შორის შურისძიების და შუღლის აზრებს.

ამ 16 წლის თავზე მივმართავ ყველა მებრძოლს, ვისაც კი ამ ომში მონაწილეობა მიუღია: —

გაგიმარჯოთ თქვენ და ღმერთმა განუსვენოს მათ, ვინც თავი სამშობლოს შესწირა. დეე, მათი სახელები ჩვენთვის მარადის სამაგალითო და სანუგეშო იყოს!

გ. კვინიტაძე

## ეროვნული ისპანეთის ბრძოლა

*La lutte nationale en Espagne*

**par colonel Pr. Mic. Tsouloukidzé**

დღევანდელი ეროვნული ისპანეთი შეიძლება შეადაროს ადამიანმა, რომელიც ნახევარი წლის განმავლობაში გაეცნო მთელ მის ვითარებას, იმ გუმს, 50 წლის წინად რომ მოსწყდა თავის საკუთარ საყუდარს და ამ ხნის განმავლობაში უმიზნოდ და უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდა და მხოლოდ გასულ წელს მას აღმოუჩნდა მხსნელი, მესაჭე, რომელმაც იგი ნაპირებს მიაყენა, გადმოტვირთა და გაუძლვა მას ეროვნულ მისწრაფებათა განსახორციელებლად.

ისპანეთი ცნობილი თავისი ძლიერი კულტურით, უმაღლესი მორალით, განსაკუთრებული ხასიათითა და ტრადიციებით, ითვლებოდა ევროპის ერთ-ერთ განათლებულ ერთა შორის პირველ რიგში და თუ დღეს მას აღარ უჭირავს პირველი ადგილი ევროპიულ სახელმწიფოთა შორის, ამისი მიზეზი და ბრალი სავსებით ედება არა მის ეროვნულ-რასიულ თვისებებს, არამედ უცხოეთიდან შემოტანილ, სხვა და სხვა დროს, ანარქისტულ - ნიჰილისტურ - მარქსისტულ, მაშინ ახალ მოძღვრებებს, და დღეს უკვე კულტრულ კაცობრიობის მიერ უკუგდებულ, დაგმობილ აზროვნებას.

ისპობოდა ათასი წლის კულტურა, ირღვეოდა მტკიცე მორალი, ინგრეოდა ოჯახი, ნადგურდებოდა ეკლესია, ძირი ეთხრებოდა ერის სიძლიერეს, — ყველაფერი ის, რაც შეადგენს და რაც ახასიათებს ერის თვითმყოფობასა და ღირსებას!

ასეთი ეროვნული კატასტროფის წინაშე იდგა ისპანეთი გასულ წელს და მამულიშვილებმა კარგად დაინახეს, რომ ისპანეთის გადარჩენა უბრალო კომპრომისებით აღარ შეიძლებოდა; საჭირო იყო ხანგრძლივად მოწამლული სახელემწიფოს გადასარჩენად ქირურგიული ჩარევა და აღმართეს კიდეც იარაღი ერის მოღალატეთა და მის მტერთა წინაამდეგ.

რა მოხდა აქ! ერთი ნაწილი ერისა უარს ამბობს თავის ეროვნულ ცხოვრებაზე, თავის სახელოვან ისტორიაზე; ითვისებს ინტერნაციონალურ ანტიეროვნულ პროგრამას, ეძებს დახმარებას სხვა ქვეყნებში და უცხადებს ბრძოლას თავის ერს, თავის სამშობლოს, რომელიც ერთგული დარჩა ეროვნულ იდეებისა და სახელმწიფო მთლიანობისა! ამ პროგრამით დაარსდა ე. წ. სახალხო ფრონტი, და მას დაუპირისპირდა შემდეგ, ეროვნული, სამშობლოს დამცველი და მხსნელი — ეროვნული ფრონტი. აღიმართა ერთი მხრივ წითელი დროშები — ნიშანი სისხლისღვრისა და სახელმწიფოს განადგურებისა მარქს-ლენინ-სტალინის სურათებით; — მეორე მხრივ — ეროვნული დროშები, რომლის ქვეშ საუკუნეთა მანძილზე იყრიდა თავს ისპანეთის ერი!

აი, აქ ამ ბრძოლაში იფეთქა იმ დიდმა ეროვნულმა თვისებებმა და ტემპერამენტმა, რომელიც ისპანელს ახასიათებს; ბრძოლამ მიიღო განსაკუთრებული ხასიათი...

სწორედ ამ დროს, ენკენისთვის დამლევს, გავემგზავრე ეროვნული ფრონტის ისპანეთში, რათა ჩემი თვალით ადგილზე მენახა დიდი ერის აღორძინების პროცესი!

მე იქ ხუთ თვეს დავრჩი და ეს დრო სრულებით საკმარისი იყო, არ გამომპაროდა უბრალო წვრილმანიც კი.

როდესაც საფრანგეთის საზღვარიდან 300 კილომეტრით შევედი ისპანეთში, სადაც ჩემს თვალწინ გარდაიშალა აუწერელი სილამაზე-სიმდიდრის ბუნება, გავეცანი ამაყ, ფიცხ, ამავე დროს დინჯ, სპეტაკ ხალხს და ჩემთვის გასაგები შეიქმნა ის გაშმაგებული ბრძოლა, რომელიც მაშინ და დღესაც სწარმოებს იქ. ეროვნული ფრონტი ძირიანფესვიანად სწმენდდა სახელმწიფოში ჩაბუდებულ, ამ წარმტაც ქვეყანაში, მოკალათებულ სიბინძურეს.

ვინ იყვნენ ეს მებრძოლნი დასაწყისში?

ჩრდილოეთ ისპანეთში: მოხალისენი, რომელთაც ეძახიან ტრადიციონალისტებს, დამცველთ და შემნახველთ ძველ ადათთა; ესენი არიან კარლისტები; მათი რაზმების უმთავრეს ძალას წარმოადგენს გლეხობა (80 პროც.) და მათი ბრძოლები, თავგანწირულება ზღაპრულია! მათ ეკუთვნის მთელი ჩრდილოეთ ისპანეთის განთავისუფლება წითლებისაგან, სან მარტიელის, გვადალუპის ფორტების აღება სულ უბრალო იარაღით, ურუნის, სოლაზის, სან სებასტიანის დაკავება; ვინც ამ მიდამოებსა და სიმაგრეებს ნახავს, გაკვირდება, როგორ შეიძლებოდა ასეთი ბუნებრივი თუ ხელოვნური ციხეების სამ - ოთხ დღის ბრძოლით აღება! ამ დარაზმულობის ლოზუნგია: „გამარჯვება დატანჯულთ რელიგიისა და სამშობლოსათვის"! მათი რიცხვი დღეს აღემატება 100.000 კაცს, რომლის 3/4 ფრონტზეა. აი მათ შორის, მათ რიგებში ქართველი რაინდებიც იბრძოდენ. მე გავიგე მათი იქ ყოფნა, სამხრეთ ფრონტიდან მათ ვეწვიე, ისინი პირველ ხაზში ვნახე; მათდამი პატივისცემა ისპანელთა მხრივ დიდი იყო.

მოხალისეთა მეორე შეიარაღებულ დაჯგუფებას შეადგენენ ფალანგისტები (ფალანხე ესპანიოლა). ეს ორგანიზაცია შედგენილი იქნა 1933 წელს ღენერალ პრიმო დე რევიერას შვილის მიერ, რომელიცაა გამოჩენილი ვექილი მადრიდისა. ფალანგისტების ორგანიზაცია ფაშისტური არის და მისი ლოზუნგია: ისპანეთი ერთიანი, დიდი, თავისუფალი!; ისინი მსურველნი არიან შექმნან დიდი იმპერია ნაციონალურ - სინდიკალური წესწყობილებით. ამ ორგანიზაციაში თავი აქვს მოყრილი მთელ ახალგაზრდობას და მისი რიცხვი დღეს 200.000-ს აჭარბებს. ამ მებრძოლთა დარაზმულობა გაყოფილია ორ ხაზად: პირველი ხაზი იბრძვის ფრონტზე, მეორე ხელმძღვანელობს მას ორგანიზაციულად და ამავე დროს ეწევა ყოველ მუშაობას ქალაქ-სოფლებში. მათი აღთრფოვანება, რწმენა მომავალი გამარჯვებისა ისე დიდი და მტკიცე არის, რომ მას ვერ შეარყევს ვერავითარი დაბრკოლება და სიძნელე; მათი ბრძოლები, წინსვლა ყიჟინით: გაუმარჯოს ისპანეთს! ვივა ესპანა! არრივა ესპანა! თავს ზარს სცემს მოწინაამდეგეს: ალკაზარი, ბადხოზი, კორდოვა, მერიდა, ოვიედო, მადრიდი და მრავალი სხვა მათი სისხლით არის მორწყული.

ფალანგისტებს დღეს თავში უდგას ბელადის მაგიერი (ბელადი პირველ დღიდანვე წითლებს ჰყავთ ტყვეთ) ისეთი პიროვნება, როგორიც არის ჰედილია, ყოფილი მუშა, მეზღვაური, ტანით ატლეტი და გონებით მაღალი.

მისი ერთი სიტყვა საკმარისია, რომ მთელმა ორგანიზაციამ თავი დასდოს, ვინაიდან მან მოიპოვა ერისა და ორგანიზაციის განუსაზღვრელი სიყვარული და ნდობა პირველივე ბრძოლებით და პირადი თვისებებით. მართალია, ამ ორგანიზაციაში, როგორც ყველგან არიან უღირსნიც, მაგრამ მათ სწმენდენ, საერთოდ კი ეს ორგანიზაცია წარმოადგენს ბრძოლებში აღზრდილ და გამობრძმედილ უძლიერეს ფიზიკურ და მორალურ ძალას. ამ ორგანიზაციაში, პირველ ხაზზე, გავატარე მე ხუთ თვე ნახევარი... უცხოელობა ფალანგაში უმნიშვნელო პროცენტია, თითებზე ჩამოთვლით! ფალანგის დისციპლინა, არ ითქმის, რომ იყოს გერმანული, მაგრამ სულ მოკლე ხანში ამასაც მიაღწევენ.

მესამე შეარაღებული ძალა იყო, დღეს უკვე ძლიერ მრავალრიცხოვანი რეგულიარული ჯარი და „უცხოთა ლეგიონი“ (ლეჟიონ ეტრანჟერ) — 16 — 18 ათასი კაცი. დამოკიდებულება აღნიშნულ დარაზმულობათ შორის არის ძმური, სისხლით განმტკიცებული, ბრძოლებით შედუღაბებული! რეჟიმის საკითხი ომის შემდეგ გადასწყდება და იგი იქნება ისეთი, როგორც ამას მიზანშეწონილად დაინახავს დღევანდელი ეროვნული გმირი, ერის მეთაური ღენერალი ფრანკო.

ღენერალი ფრანკო, რიფების დამმარცხებელი, მათში ზავის ჩამომგდები, უსაყვარლესი და ნდობით აღჭურვილი თვით მაროკელთა მიერ, სულ იშვიათ შემთხვევაში ხმარობს კოლონიალურ ჯარებს, უფრთხილდება მათ. ყურადღებას აქცევს. ამით აიხსნება ის, რომ სრულებით დღეს თავისუფალი ისპანეთის მაროკო განაგრძობს ფრანკოს ერთგულებას და ერთი შემთხვევაც არა ყოფილა აჯანყებისა ან რაიმე სხვა პროტესტისა; პირიქით, აძალებენ რეზერვებს, რომელთაც სურთ ექმნეთ საშუალება მიიღონ ბრძოლებში მონაწილეობა.

ღენერალი ფრანკო უნიჭიერესი ოფიცერი ღენერალური შტაბისა, გამოჩენილი სტრატეგი, ამავე დროს პოლიტიკოსი და დიდი ტაქტის მქონე. იგი მუშაობს 17 — 18 საათს დღეში, სძინავს გაუხდელად, ხელმძღვანელობს პირადათ დიდ ოპერაციებს, ამავე დროს პოულობს დროს გაეცნოს მცხოვრებთა ჭირვარამს და დეკრეტებით აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებათ. მაგალითად: მუშის საკითხი მან გადასწყვიტა სულ მოკლე ხანში. მუშა დღეს მუშაობს იქ 6—7 საათს დღეში, იწყებს მუშაობას 9 საათზე დილით, ათავებს 4 და ნახ. საათზე საღამოს. მისი ხელფასი დამოკიდებულია იმ წარმოებაზე, სადაც იგი მუშად იმყოფება; მწარმოებელს კაპიტალზე უტოვებენ 6 7 პროცენტს მიუხედავათ 1400 კილომეტრზე გაშლილი ფრონტისა, მის ათასგვარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ორგანიზაციის შექმნის მხრივაც ფრანკომ დიდი სასწრაფო ზომები მიიღო და გადასდგა ნაბიჯები, რათა ისპანეთის მიწათმოქმედება განთავისუფლებულიყო ვირ-ჯორებისაგან და მუშაობა მანქანებით შესრულებულიყო: გლეხს ეძლევა ხანგრძლივი კრედიტით ყველა საჭირო მანქანა და მასალა. მიწისმომქმედი თავისუფალია ყოველგვარი ბეგარისაგან, გარდა სამხედროსი და გზების გაყვანა-შეკეთებისა; მიწა მას ეძლევა საკუთრებად; გლეხის ნაწარმოების არავითარი რეკვიზიცია დღემდე არ მომხდარა; მისი მთელი ნაწარმოები გადის თავისუფალ ბაზარზე, სადაც იგი ჰყიდის მას როგორც მოესურვება; თქვენ დაინახავთ ხუთშაბათ-პარასკევობით ქალაქებში მოტანილ ღვინოს (ტიკებით), შინაურ საქონელს; ომის გავლენა ფასებზე არ ემჩნევა; აგრეთვე ქალაქებში მაღაზიები გაჭედილია ყოველგვარი საქონლით; არავითარი შევიწროება ვაჭარ-მრეწველთა, გარდა ათი პროცენტის გადასახადისა, რომელიც დაედოთ მათ დროებით, ომის გათავებამდე, საქონლის არავითარი რეკვიზიცია. ასეთი თავისუფალი მუშაობით სოფელ-ქალაქში, რომელიც დაცულია სახელმწიფოს მიერ, აიხსნება ის თანაგრძნობა, შეწირულებანი, უთვალავი მოხალისენი ჯარში და მთელი ერის ენტუზიაზმი და ნდობა ღენერალ ფრანკოსადმი. არ ყოფილა მაგალითი ფრანკოს ტერიტორიაზე უბრალო კოლექტიური ან პიროვნული პროტესტისა, რომ არა ვსთქვათ რამე აჯანყებაზე, რომელიც ყოფილიყოს მიმართული მთავრობის მოხელეთა ან ჯარისკაცის წინაალმდეგ. სრულებით სიმართლეს მოკლებულია, თითქო მუშები და გლეხები იხვრიტებიან ან ციხეებში ლპებიან. არ ყოფილა ერთი მაგალითიც, რომ ვინმე, თუ ის პირდაპირ მოღალატე არ იყო, ან დაჭერილი ან დახვრეტილი ყოფილიყოს. ნოემბრის ბოლო რიცხვში ერთი ჩემი მეგობარი ბურგოსის ციხეში იქმნა მოთავსებული რევოლვერის სროლისათვის, რომლის დროს უეცრივ მისი მეგობარი დაიჭრა; წაველი მის სანახავად. როგორც სანდო პირს ნება მომცეს ციხეც დამეთვალიერებინა; იქ არ აღმოჩნდა მცირე ქურდ-ბაცაცების გარდა არც ერთი პოლიტიკოსი ან გლეხი ან მუშა დაჭერილი. ბურგოსის ციხე თითქმის ცარიელი იყო!

ის ცნობები, თითქო სამოქალაქო ბრძოლები ისეთ ხასიათს ღებულობენ, რომ მთელი ისპანეთი ნანგრევებს წარმოადგენსო, სიმართლეს მოკლებულია. პირიქით. ღენერალ ფრანკოს განკარგულებით და თვით მებრძოლნიც განსაკუთრებული სიფრთხილით იერიშობენ სოფელ-სოფელზე, ქალაქ-ქალაქზე, და როდესაც დგება საკითხი, რომ ქალაქი საფრთხეში ვარდება, პირდაპირ იერიშებს სწყვეტენ და ღრმა თავ - დავლით აიძულებენ მტერს დასტოვოს პოზიციები. ეს მეთოდი ბრძოლისა შემოღებული იქმნა მას შემდეგ, რაც სამხრეთის და ჩრდილოეთის არმიები შეერთდენ (ფიცხი ბრძოლები ბადახოსის); მას შემდეგ, რაც საფრანგეთის საზღვრებს ( 3 ენკენისთვე) მოაშორეს წითლები. ირუნში ბრძოლა იყო მართლა დაუზოგავი, თუ რისთვის, ადვილი გასაგებია. აქაც კი ორი ქუჩა თუ იქმნა დანგრეული, და ესეც წით-
აქაც კი ორი ქუჩა თუ იქმნა დანგრეული, და ესეც წით-
ლების ბრალია, რომელნიც, როგორც გამოირკვა, უკან ლებს ჰასაც დღესაც სჩადიან მადრიდთან! ეროვნუ ჯარი და მისი არტილერია ანგრევს მხოლოდ გამაგრებულ ფორტებს და სანგრებს. ამისი საუკეთესო მაგალითი მოხდა მადრიდთან: როდესაც 9 — 10 — 11 ნოემბერს ეროვნული ჯარები ტოლედოს მიმართულებით მადრიდს მიადგენ და გადავიდენ მდინარეზე, რომელიც ქალაქს სჭრის დასავლეთით, წითლებმა რამოდენიმე ადგილს ცეცხლი წაუკიდეს, გამოჰყარეს ქუჩებში მშვიდობიანი მოსახლეობა, ბავშები, ქალები („მდიდრის შვილები, ცოლები“), გაისმა დინამიტის აფეთქების ხმა წითლები ქალ-ბავშებს ეფარებოდენ! რასაკვირველია, სარდლობამ იერიში შეაჩერა. შემუშავებული იქმნა თავ-დაცვის გეგმა, შევიწროების, კომუნიკაციის მოსპობა, რისი განხორციელება ქალაქისა და მისი გეოგრაფიული მდგომარეობის მიზეზით გაგრძელდა დღემდე; დღეს ეს

გეგმა შესრულებულია და ქალაქის გზები თითქმის ყველა მოჭრილი. წითლების ფრონტზე რუსის კომუნისტები მიჯაჭვული არიან ტყვიისმფრქვეველებზე, რომ არ გაიქცენ! ამის დოკუმენტები ჩემი თვალით ვნახე. წითლების ინტერნაციონალური ბრიგადა — 120.000 კაცი — იძულებული არის ქალაქი მადრიდი დასტოვოს. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ 7 — 8 — 9 — 10 ნოემბრიდან და არც წინად ერთი ყუმბარაც არ იყო ჩაგდებული მადრიდში! ეროვნული ჰაეროპლანები დიდი სიფრთხილით ეძებდენ წითელ ჯართა ბანაკებს, მათ ჰაეროდრომებს. მათ მომარაგებულ ტყვია-წამალს და მხოლოდ ამ ადგილებს უშენდენ ყუმბარებს. ეჭვის გარეშეა, რომ მადრიდი უცხო ყოფილიყო და არა ისპანეთის სატახტო ქალაქი, ის იქნებოდა აღებული 7 — 9 ნოემბერს. ერთი მითხარით: რა ენაღვლება ინტერნაციონალურ ჯარს, რუსის კომუნისტებს მადრიდის ისტორიული ძეგლები, მშვენიერი ხეივანები და გამზირები, მისი ბაღები და მდიდრულად მორთული მრავალსართულიანი სახლები, — როდესაც ფრანკოს ჯარში ყოველი ჩამოვარდნილი აგური იწვევდა მწუხარებასა და ტკივილს! ფრანკო უკვე შეუდგა ცნობილი ალკაზარის აღდგენას; იქ დღეს მუშაობენ მოხალისენი და სპეციალისტები. აგრეთვე სიჩქარით კეთდება გზები, ხიდენი, და ყველა დაზიანებული ადგილი.

რომ ისპანელები ძველი მეომარი და ამაყი ერი არის, ამას ასაბუთებს ხასიათი ბრძოლებისა. საკმარისია ისპანელმა რამოდენიმე დღით თოფი ხელთ იგდოს, რომ უკვე გაიძახოდეს: გამიშვით ფრონტზეო; ფრონტზე კი მას ავიწყდება ყოველივე, გარდა მტრისა; იერიშის დროს ერთი მეორეს ასწრებს; ამ გასწრების მიზეზით ხშირად ირღვევა მხედრული წესი და დისციპლინა; ისპანელი იბრძვის მთელი თავის არსებით; მართალია, კვება ჯარის უხვი და სრულებით უზრუნველყოფილი იყო ხოლმე მთელ ათასოთხას კილომეტრიან ფრონტზე, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, რომ დიდი ცეცხლის გამო, სანოვაგე დროზე არ მოუწოდებიათ; ამის გამო არც ერთ ისპანელს სიტყვაც არ დაუძრავს! ჭამის საკითხის წამოყენება ბრძოლების დროს მათ სირცხვილად მიაჩნიათ! რწმენა, რომ ის იქნება ხვალ დიდი, მთლიანი, თავისუფალი იმპერიის შვილი, ავიწყებინებს მას ყველა პირად მოთხოვნილებებს! ერთი სიტყვით — ეს ხალხი წარმოადგენს იშვიათ სამხედრო და სახელმწიფოებრივ ელემენტს და ახალ ისპანეთს ჩაეყარა უკვე საფუძველი! ხოლო თუ მას მიეცემა სათანადო ტექნიკური და თეორიული სამხედრო მომზადება, იგი გადააჭარბებს სულ მოკლე ხანში დიდ შეიარაღებულ და ყოველმხრივ მოწყობილ სახელმწიფოებსაც კი. აი, ამ გეგმის აღსრულების გზას ადგია დღეს ისპანეთის ეროვნული გმირი ღენერალი ფრანკო; ამით აიხსნება ის უდიდესი ორგანიზაციული მუშაობა, რომელიც იქ ხდება დღეს. რეორგანიზაცია, განახლება, აღმშენებლობა ყოველ დარგში: ახალი გზები, ვიადუკები, მოტორიზაცია და სხვა და სხვა; ამასთან მჭიდრო კავშირი მეზობელ ქვეყნებთან, რაც ხელს უწყობს მას ეროვნულ ბრძოლაში და მუშაობაში.

ეროვნული ისპანეთის ეკონომიური და ფინანსიური პოლიტიკა სავსებით განირჩევა სხვა ქვეყნების პოლიტიკისაგან, რომელთაც თავს დაატყდათ გარეშე ან შინაური ომი და რევოლუცია. ყველას ახსოვს, რომ ომიანობის დროს ფული ყალბდებოდა და სიძვირე სისწრაფით იზრდებოდა და მასსების უკმაყოფილებას იწვევდა. ეროვნულმა ისპანეთმა ეს უბედურება აიცდინა; ის დაკმაყოფილდა იმ ფულით, რომელიც მის ტერიტორიაზე ტრიალებდა; ფრანკოს მთავრობას არ გამოუშვია არც ერთი ქაღალდის ფული; სესხიც კი არ მოუთხოვია ხალხისაგან; მან თავისი ბეჭედი დაასვა (ესტატო ესპანიოლ, ბურგოს) მის საზღვრებში დარჩენილ ფულს და ამით მოსპო ყოველივე შესაძლებელი კავშირი წითლებთან და აიცდინა თავიდან ფულის სპეკულაცია; თავის ტერიტორიაზე კი ამით მან მოიპოვა ნდობა ხალხისა და სიმტკიცე ფულისა. ცხოვრება, რაც დრო გადიოდა, მით უფრო იაფი ხდებოდა; მაგ. კილო პური აქაურ ფულზე ღირდა 1 ფრანკი; ხორცი კილო — 3 ფრანკნახევარი, ქათამი — 6 ან 7 ფრანკი და სხვა ასე. ყურძენი ვერ გადასცილდა 60 სანტიმს. სადილი, 5 — 6 თავიანი ღირს 5 ფრანკი. თამბაქო, წუმწუმა, ბენზინი, ზეთი ორჯერ იაფი, სავაჭრო საქონელიც მეტად იაფი, ვიდრე აქ. ცხოვრების ასეთმა სიაფემ და ფულის სიმტკიცემ გაზარდა ხალხის ნდობა და კეთილი განწყობილება მთავრობისადმი.

ერთი საინტერესო „ბეგარა“ დაედოთ ისპანელთ ამ უკანასკნელ თვეებში. ამ ბეგარას ჰქვია პლატო უნიკო, რაც ნიშნავს ერთ თავ საჭმელს. ეს ბეგარა არის „გლოვა“ და აქვს რელიგიური ხასიათი, ხოლო შემოსავალი მიდის დასახიჩრებულ და ეროვნულ საქმისათვის თავდადებულთა სასარგებლოდ. პლატო უნიკო არის თვეში ორჯერ, თვის პირველს და 15-ს; ამ დღის წინ გაზეთები აცხადებენ, რომ ხვალ მთელი ისპანეთი იკვებება ერთი თავით ეროვნული საჭმელისა ჩვეულებრივი სადილის ფასში; გადარჩენილი ფული, როგორც ვსთქვით, ხმარდება ზემოაღნიშნულ მიზანს. ეს ორი დღე „მარხვა“ იძლევა მთელ ისპანეთში რამოდენიმე ათეულ მილიონ პეზეტას.

ისპანეთი ცნობილია თავისი ოქრო-ვერცხლით, რომელიც საკმარისად იყო განაწილებული ხალხში. დღეს, ეროვნული ბრძოლის დროს კერძო შემოწირულება მეტად საგრძნობია. ერთ პატარა ქალაქ კორუნიაში მე თვითონ დავესწარი „ოქროს საღამოს“; იქ იქმნა იმ დღეს შეწირული ხალხის მიერ 220 კილო ოქრო. ამით ადვილად შეიძლება წარმოიდგინოთ, რა რიცხვს შეადგენდა მთელი ეროვნული ისპანეთის მიერ შეწირული ოქრო, როცა ქალაქი ქალაქს ეჯიბრებოდა და სოფელი სოფელს. მე ამით ხაზი მინდა გავუსვა იმ მდგომარეობას, რომ დღევანდელ ეროვნულ ბრძოლაში ინტერნაციონალიზმის წინააღმდეგ იბრძვიან არა მარტო ღენერლები და მაროკოს ლეგიონერები, როგორცავრცელებენ ხმებს, არამედ მთელი ეროვნულად მოაზროვნე ისპანეთის ხალხი და რასაკვირველია გამარჯვება მას დარჩება და მით უზრუნველყოფილი იქმნება დიდი მომავალი ისპანეთის ხალხისა.

სანამ ისპანეთს ეყოლება ისეთი შვილები, როგორიც არიან: — ღენერალი ფრანკო, რომელიც ტანთგაუხდელი 17 — 18 საათი მუშაობს; ღენერალი მასკარგო რომლის თვალწინ იქმნა მისი 19 წლის ვაჟი დახვრეტილი, რადგან მან უარი სთქვა დანგრეული ციხის ალკაზარის ჩაბარებაზე, რითაც შექმნა ზღაპრული სიგმირე მთელს მსოფლიოში; ღენერალი არანდა, რომელმაც 600 — 700 ჯარისკაცით შეინარჩუნა მძიმე ინდუსტრიული ქალაქი ოვიედო და უკუაგდო 15 — 20 ათასი წითელთა ურდოები თვეთა განმავლობაში; უნიჭიერესი და განსაკუთრე-

ბული ხასიათის და ნების ყოფის ღენერალი გიეპო დე ლიანო, რომელმაც სამასი კაცით გაანთავისუფლა მთელი ანდალუზია წითლებისაგან; ღენერალი მოლლა, გამოჩენილი ორგანიზატორი და სტრატეგი, იშვიათი მხედარი, რომელმაც შეჰქმნა ჩრდილოეთ ისპანეთში ჯარი და მოიპოვა ხალხის გული და თანაგრძნობა; პოლკოვნიკი იაგვა, ალკაზარის და ტოლედოს განმათავისუფლებელი, რომლის იერიშები თავისი სიჩქარით და სიფიცხით ცნობილია, როგორც თავზარდამცემი მტრისა; ეროვნული შეფი ფალანგისტებისა სენიორი ედილია, რომელმაც შეჰქმნა 200.000 უდიდესი ფაშისტური მებრძოლი ორგანიზაცია, დღეს თვალი, ყური და გუშაგი ეროვნული ისპანეთისა; მისი თანამშრომელი სანჩო ხოზე სიმ და სხ;, ძველი ტრადიციების მატარებელი, სილამაზე და სიამაყე ერისა კარლისტები;, — ისპანეთს არ მოელის საფრთხე, თუგინდ მთელი კომუნისტური რუსეთის და სხვა ქვეყნებისაც კომუნისტი „მოხალისენი“ მას თავს დაესხან. ეროვნული ისპანეთის ერთგული შვილნი, დაკავშირებულნი ერთან, მის ზნესთან, ჩვეულებებთან; შეკავშირებულნი ერთი რწმენით, რომ ისპანეთი უნდა აღსდგეს დიდი, ერთიანი, თავისუფალი, ადვილად გამოიყვანებენ თავის სამშობლოს ფართო გზაზე. სადაც მას სიძნელე და ბოროტება ვერ დააბრკოლებს ეროვნულ მისწრაფებათა აღსრულებაში.

ფრიდონ წულუკიძე

## ი ს პ ა ნ ე თ შ ი

### ბილბაოს მიმართულებით

კარლისტთა რიგებში იმყოფება რამოდენიმე ქართველი. თუმცა ჩვენს ხაზზე შედარებით მყუდროებაა და მხოლოდ არსებული მდგომარეობის შენახვაა საკმარისი, მაინც შესაძლებელი გახდა ქართველთ თავი გამოეჩინათ: — სამაგალითო სამსახურით, და სარდლობის წიერ ისინი უბრალო ჯარისკაცებიდან აყვანილი შეიქმნენ ოფიცერთა ხარისხამდე.

რა თქმა უნდა, ეს ქართველი მხედრები წარსულში ოფიცრები იყვნენ, მაგრამ მოხალისეთა რიგებში მხოლოდ ჯარისკაცებად ირიცხებოდენ, როგორც უცხოელნი.

წითლების მდგომარეობა უნუგეშოა: -- შიმშილი, ავადმყოფობა, გახრწნა და სულიერი სიმდაბლე — აი მათი დამახასიათებელი თვისებანი.

ამავე დროს კარლისტები ფალანგისტებთან ერთად აღარებენ სულს ძლიერს, სურვილს ბრძოლისას და დაუეჭვებელ იმედს საბოლოო გამარჯვებისათვის.

ჩვენ, ქართველები, ამჟამად კარლისტთა რიგებში მყოფნი, ბედნიერი ვართ, რომ გვეძლევა საშუალება, თუნდაც აქ, ისპანეთში, ნავარის მთებში, ჩვენი სამშობლოს დამაქცევარ იდეის მატარებელთ ვებრძოლოთ.

შორს არ უნდა დარჩეს ის დრო, როდესაც ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების ზარიც დაჰკრავს.

ამ დროისათვის გვსურს და ვიქნებით ქართველ ერთან ერთად მებრძოლთა პირველ რიგებში.

ალ. ამ.

ბილბაოს მხარე. მარტი.

## სამხედრო სამზადისი

დღეს უკვე ყველასათვის აშკარაა, რომ მომავალი ომი არ იქნება ომი მხოლოდ ჯართა შორის, არამედ იგი იქნება ომი შეიარაღებულ ერებისა; იგი იქნება გამოცდა ერის ყველა ნაწილისა, სახელმწიფოს ყველა აპარატისა. ერთი მთავარი ნაწილი სახელმწიფოსი, რომელსაც დასჭირდება მთელი ძალების დაჭიმვა, დიდი ენერგიის დახარჯა, როგორც თვით ომის პროცესში, აგრეთვე მისი სამზადისის ხანაშიაც, არის სამხედრო მრეწველობა, და საერთოდ, მძიმე ინდუსტრია.

ჩვენ შეგვიძლია თამამად გამოვსთქვათ აზრი, რომ სახელმწიფოს წარმოება სულ მუდამ ომის პროცესშია, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, როდესაც პაციფისტური, აგრეთვე განიარაღების იდეები, სამუდამოდ თუ არა, დიდი ხნით მაინც, ჩაბარდა ერთა ლიგისა და სხვა მის მზგავს დაწესებულებათა არქივებს. რაც უფრო იზრდება სახელმწიფოების სამხედრო ბიუჯეტი, მით უფრო ძლიერია ქარხანათა მუშაობა; რაც უფრო იზრდება რომელიმე სახელმწიფოს ჯარი, მით უფრო მეტი ამოცანა ეძლევა სამხედრო ინდუსტრიას; ამიტომ, გასაკვირველი არ არის, რომ გერმანიის ჯარის ასეთმა სწრაფმა გადიდებამ ერთგვარი ეჭვი წარმოშვა ზოგიერთ სამხედრო წრეებში და არა ერთ სამხედრო ავტორიტეტს დაასმევინა საკითხი: — „აქვს თუ არა გერმანიას საკმარისი მასალა, საჭურველი და იარაღი, და მის ინდუსტრიას საშუალებანი ამ გასამკეცებული ჯარის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად?“. (ჩვენ მხედველობაში გვაქვს რაიხსვერის 100.000 კაციდან 300.000 რიცხვამდე აყვანა. ყველა ჩვენი ციფრი და ანგარიში გამომდინარეობს 1936 წ. სამხედრო ბიუჯეტიდან და ნავარაუდევია ამ ოფიციალურ 300.000 კაცის მოთხოვნილებათათვის).

რომ ამ კითხვაზე სწორი პასუხი გავსცეთ, საკმაოა მივაქციოთ ყურადღება ამ სამიოდე წლის წინად „ბერლინერ ტაგებლატ“-ში მოთავსებულ წერილს გერმანიის სამხედრო ბიუჯეტის შესახებ. მაშინ, როდესაც რაიხსვერი 100.000 კაცს უდრიდა.

„1913 წლის სამხედრო ბიუჯეტი — მაშინ, როდესაც იმპერატორის ჯარი უდრიდა 600.000 მსოფლიოში საუკეთესოდ შეიარაღებულ ჯარისკაცს — არ აღემატებოდა 65 მილიონ მარკას; დღეს 100.000 რაიხსვერის ბიუჯეტი 95 მილიონ მარკას შეადგენს“.

აქედან არითმეტიკული დასკვნა: ხარჯები 100.000-იან რაიხსვერზე 7 — 8 - ჯერ მეტია, ვინემ იმპერატორის 600.000-იან ჯარზე. ამ პროპორციიდან ადვილია გამოანგარიშება, თუ რამდენია ხარჯი დღევანდელ 300.000 რაიხსვერისა.

ახლა განვიხილოთ, თუ როგორ არის განაწილებული

სამხედრო ბიუჯეტი, ან როგორი სისტემით აიარაღებს გერმანია ასე სწრაფად გაზრდილ ჯარს.

ჩვეულებრივი საველე ზარბაზანი ღირს 35.000 მარკა. ანუ 200.000 ფრანკი. ამ ზარბაზნის ვარგისობის შესანარჩუნებლად, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ამ ზარბაზნის ამორტიზაციისათვის ევროპიულ ჯარებში გაღებულია 6.000 ფრანკი წლიეურად, მაშინ როდესაც გერმანულ ჯარში ამ მიზნით იხარჯება 100.000 ფრანკი წლიურად. მაშასადამე, მაშინ როდესაც ყველგან ზარბაზნის განახლება ან შეცვლა ხდება 30 — 35 წელში ერთხელ, გერმანიის ჯარში ყოველ ორ წელიწადს ახალი ზარბაზანი ემატება, ანუ ზარბაზანთა რიცხვი ორკეცდება. ეს პროცესი გერმანიის ჯარში ხდება მას შემდეგ, რაც შესწყდა მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის მოღვაწეობა, ესე იგი, რვა — ცხრა წელიწადია. აქედან კიდევ ერთი არითმეტიკური დასკვნა: — ამ რვა-ცხრა წლის განმავლობაში რაიხსვერის საველე ზარბაზანთა რიცხვი 5-ჯერ გაიზარდა. მხოლოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რაიხსვერის დივიზიათა რიცხვი სამჯერ გადიდდა (100.000-დან სამასი ათასამდე). მაშასადამე, ამ ახალ დივიზიებს არამც თუ აქვს საკმარისი რიცხვი ზარბაზნებისა, არმედ ქვს ორმგი რაოდენობაც.

შემდეგ. ჰოჩკისის ცყვიამფრქვევი ღირს 2.000 მარკა, ესე იგი, 12. 000 ფრანკი. ამ ტყვიაფრქვევის ამორტიზაციისათვის სხვა სახელმწიფოებში გადადებულია 350 ფრ. გერმანულ ჯარში კი 22.000 ფრანკი წლიურად. ამგვარად: გერმანულ ჯარში ტყვიაფრქ. რიცხვი ყოველ ორ წელს სამდება, და ახალი რაიხსვერის დივიზიები იარაღდება ტყვიამფრქვევთა გათხებულ რაოდენობით.

**თოფები**. იმპერატორის ჯარში თოფის ამორტიზაციისათვის გადადებული იყო 25 ფრ., რაიხსვერს ეძლევა ახლა 309 ფრ. წლიეურად. თოფის ღირებულებაა 600 ფრ. მაშასადამე: თოფების რაოდენობა ყოველ წელში ორკეცდება. ეს რიცხვი საკმარისია არამც თუ 300.000-ან. არამედ 600.0000-ან რაიხსვერისათვის.

როგორც ვხედავთ, სამხედრო ბიუჯეტი ისე მოხერხებულად არის მოწყობილი, რომ ის იარაღის ამორტიზაციისათვის გაღებული ფულით ახალ იარაღს იძენს. ამ სისტემის წყალობით უკანასკნელ 7 — 8 წლის განმავლობაში გერმანულმა ჯარმა ხელუხლებელ მარაგში მოათავსა 3.000 ზარბაზანი, 20.000 ტყვიამფრქვევი, 2.000 ყუმბარათმტყორცნელი და სხვა და სხვა (1).

მიუხედავად იმისა, რომ ეს თადარიგი თვალსაჩინო რაოდენობას წარმოადგენს, ის საკმაოა მხოლოდ რამოდენიმე კვირის განმავლობაში, და მთავარი წყარო ომში ჩაბმულ ჯარის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იქნება მძიმე ინდუსტრიის მობილიზაციის შემდეგ ქარხანათა წარმოება.

გერმანია ამ მხრივაც ბევრად მაღლა სდგას სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, რასაც გვიმტკიცებს წარსული დიდი ომი. გერმანია, მტერთაგან გარს შემორტყმული. საჭირო ნედლი მასალის შემოზიდვის ყოველგვარ გზებსა და საშუალებებს მოკლებული, არამც თუ თვითონ იყო საუკეთესოდ შეიარაღებული, არამედ ოთხი წლის განმავლობაში აწვდიდა საკმარის და საუკეთესო იარაღს თავის მოკავშირეთ: ავსტრო-უნგრეთსა და ოსმალეთ-ბულგარეთს. მაგრამ გერმაანიის ინდუსტრიის ძალების დაჭიმვამ უმაღლეს წერტილს მარნის ბრძოლის წაგების შემდეგ მიაღწია. მარნის შემდეგ არტილერიის დანაკლისი იდენად დიდი იყო, რომ ბატარეებში მხოლოდ სამ-სამი ზარბაზანი-ღა რჩებოდა. ზარბაზანთა მრავალი რიცხვი გასკდა ხშირი სროლისაგან. საფრანგეთის ფრონტზე სულ იყო 3.000 ქვემეხი, და ვიცით რა ძალდატანება დაადგა არტილერიას ამ ფრონტზე. მაშინდელმა ინდუსტრიის სწრაფმა მობილიზაცამ გაცილებით დიდი ნაყოფი მოიტანა და ბევრად გადააჭარბა კიდეც მოკავშირეთა ინდუსტრიის მობილიზაციას. მოკავშირენი გაჭირვების პირველ თვეებში 300 ზარბაზანს აკეთებდენ თვეში, მხოლოდ ორი წლის შემდეგ ეგ რიცხვი აიყვანეს 600-მდე. გერმანელების მთავარმა შტაბმა მარნის ბრძოლათა წაგების შემდეგ მოითხოვა აჩქარებული ტემპით იარაღის დამზადება. დაუყონებლივ უნდა გაეკეთებინათ 100 ქვემეხი თვეში და რაც შეიძლება ჩქარა ეგ რიცხვი აეყვანათ 500-მდე. 4 თვის შემდეგ, ე. ი. 1915 წ. იანვარში, ამოცანა შესრულებულია. ეს რიცხვი მიჩნეული იყო საკმარისად და შტაბის უფროსმა, ღენერალმა ფალკენჰაიმმა განაცხადა: „500 ზარბაზანი თვეში სრულიად საკმაო გერმანიის ჯარის უზრუნველსაყოფად“-ო. მაგრამ სრული ერთი წლის შემდეგ, ე. ი. 1916 წ. მკათათვეს, სომის ბრძოლების შემდეგ, გერმანული შტაბი დარწმუნდა, რომ 500 ზარბაზანი აღარ არის საკმარისი და ინდუსტრია ღებულობს ამოცანას: „ აიყვანოს დამზადებულ ქვემეხთა რიცხვი 500-დან 1.500-მდე თვეში“; 4 თვის შემდეგ, ე. ი. 1916 წ. დეკემბერში, შტაბს მოსდის ცნობა: „ამოცანა შესრულებულია, ვაკეთებთ 1.500“-ს. კიდევ ერთი წლის შემდეგ, 1917 წ. ივლისში, შტაბი რწმუნდება, რომ არც ეგ რიცხვია საკმაო და სამხედრო მინისტრ, ღენერალ გროენერთან შეთანხმებით, ლუდენდორფ იბრძანებს: — „აიყვანეთ ქვემეხთა ჩამოსხმის რიცხვი 2.000-მდე“!

ამისი მიზეზი მარტო ის არ იყო რომ ზარბაზნები ხშირი სროლისაგან სკდებოდა, არამედ ისიც, რომ ომის პროცესშიც სდგებოდა ახალი დივიზიები და მათთან ერთად არტილერიის ახალი ერთეულები. ორი თვის შემდეგ ლუდენდორფის ბრძანებისა, ქარხნები აკეთებენ 2.000 ზარბაზანს თვეში და 1918 წ. დასაწყისში კი ეგ რიცხვი აყვანილია 2.5000-მდე. და ამასთან შტაბმა მიიღო ცნობა, რომ თუ საჭიროება მოითხოვს, ქარხნები შესძლებენ ამ რიცხვის 3.000-მდე აყვანასო.

**ტყვიაფრქვევი**. როგორც ვიცით, თანამედროვე ქვეით. ჯარის მთავარი და ძლიერი იარაღია ტყვიამფ. და მისმა წარმოებამ ჯერ კიდევ წარსულ ომში ასტრონომიულ ციფრებს მიაღწია. მოკავშირეთა სახელმწიფოები დასაწყისში ამზადებდენ ხუთ ტყვიაფრქვევს დღეში; ომის დაბოლოებისას — 4.500 თვეში.

გერმანელები იმავე ხანაში ამზადებდენ 6 ტყვიფრქვ. დღეში, 1915 წ. 800 ცალს თვეში; ხოლო 1917 წ. უკვე 7.000 ცალს თვეში. მაგრამ ლუდენდორფმა არც ეს იცნო საკმარისად. 1917 წ. მეორე ნახევარში, მისი ბრძანების შემდეგ, ტყ.ფრქ. წარმოება აიყვანეს 14.000-მდე თვეში.

**თოფი**. ადვილი წარმოსადგენია, სანამდე ავიდა თოფების რიცხვი. იყო ხანა, როდესაც გერმანია აკეთებდა

(1) ციფრებითი ცნობები ამოღებულია —

Colonel Riboult : Mobilisation industrielle; Colonel Doumène : Les Transports; პოლკ. შუმსკი: პერმანენტნაია მობილიზაცია.

250.000 თოფს თვეში, ხოლო მთელი ომის განმავლობაში გერმანიის ქარხნებმა დაამზადეს 10.000.000 (ათი მილიონი) თოფი, რაც საკმარისი იყო მთელი ევროპის ჯარების შესაიარაღებლად. ამ რეკორდულ ციფრებს გერმანელებმა მიაღწიეს სამხედრო წარმოების ხელოვნური ორგანიზაციით: თოფის 67 ცალ-ცალკე ნაწილი მზადდებოდა სხვა და სხვა ქარხანაში, ხოლო ყველა ამ ნწილს თავს უყრიდენ უკვე არსენალებში.

**დენთი.** ყველაზე დიდი განსაცდელი გერმანულმა სამხედრო წარმოებამ განიცადა დენთის (თოფის წამლის) დამზადების გამო, ვინაიდან სრულიად არ მოეპოვებოდა საჭირო მასალა: ბამბა, გლიცერინი. მიუხედავათ ამისა. ქიმიურ ლაბორატორიებში დამუშავებული „ერზაცების“ (მაგიერის) საშუალებით გერმანელები ამზადებდენ 12 ათას ტონა დენთს ესე იგი იმდენს, რამდენსაც ყველა მოკავშირენი, რომელთა ხელში იყო ყოველგვარი ნედლი მასალა.

ყოვლივე ზემო-აღნიშნული ცნობებიდან, სამხედრო ბიუჯეტის დანაწილებიდან და ციფრებიდან, რომელიც ოფიციალურია და უდავო, აშკარადა სჩანს, თუ რა შესაძლებლობანი აქვს შეუდარებელ გერმანულ ინდუსტრიას იმისათვის, რომ დაამზადოს საკმარისი თადარიგი იარაღისა, თუ მთელი ომისათვის არა, ყოველ შემთხვევაში, ომის პირველი თვეებისათვის; მხოლოდ თვით ომის დროსაც, როგორც ზემოდ დავინახეთ, გერმანული ინდუსტრიის ძალების დაჭიმვა სწრაფად და საკმაოდ დააკმაყოფილებს მომქმედ ნაწილთა მოთხოვნილებას..

გერმანიის ჯარის მუდმივი ზრდა და განუწყვეტელი შეიარაღების პროცესი ძლიერი სახისაა. ერი, რომელსაც ჰყავს გაწრთვნილი ჯარი, საუკეთესოდ შეიარაღებული, და ომის პირველი თვეებისათვის დამზადებული და მომარაგებული იარაღი, არ შეიძლება ძილს არ უფრთხობდეს პაციფისტურ სულისკვეთებით აღზრდილ პოლიტიკოსთ.

„ისტორია არ იცნობს იარაღის ძალით მიწიდან აღგვილ და გამქრალ ერებს; სამაგიეროდ იცნობს მრავალს ცუდი შეიარაღებისა და სამხედრო მოუმზადებლობის გამო დამარცხებულ და დაბეჩავებულ ქვეყნებს“-ო, ამბობდა აწ განსვენებული, რაიხსვერის სარდალი გენერალი შლაიხერი.

შორს რომ არ წავიდეთ, ამისი საუკეთესო მაგალითია თვით ჩვენი სამშობლო საქართველოა, რომლის დამარცხების მთავარი მიზეზები სწორედ სამხედრო მოუმზადებლობაში და ჩვენ უაიარაღობაში უნდა ვეძიოთ.

რაც შეეხება სურსათ-სანოვაგეს ანუ ეკონომიურ თადარიგს, ამას განვიხილავთ მორიგ წერილში.

**მიხ. დადიანი**

(დასასრული სამხედრო განყოფილებისა)

**სოფლისა და ქალაქის მუშა, მრეწველი და ვაჭარი, კალმით მოღვაწე, ხელოვანი, ხელოსანი, მოხელე, მოსამსახურე, ყველა სათანადო ამქარში, თემ-ერობაში შეკავშირებული წარგზავნის თავის წარმომადგენელს დარბაზში და ამით თვით ერი დაჯდება ქვეყნის მომვლელად. ამიტომ იქნება საქართველო შრომის სამეფო.**

## საქართველო და რუსეთი

### წერილი პირველი

### 1783 წელი

არ შევდივართ რა საუკუნოთა სიღრმეში, საიდანაც გამოსჭვივის საქართველოსა და რუსეთის შუა აღმოცენებული და განვითარებული ურთიერთობა, ჩვენ უშუალოდ გადავდივართ 1783 წელზე, საქართველოსა და რუსეთს შორის არსებულ დამოკიდებულების და მიწერ-მოწერის დაბოლოების უკანასკნელ წლებზე.

ამ წელში საქართველომ, თავისი მეფის ირაკლი მეორის სახით, ცთუნებულმა უკეთესი მომავალის იმედით, ხელი მოაწერა ხელშეკრულებას რუსეთთან და მით თავსარქველი დაჰხურა კუბოს თავისი თავისუფლებისას, თავისი დამოუკიდებლობისას, რომელსაც საუკუნოთა განმავლობაში თავს დასტრიალებდენ და თავგანწირულად იცავდენ ურიცხვ მტერთაგან. მაღალი და კეთილშობილური იყო ის აღმძვრელი მიზეზები, რომელმაც ხელი მოაწერინა მეფე ირაკლის ამ ხელშეკრულებაზე. მას უყვარდა ხალხი — ხალხისათვის და ამიტომაც ყოველგზის სცდილობდა დაესვენებინა ის დაუსრულებელი სისხლის ღვრისაგან. მეფე ირაკლი ოცნებობდა, რომ დიდი და ძლიერი რუსეთის ჩრდილს ქვეშ შესძლებდა ერის მშვიდობიანი შრომით მისი კულტურისა და ცივილიზაციის შესაფერ დონეზე აყვანას. მას სწამდა, რომ დიდი რუსეთი შეუწყვეტდა ქართველ ერს სისხლის ნაკადებს და შეუშრობდა მწუხარების ცრემლბს.

მაგრამ როგორ მოსტყუვდა! როგორ შეცდა! თუ როგორ მოკავშირესთან ჰქონდა საქმე, ვის შეეკრა პირობით, როგორ ასრულებდა მისი კონტრაგენტი დადებულ პირობას, რა სისწრაფით გაუქმდა ეს პირობა, სჩანს საუკუნის მანძილზე ქართველი ერის დევნა-წვალებიდან, მოკავშირე სახელმწიფოს მკვიდრთა უბრალო ქვეშევრდომებად გამოცხადებიდან, წინაამდეგ საერთაშორისო უფლების ელემენტარული წესისა და კანონისა.

მოგვყავს მოკლე შინაარსი ხელშეკრულებისა:

მუხლი 1: ქართლ-კახეთის მეფენი ღებულობენ უფლებას და მფარველობას რუსეთის მეფეებისას და ჰპირდებიან მათ ერთგულებას და ხელის შეწყობას სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის.

მუხ. 2: რუსეთის იმპერატორები კისრულობენ გაუწიონ უზენაესი მფარველობა ქართლ-კახეთის მეფეებს, თავდებობად მათი სამფლობელოს მთლიანობისა და დაცვისა.

მუხ. 3: ქართლ-კახეთის მეფენი ღებულობენ ვალდებულებას მათი მემკვიდრეების ტახტზე ასვლის დასტური გამოითხოვონ რუსეთის იმპერატორებისაგან და მიიღონ მათგან ინვესტიტურა.

მუხ. 4: ქართლ-კახეთის მეფეების საგარეო საქმიანობა შემოწმებულ უნდა იქმნეს რუსეთისაგან.

მუხ. 5: ორივე სასახლეში ელჩების დანიშვნა.

მუხ.6: რუსეთის იმპერატორები ღებულობენ ვალდებულებას სცნონ ქართლ-კახეთის ერი მჭიდროდ დაკავშირებულად რუსეთის იმპერიასთან; მეფე ერეკლეს და მის შთამომავლობას უნდა უზრუნველყოფილ და დაცულ ექმნეს უფლება ქართლ-კახეთის სავვარეულო ტახტზედ

ასვლისა, უფლება შინაგან მართვა-გამგეობისა, სასამართლო, გადასახადები და სხ. ხელუხლებლად რჩება ქართლკახეთის მეფეებს.

მუხ. 7: ქართლ-კახეთის მეფენი ვალდებული არიან ყოველთვის მზად იყვნენ თავისი ჯარით რუსეთის სამსახურად.

მე-8 და მე-9 მუხლი შეიცავს კათალიკოსის და თავადაზნაურთა უფლებების განმარტებას; მე-10 და მე-11 მ. ეხება საზოგადოთ ქართლ - კახეთის სამეფოის ყველა მკვიდრთა უფლებებს და აგრეთვე უბაჟო ვაჭრობას და ვაჭართა უფლებას მთელი რუსეთის იმპერიის ფარგლებში.

მუხ. 12: ცვლილებების შეტანა ამ ხელშეკრულებაში შესაძლებელია მხოლოდ ორივე მხარის შეთანხმებით. აგრეთვე პირველი არტიკლი რჩევაა ირაკლი მეფე იყოს კარგს განწყობილებაში იმერეთის მეფე სოლომონთან და მეორე არტიკლით რუსეთის დედოფალი ეკატერინე ლებულობს ვალდებულებას გამოგზავნოს საქართველოში ორი ბათალიონი (2.000 კაცამდე) და ოთხი ზარბაზანი. გარდა ამისა მესამე არტიკლით რუსეთის დედოფალი პირდებოდა ირაკლი მეფეს დახმარებას ახლო საზღვარზე მდგომი ჯარით და ბოლოს მეოთხე არტიკლი: ყოველი ღონისძიება მიელო საქართველოსგან ჩამოგლეჯილი სამფლობელოების ისევ საქართველოსათვის დაბრუნების შესახებ.

ეს ხელშეკრულება, ე. ი. შეთანხმება ორი სრულიად თავისუფალი ნებისა, ძალდაუტანებლივ, რომლითაც დაუკავშირდა საქართველო რუსეთს.

რომ ოდნავი ეჭვის მიტანაც შეუძლებელ ვყოთ იმაში, თუ საქართველო რაოდენ იყო უფლება - მოსილი, როგორც ერთი მხარე ხელშეკრულებისა, სრულიად დამაკმაყოფილებელი ამ ხელშეკრულების იურიდიული აქტის ბუნებისა, ე. ი. იყო თუ არა ნება საქართველოსი სრულიად თავისუფალი და, ბოლოს, იყო თუ არა საქართველო დამოუკიდებელი ერთეული, რომელიც ანგარიშგასაწევი იყო, როგორც სახელმწიფო და იმდენად, რომ მასთან შესაძლებელი იყო საერთაშორისო მნიშვნელობის ხელშეკრულების დადება, ჩვენ აქ სულ მოკლედ მოვიხსენებთ საქართველოს ისტორიის მხოლოდ თვალსაჩინო სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ ხანებს.

დაახლოებით მე-7 საუკუნეში ქრ. წინ ქართველთა ტომნი გაძევებულ იყვნენ თავიანთ ისტორიულ სამკვიდრებელიდან, მცირე აზიის სამხრეთ და დასავლეთ ნაწილიდან ასურელ და ჰაიკან ხალხების მიერ. იხევდენ ისინი ჩრდილოეთისაკენ და დაიკავეს კასპიისა და შავიზღვის შუა მდებარე ქვეყანა. ამ ქვეყანაზე გადიოდა დიდი გზა ინდოეთისაკენ, რაიცა იყო მთავარი მიზეზი ქართველთა ურთიერთობისა და შეხლაშემოხლისა ყველა უძველეს ხალხებთან.

ქართველთა ტომები ესახლებოდენ ჯგუფ-ჯგუფად, განიყოფებოდენ გვარეულობად და განაგებდენ მათ მამასახლისები.

სტრაბონი, პონტოელი,, მოგვითხრობს თავის პირად დაკვირვებებს და განაგონს მისი ბიძისაგან, რომელიც კოლხიდაში ყოფილა ნამყოფი: — ქართველები ცხოვრობენ თავიანთი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრებით და იმდენად აქვთ განვითარებული საზოგადოებრივი ცხოვრება, რომ ქალაქებიც ბევრი მოეპოვებათ. სავაჭრო საგნებს შეადგენს: კანაფი, სელი, ცვილი, ფისი, ხომალდების საშენებელი ხე-ტყე, მატყლი, ფოლადი და სხ. კარგი გზები აქვთ და მდინარეებზე, თითქმის ყველგან, ხიდენი და გადასასვლელები. ყოველ მოსახვევში სვეტებია მაჩვენებელი, თუ საით მიდის ესა და ეს გზა. ქალაქებში საფუნდუკოები და სავაჭრო ბაზრები აქვთ მოწყობილიო და სხვ.

მე-4 საუკუნის დასასრულში და მე-5 საუკ. დასაწყისში ქრ. წ. ქართველთა ტომებში ხდება დიდი ისტორიული ევოლუცია. საერთაშორისო გაცხოველებულ ალებ - მიცემობაში ჩართული, მიბნეულ-მობნეული მოსახლეობა ქალაქებად ჯგუფდება. ამასთან შიში ალექსანდრე მაკედონელის თავდასხმებისა უფრო მჭიდროთ აერთებს მათ. ქართული ქრონიკის მიხედვით, ქართველი ტომები აძევებენ საქართველოდან უცხოელებს და აცხადებენ მეფედ ფარნაოზს .თავის საყვარელი მეფეების ხელმძღვანელობით პოლიტიკურად გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფო გახდა თანაზიარი თითქმის ყველა უძველეს ხანის ხალხთა ცხოვრებისა. ხან საჭურველით ხელში თავგამოდებით იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობის და მიწაწყალის შესანარჩუნებლად, ხან თავისი სახელმწიფოს საზღვრების გასაფართოებლად, ხან კიდევ, როგორც მოკავშირე ამა თუ იმ მეზობელ და მეგობარ სახელმწიფოსი და ხან როგორც მფარველიც კი.

მაგალითად, მესამე წელს ქრ. წ. რომის იმპერატორი უმეგობრდება ფარსმან მეფეს და იწვევს მას პართაგენის დასაპყრობად.

საქართველომ ქრისტიანობა მიიღო მირიან მეფის დროს ზოროსტრის და ქრისტეს სარწმუნოების მალიარეგორც სხვაგან, თანდათან გავრცელდა. ვახტანგ პირველის დროს ზოროასტრის და ქრისტეს სარწმუნოების ამღიარებელთა შორის გაცხარებული ბრძოლა სწარმოებდა, მაგრამ საბოლოოდ ქრისტიანულმა სარწმუნოებამ გაიმარჯვა სრულიად. ვახტანგ მეფე (446 — 499) იყო დიდი მართვა-გამგეობის ნიჭით და დიდი მხედრული სიქველით დაჯილდოებული; რამდენად ძლიერი იყო საქართველო ვახტანგ მეფის დროს, ეს იქიდან სჩანს, რომ მან არა ერთჯერ დაამარცხა ბრძოლის ველზე იმ დროს უძლიერესი ორი მონარქია: სპარსეთი და ბიზანტია. თუმცა განუწყვეტელ ომებში იყო ჩაბმული ეს დიდი მეფე, მაინც მას არ ავიწყდებოდა ხალხის შინაური ცხოვრება და გულმოდგინედ ზრუნავდა მასზე. ქვეყანა მოჰფინა სასწავლებლებით და სხ. ვერ დააუძლურა საქართველო მუდმივმა ომებმა სპარსეთთან, ჩრდილო და ამიერკავკასიის ერებთან. პირიქით, ძლიერება მისი იმდენად განვითარდა და გაიზარდა, რომ მეფე დავით ბაგრატიონის დროს, საქართველოდან გაგზავნილი იყო 12,000 მხედრულად გაწრთვნილი და დაწყობილი ჯარისკაცი მცირე აზიის შუაგულში ბიზანტიის დასახმარებლად. საქართველოს ლაშქარი შეხვდა ბიზანტიის მტერს მდ. ჰალისის ნაპირად და სასტიკად დაამარცხა მოწინაალმდეგე და მით იხსნა მოკავშირე სახელმწიფო განსაცდელისაგან. ეს მაგალითი ამტკიცებს საკმაოდ საქართველოს ძლიერებას; მაშინ, როდესაც თვითონ აწარმოებდა განუწყვეტელ ომებს სპარსეთთან, საქართველოს მაინც შეძლო სხვათა დახმარება და დიდი ომების წარმოება სახელმწიფოს საზღვრებიდან შორს მანძილზე.

მიუხედავათ ასეთი ძლიერებისა და მაღალი კულტუ-

რისა, საქართველოს ბედმა არ დააცალა დაეკავებინა კაცობრიობის ისტორიაში შესაფერი ადგილი. განუწყვეტელი თავდასხმები და ომები მაინც თანდათან ასუსტებდა მას და მისმა კულტურამ და პოლიტიკურმა ცხოვრებამ ღრმა ფესვები ვერ გაიდგა.

საქართველოსთან გმირულ ბრძოლებში სპარსეთს გამოენაცვლენ არაბები, რომელნიც დიდ ხანს ბატონობდენ საქართველოში და ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდენ ისლამს. არაბებს გამოენაცვლენ თურქნი - სელჯუკნი, რომელნიც შემოიჭრენ სამჯერ საქართ~ში, გააპარტახეს სოფლები, გადასწვეს ქალაქები და მტვრად აქციეს მშვენიერი ქვეყანა. ამდენი უბედურების შემდეგ, გეგონება, საქართველოს სახელი უნდა წარშლილიყო ისტორიის ფურცლებზე და ქართველი ერი უნდა აღგვილიყო დედამიწის პირიდან, მაგრამ ვერავითარმა ძალამ ვერ აღმოფხვრა მასში სურვილი და შემძლებლობა თავისუფალი არსებობისა. მძლეთა-მძლე მკლავი დავით აღმაშენებლისა სთრგუნავს მუსლიმანთა ბატონობას და მძიმე უღელს. დავითმა უდიდეს სიმაღლეზე აიყვანა დიდება და ძლიერება ქართველი ერისა და ჰყო რა თავისი სახელმწიფო შინაურ და გარეშე მტრისაგან უზრუნველად, შეუდგა შინაური წესიერებისა და კანონიერი წესწყობილების დამყარებას, ქვეყნის აღმშენებლობას.

საგარეო და საშინაო სახელმწიფოებრივი ცხოვრების უმაღლეს წერტილს და ნივთიერ, სულიერ და ზნეობრივ —კულტურულ განვითარებას ქართველი ერი აღწევს თამარ მეფის დროს (1884 — 1212). სამხედრო ძლიერება მაშინდელი საქართველოსი იმდენად იყო დიდი, რომ უძლიერესი არმია ნუქრედინისა სასტიკად დაამარცხა და მრავალი სხვებიც. პოლიტიკურად კი მაშინდელი საზოგადოების დონე იმდენად მაღალი იყო, რომ თამარ მეფეს მოსთხოვეს კონსტიტუციური მართვაგამგეობის დამყარება. ამ ხანას ქართულ ისტორიაში სრულიად სამართლიანად ეწოდება ოქროს ხანა.

ამით შევზღუდავ ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღწერას, რადგან კვალდაკვალ მიყოლა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან კულტურისა და ცივილიზაციის განვითარებისა, მიყოლა მისი პოლიტიკური, მოქალაქობრივი და სამხედრო ძლიერების სვლისა, მოითხოვს რამოდენიმე მოზრდილი ტანის წიგნს დაწერას.

**დ. ჭიაბრიშვილი**

---

## გ რ ი პ ი

ის, რაც მე შემემთხვა, არც ერთ ემიგრანტს, რაც დედამიწა გაჩნდა და ემიგრანტობა არსებობს, არ შემთხვევია. გაგონილა! ყველაფერი არაჩვეულებრივი მე უნდა დამატყდეს თავს.

წარმოიდგინეთ, — გრიპით გავხდი ავად! გრიპი ხომ ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ, რაც ამ გირპს მოჰყვა, დამეთანხმებით, არაჩვეულებრივზე არაჩვეულებრივია.

დავიწყოთ იქიდან, რომ გრიპით გავხდი ავად. გრიპით, ისპანკით თუ იტალიანკით — ეგ მე კარგად არ ვიცი, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ თებერვლის ბოლო რიცხვებში ლოგინს ჩავწექი. დახეთ ბედის უკუღმართობას! რაღა შაბათი ამოირჩია იმ დალოცვილმა?! სადილად ვიყავ დაპატიჟებული ბატონ მიხეილთან.

ალბად ისპანკით გავხდი ავად, რადგან ეხლა ისპანიაში დიდი არეულობაა და გრიპის ბაცილები, ეტყობა, ჩვენმა ვოლონტერებმა ჩამოიტანეს.

იტალია - აბესინიის ომის დროს, მადლი უფალსა, ავად არ გამხდარვარ, თორემ ან იტალიანკა, ან აბესინკა შემეყრებოდა. იტალიანკამ, როგორც ვიცით, აბესინკა გადაყლაპა და მე იმას რას გადავურჩებოდი? აბესინკაც ფეხებს გამაფშეკინებდა.

ერთი სიტყვით, ავად გავხდი. გავხდი ავად და ჩავწექი ლოგინში. როგორც მოგეხსენებათ, ჩემი ოთახი არ თბება. მაშასადამე, ბარომეტრალური ტემპერატურა ზუსტად იმდენს აჩვენებს, რამდენიც გარეთ არის. ჩემს ოთახში ისე ცივა, რომ შესუნთქვა - გამოსუნთქვის დროს ჰაერს გოლუაზ ორდინერის კომლივით ვუშვებ პირიდან და ამით პაპიროსის წევის მთლიან ემოციალურ შთაბეჭდილებას ვღებულობ.

ჰო, და, რაღა ბევრი გავაგრძელო, რომ შევატყვე ქუჩაში ჩემს თავს გრიპის, მაშასადამე, ისპანიის ბაცილის გადაყლაპვა, შევიარე ეპისერიაში და ნისიათ ორი ყუთი სარდინკა, ერთი კილო შაქარი, ერთი პაკეტი კუზმი - ტე, 12 კვერცხი, სამი მეოთხედი კარაქი, ორი გირვანქა კანადის ვაშლი და ერთი ლიტრა სპირტი, ჩემ პრიმუსისათვის, დავითრიე. მეპურესაც ვესტუმრე და იმასაც ნისიათ ორი კილო პენ ფონდიუ და ერთი გირვანქა სუხარი გამოვართვი. ერთი სიტყვით, ისპანკისათვის პროვიზია მოვიმარაგე. პრიმუსზე ჩაი ავიდუღე. ორი ჭიქა, ტკბილად დაშაქრულ ჩაის, ორი ნაჭერი პური თხლად წაცხებულ კარაქით და ორი ასპირინიც შევატანე.

ჩემი ახალი პალტო ფრთხილად გავიხადე; გავწმინდე; სარჩულზე ამოვატრიალე; ნავტალინი დავაყარე (ვინ იცის, რამდენს ხანს გაგრძელდება ჩემი ისპანკა და ჩირმა არ შემიჭამოს მეთქი). ლურსმანზე ჩამოვკიდე და „პოსლედნია ნოვოსტი“ გადავაფარე.

ჩავწექ ლოგინში. საბანი თავზე წავიხურე და ავძიგძიგდი. კბილებს ვაკრაჭუნებ და გავიძახი:

— ბიჭო,ნიკიფორე, სადა კვდები?! არ ამჯობინებდა 1919 წელს მომკვდარიყავ, პირველად რომ ისპანკა შეგეყარა, მომარაგების კომიტეტში რომ მსახურობდი და პლეხანოვის გამზირზე ბინაც, რეკვიზიცის წყალობით, ხელთ იგდე მეთქი!? —

შევძვერი საბანში; მოვიკუნტე; მაგრამ ვერ გავთბი და ვერა! გავიფიქრე: — პალტოს გადავიხურავ, მაინც ვკვდები და პალტო რა ოხრად მინდა მეთქი. — ფოსტლებში ფეხები ჩავყავი, პალტოსთან მივედი და .... დამენანა. ისევ ჩემი კოსტუმი გავიმეტე: ჟილეტი ჩავიცვი; სერთუკი ზურგზე წავიფარე და ლოტებ-გაცრეცილი შარვალი ფეხებზე. პირსახოცი თავზე და კისერზე შემოვიხვიე. იღლიაში ტერმომეტრი ჩავიჩარი. (ტერმომეტრი, როგორც მოგეხსენებათ, სულ თან დამაქვს) და ჩემი განუყრელი მეგობარი ოცდათვრამეტზე და შვიდ მეათედზე ახტა.

გავინაბე...

თვალები დავხუჭე... დამეძინა...

დამეძინა და მესიზმრა. მე ხომ სიზმარს ვერ ავსცდები! თვალების დახუჭვა და სიზმარში გადავარდნა ერთია.

16 წლის ემიგრანტული სტაჟი მაქვს. დღისით, თვალებ - გახელილი ემიგრაციაში ვცხოვრობ; ღამით, თვალებ - დახუჭული, საქართველოში. პლიუსი და მინუსი ხომ ერთმანეთს აბათილებს? მაშასადამე, მე ემიგრანტი არცა ვარ. უფრო მკაფიოდ რომ გამოვხატო ჩემი აზრი: — მე 16 წლის განმავლობაში თურმე **არაფერი** არ ვყოფილვარ და, ვინ იცის კიდე, რამდენი წელი უნდა ვიყო **არაფერი**.

ჰო, იმას მოგახსენებდით: — დავხუჭე თვალი და მესიზმრა.

ვხედავ, რას ვხედავ!

ჩემი ახალი პალტო ლურსმნიდან ჩამობრძანდა. გასწორდა. ოთახში გაიარ - გამოიარა. ჩაახველა. „პოსლედნია ნოვოსტი" დაკეცა; ჯიბეში ჩაიდვა და კარებთან მივიდა.

ზეზე წამოვვარდი. დავიყვირე:

— ეი, ძმობილო, რასა შვრები?! სად მიდიხარ?!

— რა შენი საქმეა სადაც მივდივარ? — მიპასუხა მკვახედ: — შენ, ისა სჯობიან, შენს თავს მოუარო! — ოთახიდან გავიდა და კარები გაიხურა.

— რამ გაგაგიჟა, ბიჭო?! — დავიღრიალე; საჩქაროდ ტანთ ჩავიცვი და უკან დავედევნე.

ქუჩაში რომ გამოველ, ვხედავ — ჩემი პალტო მიბრძანდება არხეინად.

— ამას რას ხედავს ჩემი თვალები? — ვამბობ: — სიზმარში ხომ არა ვარ? — პალტო მიდის... არც ფეხები აბია და არც თავი!

მივსდევ უკან და ვღრიალებ:

— ძმობილო, რას მიშვრები?! ვის ანაბარა მტოვებ?! ემიგრაციაში ერთხელ მეღირსა ახალი პალტო! ნისიათ შემიკერნია შენი თავი, ისიც შომაჟის ეკონომიით! ორმოცი ფრანკი-ღა დამრჩა გადასახდელი და ეხლა მღალატობ?! მობრუნდი შვილო! რა დაგიშავე!?

ვითომ და არც კი ესმის ჩემი გულსაკლავი მუდარა. — პალტო მიდის...

ვხედავ — ქუჩას გადადის...

ვყვირი: — ფრთხილად! ავტომობილმა არ გაგიტანოს! არ დავიღუპო! პასაჟ კლუტეზე მაინც გადადი, ბიჭო!

ტაქსი გააჩერა. ავტომობილში ჩაბრძანდა და ხმა-მაღლა მიმართა შოფერს:

— რჲუ ლასკაზ!

ტაქსი დაიძრა. მეც დავიძერი! მივსდევ უკან გაქანებულ ავტომობილს და ვღრიალებ:

— ვაიმე, დავიღუპე! ტაქსის ფული სადა გაქვს, შე უბედურო?! თორმეტი ფრანკი მაინც გამოვა შჩოჩიკზე!

გავრბივარ თავმოგლეჯილი, მაგრამ გაქანებულ ავტომობილს მე რას დავეწევი? ისიც ისპანკის ბაცილებით შეპყრობილი!

ავტომობილი თვალთახედვიდან დამეკარგა და ჩემი ახალი პალტოც თან წაიღო...

— აი, მოგიკვდეს თავი, ნიკიფორე! — ვამბობ და ხელს გულზე ვიცემ. — შენ რა კაცი ხარ პალტოს ვერ მოუარე? არ გერჩივნა ჩაგეცვა და ისე ჩაწოლილიყავ ლოგინში? — როგორც იქმნა მეტრომდე მივჩანჩალდი.

— რჲუ ლასკაზ! — ჩავფიქრდი... — ოჰო, ბატონ ალექსანდრე ასათიანის მოხსენებაზე თუ წაბრძანდა!?

მეტროს ბილეთი ავიღე და მყისვე „სოლფერინო"-ზე გავჩნდი.

სოციალური მუზეუმის დარბაზი ქართველ ემიგრანტებით გაჭედილი იყო. ბატონი ალექსანდრე ესტრადიდან მოხსენებას აკეთებდა.

— ჩემი პალტო ხომ არ გინახავთ! — შევეკითხე ვიოლაცას შესვლისათანავე. ჯერ გაუკვირდა, შემდეგ სიცილი წასკდა. ყველამ ჩვენსკენ მოიბრუნა თავი. და, ვაი, განცვიფრებავ! ჩემი პალტო, ჩემი უთავო პალტო, პირველ რიგიდან ჩემსკენ შემოტრიალდა. სიხარულის ემოციალურმა განცდამ კინაღამ გონება დამაკარგვინა. მინდოდა მასთან მივსულიყავ, გულზე მიმეკრა, სიხარულის ცრემლი მეღვარა იმის ინგლისურ მატერიაზე, მაგრამ ვერ მოვახერხე, ვერ გავბედე, რადგან, ყველას მოგეხსენებათ, მეტად მორცხვი, თავმდაბალი ადამიანი ვარ და იქვე, კარებთან ავიტუზე.

ერთმა შავგრემანმა ყმაწვილმა, კასასთან რომ იჯდა, ორ-ფრანკიანი დამანახვა. მეც ავიღე და ორი ფრანკი შესვლის ფული გადავიხადე და ბატონ ალექსანდრეს ჟურნალიც, საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის სახელით გამოშვებული, ვიყიდე. ვამბობ: — დავიღუპე! თორმეტი ფრანკი იმ ვაჟბატონმა ტაქსიში დახარჯა; მე: — ერთი მეტრო და ოთხი ფრანკი. ხუთმეტი ფრანკი გაჰქრა. ორი დღის შომაჟი!

ჩავცუცქდი უკანა რიგში და მეტად სერიოზული გამომეტყველება მივიღე. მაგრამ, უნდა გამოგიტყდეთ, სულ ჩემს პალტოს ვუცქერი. თანაც საზოგადოებას ვაკვირდები. ვამბობ: — რად არ აქცევენ ყურადღებას ჩემს პალტოს, რომელიც ისეთ პოზაში ზის, თითქო მოხსენებას დიდის ინტერესით უსმენს, რეპლიკებსაც იძლევა, პროტესტებსაც აცხადებს; ერთი სიტყვით, ისე იქცევა, ვითომ და მართლაც თავი ებას.

ბ. ალექსანდრემ კარგი, მსუქანი მოხსენება გააკეთა. დიდხანს ილაპარაკა. ორი საათი ილაპარაკა. ყველაფერი სთქვა, რისი თქმაც კიდეც უნდოდა და არც უნდოდა. იქნებ მე ცუდათ გავიგე, მაგრამ აი რა სთქვა: სტალინმა ჰაობები ამოაშრო და ეხლა ფაშიზმისაკენ მიდისო. შემდეგ მოსდგა დემოკრატიას და ტყავი გააძრო.

— თუ დემოკრატია აღარ გწამს, ბიძია, რეიზა გამოუშვი შენი ჟურნალი ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის სახელით! — დაუძახა ვილაცამ.

ყველა რჯულის მენშევიკებმა ტაშით დააჯილდოვეს მერეპლიკე.

ჩემმა პალტომაც ტაში დაუკრა.

ბატონი ალექსანდრე არც განძრეულა. არაფერი უპასუხნია. ბატონი ალექსანდრე მაგარი ნერვების პატრონია. ემოციალური განცდები მასზე არ მოქმედობს. რეპლიკები ხომ სრულიად არ აწუხებს. მან იცის, როდის რა უნდა სთქვას, როგორ უნდა სთქვას. ზის თავისთვის გარინდული. სახის გამომეტყველება სრულიად არ ეცვლება. რისი გაგონებაც არ უნდა, დედამიწაც რომ გასკდეს, არ გაიგონებს.

ერთი სიტყვით, ბატონ ალექსანდრეს მოხსენებიდან სჩანდა, რომ ამ ეროვნულ დემოკრატზე მეტად კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია იტალიაში მოგზაურობას; თითქმის გაფაშისტებულა, მაგრამ როგორც ყოველთვის,

ბატონი ალექსანდრე გარკვეულად არაფერს არ ამბობს: ქეც ვარ და ქეც არაო. მე ორ საათს ვლაპარაკობდი და ეხლა, თქვენ თვითონ მიხვდით, თუ ვაჟკაცები ხართ, ვინ ვარ და ან რა მინდაო! ამაზეც მე შევიწუხო თავიო?!

მოხსენების შემდეგ, ბატონმა თავჯდომარემ ათი წუთით დაგვასვენა.

მინდა მივიდე ჩემს პალტოსთან, ჩავიცვა და შინ წავიდე. ისპანიის ბაცილები მაწუხებენ. მაგრამ არ იქმნა და არა, ვერ ვიხელთე დრო: ხან მენშევიკებს ელაპარაკება და ისეთი ამბიციით, თითქო თავი ებას; ხან დემოკრატებს; ხან ფედერალისტებს. ვერ მოვახერხე და ვერა იმასთან მისვლა! მე რომ დამინახავს, დაცინვით გადმომხედავს და ზურგს მიჩვენებს, თითქო ჩემს საკუთრებას არ წარმოადგენდეს, თითქო მე არ შევაკერინე ნისიათ, შომაჟის ეკონომიით და მხოლოდ ორმოცი ფრანკი არ დამრჩენოდეს თერძის გასასტუმრებლად! თანაც ვიტანჯები, გული მისკდება. ვამბობ: — ნეტა რა დავუშავე? თუ იმაზე მიჯავრდება, ისპანკის ბაცილა რომ გადაყლაპე, განა მარტო მე ვარ ამ დღეში! აიღოს გაზეთები, წაიკითხოს — ინგლისის მეფიდან დაწყებული ლატვიის პრეზიდენტამდე ყველა ამ ბაცილას ყლაპავს. დღეში სამჯერ მწმენდავ, ლურსმანიც სპეციალურად მისთვის ვიყიდე, ნავტალინიც...

თანაც ვშიშობ: ამ პარტიულ ხალხს რომ ელაპარაკება, მე ხომ უპარტიო კაცი ვარ და ვინა ჰკითხავს მაგ შეჩვენებულს, ჩემს ნება დაურთველად „ოპოზიცია - პოზიციაში" ხეტიალს?

შემდეგ კამათი გაიმართა. ყველამ კარგად ილაპარაკა, რადგან ყველა ორატორებს ენა კარგად უჭრიდა.

მარქსისტებმა სულის თავისუფლება მოითხოვეს. ჩვენ თუ სულის თავისუფლებას მოგვცემთ, ფაშიზმის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვსო.

ბატ. ალექსანდრემ ბატ. ნოე ცინცაძეს თვალი ჩაუკრა: მოგცემთ, ოღონდ თავი დამანებეთო. ბოლოს და ბოლოს რაშია საქმე, თქვენ ხომ წინდაწინ იცოდით ჩემი მოხსენების შინაარსიო?!

ბატ. ნოე ცინცაძემაც თავისიანებს თვალი უყო და ამის შემდეგ ჩვენ მენშევიკებს თითქმის კამათში მონაწილეობა არ მიუღიათ, მხოლოდ ერთმა იმათთაგანმა ილაპარაკა საერთაშორისო „მდგომიარობაზე", მაგრამ ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, ბ-5 ნოე ჟორდანიასი არ იყოს, „ძაღლი პატრონს ვერ ცნობილობის" მდგომარეობა, რომ არაფერი გამიგონია.

უცებ სიტყვა მოითხოვა დიდის რიხით ჩემმა პალტომ!

— ვაიმე! ეხლა კი დაიღუპე ნიკიფორე! — დავიყვირე და მოვსწყდი ადგილიდან.

ის იყო ესტრადაზე ადიოდა, რომ ხელი ვსტაცე სახელოში და შევუტიე:

— ჩამოდი ძირს! ეხლავ წამოდი შინ!

შემოტრიალდა და წელში აიწურა:

— რაო?! თქვენ ვინ ბრძანდებით, ჩემო ბატონო?!

— ვერ უყურებთ ამას?! ვინ ვბრძანდები და შენი პატრონი! ვერა მცნობ?!

აქ ჩოჩქოლი შეიქმნა. ზარის წკარუნი..

— გთხოვთ, სიტყვას ნუ უშლით! — მომმართა თავჯდომარემ.

— როგორ თუ სიტყვას ნუ ვუშლი? და თქვენ კი აძლევთ სიტყვას ჩემს პალტოს, უთავო პალტოს?!?

და... ყველა შეკრთა. ყველა ჩემს პალტოს დააშტერდა.

პალტო ესტრადაზე გამოიჭიმა და, ვაი საშინელებავ. გადაიხარხარა! სიცილით იჭაჭება და გაიძახის:

— თავი?!... აბა შეხედე შენს თავს; თუ გაბია თავი?! ხა, ხა, ხა!... აბა გადახედე აუდიტორიას! თვით მომხსენებელს! რა საჭიროა თავი?! ხა, ხა, ხა,!....

და... მე გადავხედე აუდიტორიას, შევხედე მომხსენებელს და რას ვხედავ! ყველანი უთავებოდ სხედან!

ხელი ვიტაცე იქ, სადაც თავი მეგულებოდა და სიცარიელე დამიხვდა. ერთი შევყვირე და შევხტი!

ლოგინიდან ბრაგვანი მოვადინე.

საშინელი ტკივილი ვიგრძენი.

ბარბაცით წამოვდექი...

სარკეში ჩავიხედე: ერთი თავის მაგივრად ორი თავი მება! ერთი ჩემი ნამდვილი თავი, მეორე — თავისოდენა კოპი.

სარკეში ჩემი პალტოს შავი პროფილიც გამოჩნდა. და, როგორც ოცი წლის ჭაბუკი, სატრფოს უეცარ დანახვით ერთ ადგილზე რომ გაშრება; შემდეგ შველივით მოსწყდება და გაშლის მკლავებს ძვირფასი არსების ცხელს მკერდში ჩასაკვრელად, მეც გავშალე მკლავები და მოვეხვიე ჩემს პალტოს.

და... ვტიროდით ორივე დიდხანს...

კოპზე სველი ტილო დავიდე და ლოგინში ჩავწექი. ერთი წუთის შემდეგ ისევ ჩემს პალტოსთან გავჩნდი. ლურსმნიდან ჩამოვაბრძანე. საბანში შევძვერი და პალტოც გადავიხურე. ყოველგვარ გაუგებრობათა თავიდან ასაცდენად, მაგრად ჩავავლე სახელოში ხელი. ტერმომეტრი დავიყენე. ჩემი განუყრელი მეგობარი ოცდათექვსმეტზე და ხუთ მეათედზე დაეშვა.

მოხსენების ემოციალურმა და პოტენციალურმა განცდებმა ისპანკის ბაცილები დააფრთხო და ორგანიზმიდან განდევნა.

*

მეორე დღეს ბატონმა ივანემ მინახულა.

— რა მოგდის? არა გრცხვენიან ლოგინში წევხარ?! — მომმართა საყვედურით: — ადექ ზეზე! ალექსანდრე ასათიანის მოხსენებაზე წავიდეთ.

— როგორ?! — გამიკვირდა: — აკი იყო იმის მოხსენება?! მე... უკვე ვიყ....

— რას ამბობ, კაცო!? სიზმარში ხომ არა ხარ? მოხსენება დღეისათვის არის დანიშნული. ნახევარ საათში დაიწყება. ჰა, აჩქარდი! ტაქსით წაგიყვან.

სიზმარი გამახსენდა. ტანში გამაჟრჟოლა და პალტოს ჩავებღაუჭე.

— არა, გენაცვალე, მე ვერ წამოვალ. თავს ვუფრთხილდები.

— ავად ხომ არა ხარ?

— თავი მტკივა.

—მაშ, ნახვამდის! ხვალ გინახულებ და მოხსენების მოკლე შინაარსსაც გადმოგცემ.

ლოგინზე დავიჩოქე და ხვეწნით მივმართე:

— ვანო, შენი ჭირიმე, ხვალ, თუ დრო იხელთო, შემოიარე, მაგრამ მომეცი პატიოსანი სიტყვა, რომ მოხსენებაზე ერთ სიტყვას არ დასძრავ.

— რათა, კაცო?!

— უკვე წინასწარ ვიცი რას იტყვის.

გაიცინა.

ოთახიდან რომ გადიოდა, მივაძახე:

— ვანო-ჯან, თავს მოუარე! უთავოდ შინ არ დაბრუნდე!

— რას ამბობ, ნიკიფორე?! როგორ თუ უთავოდ არ დავბრუნდე!?

— არა, მე იმას ვამბობ... იმის თქმა მინდოდა, — თავს მოუარე - მეთქი... ხომ იცი, პარიზში ისპანკა მძვინვარებს და არ გაცივდე...

— ეხ, შენ სულ ეგრე იცი! — მიპასუხა სიცილით და კარები გაიხურა.

. . . . . . . . . . . . . .

პალტო მოვისხი; ფოსტლებში ფეხები ჩავყავი და ფანჯარასთან ჩავცუცქდი.

ვხედავ:

ვანოს ყავის-ფერმა პალტომ ტაქსი გააჩერა და შიგ ჩაბრძანდა:

— რძუ ლასკაზ!

გულიანად გამეცინა...

ისევ ლოგინში ჩავწექი. ჩემს პალტოს ხელი გადავუსვი და თვალები დავხუჭე. ჩამეძინა და.... ვნახე სიზმარი, მაგრამ რა სიზმარი! შემდეგში ამასაც გიამბობთ.

პატივისცემით **ნიკიფორე დიომიდეს-ძე ქათამაძე**

## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს  ყ ო ფ ა - ც ხ ო ვ რ ე ბ ა

### ბოროტისა მიზეზი

ამ უკანასკნელად საბჭოთა კავშირში დიდი ამბავი დატრიალდა: — საბრალმდებლო სკამზე დასვეს ბოლშევიკური ბელადები ანუ გაზეთი „კომუნისტი“-ს სიტყვით რომ ვსთქვათ, ამ ჟამად „მტრები, კაპიტალიზმის გარეწარი აგენტები, ფაშიზმის სისხლიანი ჯაშუშები და დივერსანტები ტროცკისტ-ზინოვიეველთა და მემარჯვენეთა აშმორებული ბანაკიდან, მათი აშკარა და ფარული აგენტები, ნაბოლარები ყოველნაირი ბინძური საშუალებებით ებრძოდენ — და ებრძვიან — სოციალიზმის საქმეს“... დასვეს, თავისებურად გაასამართლეს ... და დახვრიტეს....

ევროპა განცვიფრებული დარჩა ზინოვიევ - კამენევ - რადეკ - პიატაკოვის და სხვათა „გულდიად“ „შეცდომების“ აღიარებით.. გამოუცნობი მოვლენა იყო, — ხალხი, რომელსაც სასიკვდილო ბრალდებას უყენებდენ, თვითვე ადასტურებდა მას, ფაშიზმის აგენტობას იბრალებდა. ვერავინ გაიგო ეს გაუგონარი ამბავი, მაგრამ ყველასათვის ცხადი შეიქმნა, რომ რევოლუციამ დაიწყო თავის შვილთა გადასანსვლა... ფ

ან ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობა — ეს დიდი პირები — მართლა მოღალატენი იყვნენ, — მაშასადამე: — საბჭოთა კავშირის ბედი ამგვარად განწირული ყოფილა და თვით ბოლშევიკური პარტია უკვე გახრწნილი, — ან სტალინი პირადათ გზას იკაფავს სრული ერთპიროვნული ბატონობისაკენ და მაშასადამე — ბოლშევიკურ პარტიას წირვა გამოუდის, — და სტალინის დიქტატურის მოშლით კი მთელ კავშირსაც. ორივე შემთხვევაში საბჭოთა ქვეყანა უფსკრულისაკენ მიექანება და ამ მოლიპულ გზაზე წინასწარ ქართველ ბოლშევიკებსაც მიასრიალებს.

მოსკოვის პროცესში ნათქვამი იყო, თითქო ქართველი ბოლშევიკი ბუდუ მდივანიც ერია „შეთქმულებაში“ და აი არ დააყოვნეს, რასაკვირველია, და სტალინის ყოჩაღი ხელი კავკასიაში — ბერია — დატრიალდა.

ტფილისური გაზეთი „კომუნისტი“ უკვე აშკარად გამოდის ბუდუ მდივნის შესახებაც და სწერს, რომ

„ყველა ეს არამზადა — ჩვენს ქვეყანაში განადგურებული ბურჟუაზიის და კულაკების აგენტები, საერთაშორისო ფაშიზმის დაქირავებული ქოფაკები, ტროცკით, ზინოვიევით, პიატაკოვით, რადეკით, სოკოლნიკოვით, სერებრიაკოვით დაწყებული და ბ. მდივნით და სხვ. არამზადათა დამთავრებული, ყველაფერს აკეთებდენ იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში აღედგინათ კაპიტალიზმი, გაებატონებინათ გერმანიის და იაპონიის ფაშისტები“... სიკვდილი მათ! სიკვდილი!

და აი იმართება საქართველოში კრებები და მათზე მოხსენებები „არამზადათა“ და „ქოფაკების“ დასჯის შესახებ.

მოსკოვის შემდეგ ჯერი ტფილისზე მიდგა და აქაც აპირებენ „რევოლუციის შვილების“ შთანთქმას.

ერთ - ერთ კრებაზე, რომლის შემადგენლობას წარმოადგენდა ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის თანამშრომელნი, ამ „მწვავე“ საკითხის შესახებ მოხსენება წაიკითხა თვით ინსტიტუტის დირექტორმა გ. დოლიძემ; და შემდეგ მოვუსმინოთ კორესპონდენტს: —

„კრებაზე გამოსული ამხანაგები: გ. ტუხაშვილი, დოც. ი. ბათიაშვილი, კობაიძე, ა. ანდრონიკაშვილი და სხვები ზიზღსა და აღშფოთებას გამოსთქვამდენ ფაშისტ - ქოფაკების მოქმედების გამო. ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ... „კრება მოითხოვს პროლეტარულ სასამართლოს მიერ გასამართლებული კონტრ-რევოლუციური ტროცკისტული ბანდის დამქაშების — **ბ. მდივნის, მ. ტოროშელიძის, პ. აღნიაშვილის, მ. ოკუჯავას, ს. ქავთარაძის, გ. კვირკველიას, ლ. ლოლობერიძის ნ. კიკნაძის, ვ. ჯიქიას, კ. მოდებაძის, როზენცვეიგის** და სხვათა დაუყონებლივ დასმას ბრალდებულთა სკამზე“

ტფილისში მეორდება ყველაფერი რაც მოხდა მოსკოვში... სიტყვა-სიტყვითაც... „ფაშისტების აგენტებს ... უნდოდათ მსოფლიოს მუშათა კლასის ბელადის დიდი სტალინის, ლენინ-სტალინის საქმისათვის თავდადებული მებრძოლის, ამიერკავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკების ნაცადი ხელმძღვანელის ამხ. ლ. ბერიას მოკვლა“... მაშ ასე: მოსკოვის ტრაგი-კომედია ტფილისშიც განმეორდება. მაგრამ იქ ჩვენ ერთ განსხვავებას მაინც მოველით: — ნუთუ მდივანი, ოკუჯავა, ქავთარაძე და ყველა სხვა ისე წახდება და გამთხლევდება, როგორც ეს ზინოვიევ-რადეკ-პიატაკოვს და ყველას დაემართა?

და რას ფიქრობენ დღეს ეს ვაჟბატონები: მდივან-ლოლობერიძენი და სხვანი? ნანობენ და ირტყამენ თავში ხელს დღეს საქართველოს ღალატისათვის? ამბობენ თავის გულში მაინც, რომ ახია ჩვენს თავზეო, რომ „ვითა კეთილის მამოქმედებელს კეთილი ნიჭი მიენიჭების ღვთისა მიერ, ეგრეთვე ბოროტისა მიზეზი ბოროტსა მოისთულებს“?!

**ბ. ვარდანი**

### წერილი იტალიიდან.

## მუსოლინი თავისი აფორიზმებით

იტალიის დღევანდელი ბელადი ცნობილია, როგორც მოაზროვნე და ლაკონისტი. დიდი აზრის მოკლედ გამოხატვა — ეს რუსთაველის ანდერძია მიმართული მწერალ თუ მოღვაწისადმი. დუჩეს აზრები გაბნეულია სხვა და სხვა გამოცემებში, ჟურნალ - გაზეთებში და არც ერთი კონგრესი არ იმართება მის ქვეყანაში ისე, რომ მისი ორი ან სამი მაქსიმი არ იყოს ამოჭრილი შენობის კედლებზე. მწერალთა კონგრესის (ნეაპოლი) დევიზი იყო მისი სიტყვები: ა) წიგნს მეტი მნიშვნელობა აქვს ხშირად, ვიდრე საელჩოს; ბ) ერთხელ კიდევ და მუდამ აზროვნება არის დედაბოძი უდიდეს პოლიტიკურ მოვლენათა; გ) მგოსანი თითქმის ყოველთვის, არის ერთგვარი წინასწარმეტყველი ახალი ეპოქისა.

მისი მოსწრებული სიტყვები გახდენ იტალიაში „ხელიდან ხელში საგოგმანებელ“-ად და ამშვენებენ ხშირად სკოლის თუ უნივერსიტეტის კედლებს; ერთ-ერთ ამ უკანასკნელთაგანს აქვს ასეთი წარწერა: „კულტურა არ არის უბრალო სამკაული ინტელიგენტობის, ის არის იარაღი საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლაში“!

აი მოკლედ მისი უმთავრესი სენტენციები, ჯერ არ თარგმნილი ქართულად:

— რა არის გასაკვირი იმაში, თუ იტალიამ აღმართა დროშა ანტიბოლშევიზმისა. ეს მისი უძველესი დროშაა!

— იტალია იბრძვის ზავისათვის, მას სურს შრომა და არსებობა.

— დისციპლინის საკითხი ისმის ხშირად ისეთ ბანაკში, სადაც მას არა აქვს არავითარი სახსარი არსებობისა და ითელება მათ მიერ, ვინც მას ჰქადაგებს.

—ვაი მას, ვინც გადაელობება მაგრად და ანგარიშით გადადგმულ ნაბიჯს!

— ოპტიმიზმი მტერია მომავლის. წინდახედვა, სამზადისი მოულოდნელისადმი, უარესობისადმი სავალდებულოა ყოველგვარ პოლიტიკოსობისათვის.

—განიარაღება ერთ - ერთ უტოპიათაგანია ახალი დროების: ტექნიკა, რომელიც არ იხევს უკან, მისი მტერია მუდმივი.

— სქესთა თანასწორობა არჩევნების დროს არ არის საკითხი დემოკრატიზმი-არისტოკრატიზმისა: ეს საკითხია შესაძლებლობის. შვეიცარია მიმაჩნია უდიდეს დემოკრატიულ ქვეყნად, მაგრამ როგორც იტალიამ, ისე ჰელვეციამ ვერ მისცა ამის ნება ქალთა სქესს.

— ფრან-მასონობამ აღასრულა თავისი არსებობა, — თვით მოიკლა თავი, მისი ბუნდოვანებისა და ნიღაბისადმი ტრფობისა გამო.

— სამშობლო უწინარეს ყოვლისა!

### დუჩე და პოეზია

არა ერთი იტალიური გაზეთი იხსენიებს ასეთი სათაურით იტალიის ბელადის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს:— 25 თებერვალს ეწვია რომს ინხლისელ მწერალთა საზოგადოების ბიურო. „არც ერთ ეპოქასო“, უთხრა მას მუსოლინმა, „არ ჰქონია ისეთი საჭიროება პოეზიის, როგორც ჩვენ დროებას. მწერლობა, ლექსი არის დამამშვიდებელი ცხოვრების ქარტეხილის; ისინი არიან აგრეთვე შემქნელნი მომავლის და გამომწვევნი ამოქმედების. პოეზიის დანიშნულება ზოგჯერ გადამწყვეტია! ჩვენს არა ჩვეულებრივ ხანაში მისმა ღირებულებამ ასჯერ აიწია. ის ერთგვარი რელიგიაა ჩვენთვის და იარაღი მშვიდობიანობისათვის“-ო.

### „კავკაზო ბოლშევიკო“

ჟურნალისტი და მოგზაური კარლო აგრატი თავის ახლად გამოსულ წიგნში: „კავკაზო ბოლშევიკო“, მილანო, 1937 წ. 216 გვერდი, დიდსა და სავსებით ლოღიკურ კრიტიკას უწევს არა - ჩვეულებრივ ბოლშევიკურ რეჟიმს. იგი სრული სიმპატიით იხსენიებს და აღწერს საქართველოს (აფხაზეთი, ბათომი, ტფილისი. გვ. 60 — 107).

„ჩემთვის აუწერელი და გაუგებარი ტრაღედიაა ეს რეჟიმი. სიღარიბე, უნდობლობა, ეგოიზმი, ბარბაროსობა — აი ატმოსფერო, რომლის მოწამე ვიყავი, მაგრამ სანამდე...“ — ამბობს ავტორი.

### მარეშალი ბადოლიო

ნეაპოლის საოპერო თეატრში ლექციის შემდეგ, მარშალი ბადოლიო ეწვია აღმოსავლეთ ენათა ინსტიტუტს თავისი ამალით. იგი ფრიად დაინტერესდა ინსტიტუტის კოლექციებით, ბიბლიოთეკით, აფრიკის შესწავლის საკითხით და ინახულა აგრეთვე „გაბინეტო დეი კავკაზო“, სადაც დაინტერესდა ნუმიზმატური კოლექციით (ქართულ და სომხური და სხ.) და ბერნარდო ნეაპოლელის — მარიო ჩიოფი-ს გარდაიცვალა 1707 წ. ხელნაწერით საქართველოს შესახებ, რომლის გამოცემა განზრახულია ინსტიტუტის ორგანოს „ანნალი“-ს მიერ.

### „ბარიდ ბარკა“

არაბული გაზეთი „ბარიდ ბარკა“ (ბენგაზის კურიერი, ტრიპოლი, 20 თებერვალი, 1937 წ.) ათავსებს დიდს სტატიას რუსთაველის შესახებ (ცხოვრება, მაქსიმები, მნიშვნელობა მისი). ავტორი (ფსევდონიმი — ალფარიდ ჰაზარ) — გვპირდება სხვა დეტალებსაც კავკასიის შესახებ.

**შ. ბერიძე**

ნაპოლი. მარტი, 1937 წ.

## «LA CIVILISATION CAUCASIENNE»

კავკასიის შესწავლისათვის კიდევ ერთი საყურადღებო წიგნი გამოიცა. ეს არის **«La Civilisation Caucasienne» Arthur Byhan**-ისა, ხალხთა აღწერის ჰამბურგის მუზეუმის გამგისა, ფრანგულად გადათარგმნილი ანტროპოლოგიის პროფესორ გ. მუტადუს მიერ.

კავკასიაში მობინადრეთა საკითხი ყოველთვის აინტერესებდა მეცნიერებს და ეს შრომა , მთარგმნელის წინასიტყვაობაც, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ აღნიშნული ინტერესი კვლავ ცოცხალია მეცნიერულ წრეებში; ხოლო ეს შესწავლა თანდათან უფრო რთულდება. ვინაიდან ერთი მხრივ — ხალხთა არსებული კუთხური ცხოვრება ირღვევა, — მეორე მხრივ კი საბჭოთა ხელისუფლების მიერ დევნილი მთელი რიგი ადათებისა და ძველ რწმუნებათა დავიწყებაში გადადის; გარდა ამისა, ყოფაქცევა და ცხოვრება ახლანდელ პირობებში სასტიკად ეწინააღმდეგება ძველ ტრადიციებს. ასეთ ვითარებაში საიმედოა მხოლოდ, რომ კავკასიის ამაყი მთები შეუნარჩუნებენ მთიელთ ზოგიერთ ჩვეულებას, ხოლო ბარის მოსახლეობა ვერ აშორდება ზნეჩვეულებათა დავიწყების გზას. მსჯელობა იმის შესახებ, ჩვენ ხალხთა

ცხოვრების განვითარებაში სარგოა ეს თუ დანაკლისი, ზედმეტია ამ ფურცლებზე. ამ ზნეჩვეულებათა დაცვას არ ვიკისრებთ, ხოლო ვინ არ დააფასებს მათი მაღალი სულისკვეთების მხარეებს, რაინდობას და პოეზიას.

ავტორი ასე ახასიათებს ქართველ ერს: „ქართველებს აქვს ნიჭი განსჯისა, არიან რაინდნი და კადნიერნი, ამპარტავანნი და გულითადნი, მხიარულნი და ცოცხალნი“ (გვ. 39 — 40). ჩვენ ვფიქრობთ, თუ ამისთანა დაფასება სიმართლეს არ ეწინაღმდეგება, იგი შესაძლო გახდა სწორედ იმიტომ, რომ ქართული სული იყო ნაყოფი ამ ზნეჩვეულებათა, რომელთა ადათით ცხოვრობდა ქართველობა მთელ რიგ საუკუნეთა განმავლობაში და ეს ზნეჩვეულებანი იცავდენ ქართველობის ეროვნულ განსხვავებულ მოდგმას, უკარნახებდენ ზნეობრივ სიმაღლეს და სიყვარულს სამშობლოსადმი.

აღნიშნული წიგნი დანაწილებულია ექვს თავად. პირველი თავი ეხება გეოგრაფიულ პირობებს, ვრცელი აღწერილობით; მეორეში ავტორი თავისებურად ჰყოფს კავკასიელ მკვიდრთა მოსახლეობას ოთხ დიდ ჯგუფად: — წმინდა კავკასიური, პონტური, ირანული და ურალ - ალტაური. ავტორი ადარებს ქართულს ბასკურ ენას, ხოლო ეტრუსკულ ენის შესახებ ნათესაობის უდაობას არ იზიარებს.

კავკასიის რუკა (გვ. 24 — 25) მშვენივრად გვისურათებს კავკასიის ეთნოგრაფიულ შემადგენლობას. ავტორს აღნიშნული აქვს 35 სხვა და სხვა ტომი,, უზარმაზარი რიცხვი განსაზღვრული ასპარეზისათვის, და ესეც არა სრული ამ ხალხთა მოზაიკაში.

ამ შრომაში განხილული არიან უმთავრესად კავკასიის მიწყითი მკვიდრნი, შემდეგ კი ჟამთა ცვლილების დროს კავკასიაში შემოხიზნულნი და დამკვიდრებულნი. სამცარია, ავტორი სომხებზე არ ლაპარაკობს თავის წიგნში, რის გამო მთლიანი სურათი კავკასიისა არა გვაქვს.

მესამე თავი ყველაზე დიდი და უმნიშვნელოვანესია ამ თხუზულებაში. იგი შეეხება კავკასიის ადრინდელ მოსახლეობასა და უპირველეს ყოვლისა ქართველ ერს. ავტორი იწყებს საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვით — უმთავრესად ასურათებს უძველეს ხანას, ქართველი ერის წარმოშობას და მის სიმბოლიურ მამამთავარ — ქართლოსს ეხება. ჩვენი ქვეყნის დიდების ხანა ძალიან მოკლედ აღწერილია; ავტორი დავით აღმაშენებელზე მოგვითხრობს და ადარებს ჩვენ სახელოვან მეფეს დიდ ფრიდრიხს, პრუსიის შემქნელს; თამარ მეფის დროს კი ახსენებს, როგორც საქართველოს ოქროს ხანას.

ამ ისტორიული შესავალის შემდეგ ავტორი გადადის თავისი თხუზულების უმთავრეს საგანზე. ქართველი ერის აღწერილობას იგი ორად ჰყოფს: ბარისა და მთის მცხოვრებნი, რაც ამ წიგნისათვის გასაგებია, ვინაიდან სწორედ ჩვენმა მთიელებმა, მტრისათვის ზოგჯერ მიუვალ მთებში, უფრო ადვილად შეინარჩუნეს ადათები მათი მთელი არსებით. ავტორი აგვიწერს თითოული ტომის გარეგნობასა და ხასიათს, მათ სამოსელს, მორთულობას, საჭურველს, სახლკარს, მის დაწყობილობას, შინაურ ეკონომიკას, ნადირობას, თევზაობას, სასმელ-საჭმელს, მეურნეობაში მამაკაცისა და დედაკაცის შრომას.

ავტორს აქვს აგრეთვე აღნიშნული ხელოსნების ამქრობა; ეს კორპორატიული დაწესებულება ძველ საქართველოში მეტად ოჯახური ხასიათისა იყო: მასში თავს იყრიდენ თავისი ცოლშვილითურთ ხელოსანნი და შეგირდნიც. ყოველ ხელობას ჰქონდა საკუთარი ამქარი, ხელოსნური ტანსაცმელით და უსტაბაშის ხელმძღვანელობით.

ამის შემდეგ ავტორი აგვიწერს სოციალურ დაწყობილობას, რომელიც უფრო საყურადღებოა მთიელ ქართველთა შორის, სადაც კიდევ შერჩენილია ძველი „დიდი ოჯახი“. ავტორის ფართო ინტერესშია აგრეთვე ქორწინებისა და დასაფლავების ჩვეულებები და სარწმუნოების საკითხები: — ქრისტიანობა და ძველი სარწმუნოების კვალი მასში. ამასთან დაკავშირებით ავტორი მოგვითხრობს დღესასწაულებზე, ეკლესიებთან გამართულ ზეიმებზე: ჭიდაობა, ჯირითობა, ცეკვა და სხ.; ავტორი სარგებლობს ამით და აღწერს სხვადასხვა სამუსიკო იარაღს: საზანდარი, დოლი დიპლიპიტო, დაირა, ჩონგური, ჭიანური, სალამური და სტვირი. ამ აღწერილობის ბოლოს ავტორი გვიამბობს სჯულმდებლობის შესახებ ძველ საქართველოში. მას მიაჩნია, რომ ვახტანგ მეექვსის კანონმდებლობა ფრიად ჰუმანიურ ხასიათს ატარებს, ხოლო შეცდომით ამ კანონთა შემდგენელად ვახტანგ მეხუთეს ასახელებს.

მოხსენებული წესით და რიგით ავტორი აგვიწერს ქართველ მთიელთა, აფხაზების, ჩერქეზების, ჩაჩნების და ლეკების ზნეჩვეულებებს და ჩვენ თვალ-წინ იშლება მთელი ცხოვრება მთიელ ხალხთა. სამი უკანასკნელი თავი, მაგრამ მეხუთედი მთელი ამ წიგნისა, მიძღვნილია უმთავრესად ოსებ — ურიებ — კუმიხებისადმი. წიგნს ბევრი სურათი აქვს დართული და დიდძალ მასალას იძლევა კავკასიელ ერთა შესწავლისათვის; ამ მხრივ დასახელებულ შრომას დიდი ინტერესით წაიკითხავს ქართველი და უცხოელიც. ამ წიგნის ყოველი სტრიქონიდან მოსჩანს საქართველოს სამეფოს ძველი დიდება და მისი კულტურულ - პოლიტიკური გავლენა ძველი კავკასიის ყოველ, თვით შორეულ კუთხეებზედაც, რასაც მთიელ ხალხთა შორის დღემდე დაცული ლამაზი ადათები ხმამაღლად მოწმობენ.

ირაკლი მუხრან - ბაგრატიონი

---

**ქართველი მეფე, ეროვნულ ერთობაზე ანუ ფაშიზმზე დაურდნობილი, ერის უზენაესი გამომხატველია.**

**ფაშიზმი ანუ ეროვნული ერთობა გულისხმობს, რომ საქართველოს ხელისუფლება იქნება ერთი, მტკიცე, ურყევი და ზეკლასობრივი. ყველა ქართველი თანასწორ - უფლებიანი და თანასწორ - მოვალეობიანია.**

**ქართლოსის მთავარი მიზანია: დიდი და დიადი საქართველო.**

---

## რედაქტორისაგან

ბ. ს. ბერეჟიანის რომანის „ნიკოლა“-ს გაგრძელება შემდეგ ნომერში მოთავსდება.

ბ. გივი გოლლენდის წერილი თ. გიორგი შარვაშიძის შესახებ მოთავსებული იყო გაზეთ „საქართველო“-ში 1918 წ.; იგი აღმოაჩნდა ჩვენს ერთ თანამშრომელს და იქიდან გადმოვბეჭდე „ქართლოსი“-ს წინა ნომერში უცვლელად.

## ვინ როგორ მიდის სოციალიზმისაკენ




Le gérant: M. Durand. Rédaction : V. Nosadzé, 26, rue Lacretelle, Paris (15e)

Imp. DUPUIS, 63 bis, rue de Billancourt — Boulogne.